

հղճի  
Լսման խոսք



# ჩემი სამუშაო

კატრიოტული ლირიკა

თბილისი  
2023

## **წინასიტყვაობა**

26 მაისს, კიდევ ერთხელ ვიზეიმებთ დამოუკიდებლობის დღეს.

სწორედ ამასთან დაკავშირებით, ვალიკო კაკაურ-იძემ გადანწყვიტა, გამოეცა კრებული „ჩემი სამშობლო“. მოიძია სპონსორი. ასევე თავად შეარჩია წიგნის ყდის დიზაინი.

სპონსორს მიუძღვნა სამადლობელი ლექსი.

თავადაც ერთი ხელნაწერი ლექსების კრებული აქვს გამოცემული და არის სამი კრებულის თანაავტორი.

გადანწყდა, ამ კრებულში გამოიცეს 100 პოეტის ლექსი.

ასევე სპონსორის თხოვნით შესულია ცნობილი პოეტების ლექსები:

მაყვალა გონაშვილის,  
ერეკლე საღლიანის,  
ბალათერ არაბულის,  
თემურ ჩალაბაშვილის...

რედაქტორი

**მანანა გორგიშვილი**

დამკავალმონებელი

**თამარ ტყაბლაძე**

გამომცემლობა „პარნასი“

ISBN 978-9941-8-5569-6

## სამადლოველი

(სპონსორს)

სიკეთის მთესველ კაცსაო,  
მადლი ეფონოს გზასაო,  
შენ დაიფარე, უფალო,  
ჯანი მიეცი მასაო.  
იქნებ და სხვამაც ისმინოს,  
მადლის მოფენის ფასია,  
ამდენი მადლიერისგან,  
დალოცვილი ხარ კაცია.  
სიკეთე არ იკარგება,  
მუდამ დარჩება ხალხშია,  
ყველას სახელით მადლობა,  
სამშობლო ერთადერთია!

2023წ.

ვალეკო კაკაურიძე  
მიმინო

# საბო აბაშაძე

## რად ვნერ...

რად ვნერ  
სევდიან მონატრებაზე...  
ან დამბალ სტრიქონს რად ვატან ნიავს?  
გულიდან მესმის კვნესა მამულის!  
ეს ხმა რატომღაც ვამგვანე „ნიავს“...

ვგრძნობ, როგორ ეწვის ღია ქრილობა,  
მოუშუშებელ იარებს ვუთვლი,  
ღმერთო! გვაკმარე კაცობრიობას,  
გაუტანლობა, შური და შულღი.

თუმცა, რას ვბოდავ..  
შენ ხომ არ გინდა,  
ადამიანი ეძმოს სატანას,  
შეგვაძლებინე! მოვეგოთ გონს და  
ჯვარცმულ ცხოვრების შევძლოთ ატანა.

გამოგვაფხიზლე!  
სალათას ძიღმა  
ვერ შეძლოს ჩვენი გონის დახშობა!  
ჩირაღდნად გვენთოს გმირობა სულში,  
მტერმა ვერ შეძლოს ქვეყნის დამხობა.

გაჩნდეს ახალი ცოტნე, დავითი,  
მეფე თამარი და ქეთევანი,  
კვლავ აღორძინდეს სოფლის დიდება,  
ვაზის ჯვარი და მწიფე მტევანი.

კვლავ იდიადოს სულმა ქართულმა,  
ვერ გვეძლიოს ბოროტთ მსახვრალმა ხელმა,  
კაცობრიობა შეაზანზაროს  
ქართული ჯიშის წმინდა სახელმა.



## ბიოხიბი აბუნაძე

### ასი წლის წინ

ასი წლის წინ არ მენახა საქართველო,  
ასი წლის წინ რომ გაშალა ფრთა,  
ასი წლის წინ მოკაზმული მთა და მდელო,  
ასი წლის წინ მოლაშქრე და მოლივლივე ზღვა.

არ მენახა „ოქროსფერი სანმისიდან“,  
აიეტის სიამაყე ხარ,  
ხალიბების გაკეთებულ სახნისიდან  
ტაოხები ღალადობდნენ ხანს.

ფარნავაზი, ქუჯი, მძლევი სანყისიდან,  
გორგასალის გაუმარჯოს ხმაღს,  
დიდი გმირი აღმშენებლის დავითიდან  
მე ასეთი საქართველო მწამს!

გმირობას ხომ ვერ ჩამოთვლი თამარისას,  
ქეთევანი არ ღალატობს, მწამს,  
არაგველებს, თავდადებულ, მათ ცხრა ძმისას,  
მე ასეთი საქართველო მწამს!

დღეს ტანჯულად გადმოგვეყურებს ლურჯი რინა,  
ხელთ უპყრია შავბნელ პირს და ავს,  
ცრემლებს ვხედავ გუბეთავალთა ცხინვალიდან,  
გავიმარჯვებთ ყველა ერთად, მწამს!

დაკორტნილი არაერთხელ მინახიხარ,  
სისხლისფერად შეგლებია ფრთა,  
ვინ დაგჯაბნოს, გულზვიადი არწივი ხარ,  
გმირთა ბუდე, საოცრება ხარ.

საქართველო, სიცოცხლე და მაისი ხარ,  
ვარდობისთვე შენი აღმასვლა,  
გამარჯვების ანგელოზთა არწივი ხარ,  
მე ასეთი საქართველო მწამს!



### **ჩემია ეს საქართველო**

ჩემია ეს საქართველო,  
ამერ-იმერი სრულიად,  
მაგრამ სავანედ, სავარდედ –  
ეგრისის მიწა მწყურია.  
ნუ მიწყენთ:  
დედის გულში მსურს,  
ვინებივრო და ვთბებოდე!  
მე სხვაგან დასამარხავად,  
სენაკო, გენანებოდე!

### **საქართველოვ!**

დრო-ჟამმა არა გატკინოს,  
ხატის წინ ვდგავარ ქადაგად...  
დედაო, ჩემი კოლხეთი,  
სიყვარულს გიგებს ფარდაგად!

## მამულო ჩემო!

გაჩენის დღიდან მომხვედურთან ვიბრძვით,  
არ გვღირსებია ცხოვრება მშვიდი...  
ჩვენ ველარ მოგვკლავს, ვერც რას დაგვაკლებს,  
მტრის და ორგულის ისარი-მშვილდი!  
სანამდე ჩვენი ჯიში, ჯილაგი,  
ახარებს ნერგებს ქართულ მინაზე,  
ვერც ვერვინ ნაშლის ქართულს, რადგანაც  
მამულს ვიხატავთ გულის ფიცარზე.



## დიდი სურვილი

უმთავრეს საგანს, უნდა ვეძებდეთ,  
სამშობლოს სიყვარულისთვის,  
ბედნიერების მიღწევისა და  
ამაღლებული სულისთვის.

მოვუხმობ ყველა პატრიოტს,  
ვისაც ეხება ბედი ქვეყნისა,  
ვისთვისაც უმთავრესია,  
აღმასვლა ჩვენი ერისა.

ვისაც ყოველთვის ანუხებს,  
სამშობლოს კუთხე-კუნჭული,  
შეუპოვრობა ბრძოლაში,  
რომ არ დარჩება უძლური.

დაულალავად ებრძვის სირთულეს,  
წარმატებების გზებს რომ დაეძებს,  
ქვეყნის სიკეთის მიღწევისათვის  
პირად ცხოვრებას გვერდზე გადადებს.

თავდადებულ ხალხს, ზე-პატრიოტებს,  
ვინც კი აღიქვამს დაკარგულ წამებს,  
თვლის, რომ მომავალს უნდა მზრუნველი,  
ლოცვით მიმართავს იგი მაღალ ღმერთს.

რჩეულს, რომელსაც ედაგვის გული,  
მამულის ტანჯვის- ჩამორჩენისთვის,  
ასევე იმას, ვისაც უხარის,  
მისი ლხენისთვის - წარმატებისთვის.

უმთავრეს საგანს უნდა ვეძებდეთ,  
სამშობლოს სიყვარულისთვის,  
ბედნიერების მიღწევისა და  
ამაღლებული სულისთვის.



## სვეტიცხოველი

ავაშენეთ, დავამშვენეთ ტაძრები,  
გაიშალა, მოეფინა მლოცველი.  
სვეტიცხოველს დასტრიალებს აზრები,  
ყველა ტაძრის ნათლის ერთად მომცველი.  
დიადი და ასე მადლით მოსილი,  
ჩემი სულის სიამაყის ნაწილი,  
უფლის კვართის დალოცვილი ადგილი,  
უსაზღვროდ ვარ სიყვარულით აღვსილი.  
ჩემი ქვეყნის სიძლიერის სიმბოლო,  
სიკეთის გზა ყველასათვის გახსნილი.  
სვეტიცხოვლის სიდიადე - სამხილი,  
უფლის ცამდე მისავალი მანძილი!  
არ ყოფილა ეს გზა ასე იოლი,  
არ ყოფილა ეს გზა ასე ადვილი...

## მე ქართველი ვარ!

მე ქართველი ვარ ჩემი ნაკლით,  
ჩემი ღირსებით  
და საქართველო მომაქვს მხრებით,  
დარდით, იმედით.  
მტერო, ვერაფერს დამიშავებ,  
ნუ დაიღლები!  
მე ქართველი ვარ, ვერ წამაქცევ,  
ნუ გაირჯები!

შევენირები ჩემს სამშობლოს,  
არც დავფიქრდები,  
მე ქართველი ვარ! სიყვარულით  
სანთლად ვინთები!

## ქართული მინა

ხელი არ ახლო წმინდათა წმინდას,  
ქართველთა სისხლით ასე ნაპკურებს,  
დაჭრილს, დაქანცულს, დაგლეჯილს მტრისგან,  
ხორბლის ველებით ასე ნაპურებს...  
არ გაეკაროთ ჩვენს ქართულ მინას,  
მახვილი ჩვენი სდევნის ავსულებს,  
დრო იყო, როცა საქართველოში  
აბჯარს ასხამდნენ მეფის ასულებს...  
მტერი მტერია, რა შინ, რა გარეთ,  
დავალეებებს თუ სხვისას ასრულებს.  
ისტორია კი მიუჩენს ადგილს  
ათასი ჯურის და ზნით მართულებს...  
ვისაც არ სტკივა მშობლის სხეული  
და ფულზე ჰყიდის მოხუც მამულებს...  
რას ეუბნებით ანმეოს, მომავალს,  
პატივს თუ არ სცემთ ჩვენგან წასულებს,  
რას დაახვედრებთ შთამომავლობას,  
ქართულ ენაზე თუ ისაუბრებთ?  
ღმერთს გეფიცებით, რომ ვაზის ცრემლით  
დასერილ გულით ძველ ფიცს ვასრულებ,  
საკადრის პასუხს მიიღებთ ჩვენგან,  
მახვილი კვლავაც სდევნის ავსულებს!

### ჩეი სემოზლო

რა ნატანჯია ქართული მინა...  
მე ყველა გოჯის დაკარგვა მტკივა...

როცა ვუყურებ უბისის ტაძარს,  
ამ სიტბოს გულის ტკივილი ახლავს...

ცრემლით ვიხსენებ დაკარგულ ტაოს,  
მის დაბრუნებას ამოდ ვნატრობ...

მტკივა მესხეთი, შატბერდი, ხანძთა...  
მტკივა და ვდუმვარ, არ ვიცი, რა ვთქვა...

როცა ვახერხებ ბათუმის ნახვას,  
მეტად მტკივდება სოხუმი, გაგრა...

დარდი ჩემს თვალებს ცრემლებად ათოვს,  
პრომეთეს მღვიმე მახსენებს ათონს...

ბაზალეთს როცა ვსტუმრობ, ეს ვიცი,  
რომ მენატრება ტალღები რინის...

ვერ ავცდით, ბევრჯერ, შხამიან ისარს,  
მე ვტირი მტრისგან ნართმეულ ცხინვალს...

მეძახის ყველა ქართული ფესვი,  
ვინ იცის, სული რარიგად მენვის?!

დაგვბრუნებოდეს-ნატვრა მაქვს ერთი,  
ამ ნატვრას გულის ცრემლები ერთვის...

.....

ახლა შეკითხვას, მოკრძალებით უფალთან ვბედავ:  
- რა დავაშავეთ ქართველებმა ასეთი, ნეტავ?!.



\*\*\*

დღეს თქვენ გაბარებთ უშგულს და შატილს, -  
დედულ-მამულის ადგილებს წმინდას,  
მეც მადგას თავზე დიდება მათი  
შარავანდედად, გაჩენის დღიდან...  
მე თქვენ გაბარებთ ნისლიან მინდვრებს,  
დიდგორის მზეს და კრწანისის სევდას  
და ამ სამყაროს თქვენც უმზერთ ვიდრე,  
ვიდრე წაგერთმით სანუთროს ხედვა,  
გადაუხადოთ უნდა დროულად  
გადასახდელი, რაც დაგხვდათ ვალი  
და დღეის შემდეგ თუ ვერ მოუვლით,  
თქვენ დაგედებათ, იცოდეთ, ბრალი...  
ოღონდ არ ვიცვი, ხმლითა თუ წიგნით,  
თუ დაუღვრელი ოფლით და სისხლით  
რადგან თავისას მოითხოვს იგი, -  
მამული, - მარად დიდების ღირსი...  
ან თუ ოდესმე ტკივილით შეგძრავთ  
ჩვენი გამზრდელი, - ლექსი ბებერი,  
მამინ, ჩემ წილად, თქვენ უნდა შეძლოთ,  
რაც ვერ შევძელი, - შეუძლებელი...  
...  
დღეს თქვენ გაბარებთ ჩვენი ჯვარ-ხატის  
მადლს და წინაპრის საფლავებს წმინდას,  
მეც მადგას თავზე დიდება მათი  
შარავანდედად, გაჩენის დღიდან.

\*\*\*

„ნისლო, მთით გადმომავალო“ -  
უთქმელო დარდო მთებისა,  
რა ამბავია ხევსურეთ,  
ახალ რაირა ხდებისა?..  
დამხვედრი მტერ-მოყვრისადა  
ვაჟკაც ხვარავინ ჩნდებისა?!  
ანდა თემ-სოფლის შამრცხვენი  
უსახელოდ ვინ კვდებისა?!  
საკარგემო ვისად ისმების,  
იქნება არც ისმებისა?!

.....

ნისლო, მთით გადმომავალო, -  
უთქმელო დარდო მთებისა...

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

...ჩახერგილია ყ ვ ე ლ ა გზა-შარა,  
გაავერანეს უღვთოდ ე დ ე მ ი,  
შენი დიდებაც უკვე ნაშალეს  
და დღეს არავის არ ახსენდები!..  
ბევრი მ ს ტ ო ვ ა რ ი, ბევრი მასხარა  
და კიდევ ბევრი... გ ა დ ა მ თ ი ე ლ ი  
შენი წარსულის ძვირფას ნამსხვრევებს  
დაუნანებლად დღეს ფეხქვეშ თელავს...  
მაგრამ ათასჯერ ნაწამებს, ნაგვემს  
კვლავ დაგადგება უ ფ ლ ი ს ნ ა თ ე ლ ი  
და იმ დიდების ძ ვ ე ლ ნანგრევებზე  
სულ სხვა დიდებით აღიმართები...

### სამშობლოს მონატრება

გული როცა სიყვარულით შემომიტევს  
და ჩიტივით მოანყდება ფანჯრის რაფას.  
მონატრება, ჩემი ქვეყნის საზღვრებს უტევს  
და სურვილიც მისკენ ნასვლის დღეებს ღაფავს.

ყოველი დღე დაბრუნების ფიქრით გამყავს,  
გულში მხოლოდ სამშობლოა ერთადერთი.  
დავალ ობლად, მე შენს მეტი, აბა, ვინ მყავს,  
სამშობლოა ჩემი ხატი, ჩემი ღმერთი.

სულ შევხარი ჩემს შორეულ ქართულ მიწას,  
უსამშობლოდ, ნეტავ ვინ სად გაიხარა.  
პინის თეფშზე დავდე ჩემი მონატრება  
და ისარმაც სამშობლოსკენ დაიხარა.

რა ხანია, გულზე მონატრება მანევს,  
სამშობლოზე შევაჩერე არჩევანი.  
დრო კი ისე, კუს ნაბიჯით მიზოზინობს,  
აღმაცერად კართან მიცდის ჩემოდანი.

ახლა, როცა დაბრუნების დადგა ჯერი,  
ათინათმა გამინათა სახლის ქერი.  
განცდებისგან დამკარგვია სახის ფერი,  
დამელოცოს სამშობლო და ჩემი ერი.

## ჩემი საქართველო

ჩემი საქართველო სულში ტკივილებად მინთია.  
ისე მენატრება, ვერსად ვერავისთვის მითქვამს,  
ახლა ფოთოლცვენამ ისევ ამიწუნა ფიქრები,  
ჩემი ქვეყნის დარდით, გულში გამიყარა ისრები.

მაღე აცივდება, თოვლის ფიფქი თავზე დამათოვს.  
თეთრი იანვარი კვლავაც მონატრებით დამათრობს.  
ზამთარს რა გაუძლებს, ვიცი მარტო სული ვიქნები.  
ღმერთო, მომეშველე, ჩემი ცოდვებისთვის ვისჯები.

მთვარეს მერამდენედ ვთხოვე, ჩემთან ღამის გათევა.  
მტერმაც არ იკმარა ჩემი მიწა-წყალის გათელვა.  
ყველას მიეზღვებათ, ვინც შენ გაგიჩინა ვარამი.  
შენგან წაღებულნი ყელში გაეჩრებათ არამი.

ჩემი საქართველო, უფლის მირონმდენი მდინარე.  
ღმერთო, დაიფარე, მტერმა არა ნახოს მძინარე.  
ჩემი საქართველო ჩემი ხატია და ჯვარია.  
ისეთ წასვლას ვნატრობ, რომ არ გამყვებოდეს ჯავრია.



## ბიოხიბი ალნიაშვილი

### ხომ პატარაა ეს საქართველო...

ხომ პატარაა ეს საქართველო  
და დედამინას როგორ ატყვია  
და კაცთა მოდგმის შენ - თვალნათელი,  
ყველა იარა ტანზე გატყვია.

და ვინ მოსთვალოს კაცთა მოდგმის ყველა საუნჯე?  
და ვინ დაწერა ისტორიის პირველი სიტყვა?  
და ვინ გულო ევროპელებს ცოდნის კარიბჭე?  
იბერიულთ სასოებაც პირველი ითქვა...

როგორ გმინავდა შენი სხეული,  
როცა მედეას ცრემლი გნამავდა  
და ამირანი, გმირი ეული  
ჯაჭვის განყვეტას როცა ლამობდა.

ღმერთის მამულში გაშლილიყო, როგორც სამოთხე,  
თეთნულდ დედოფალის მაღლი ნვიმდა დედამინაზე,  
და იალბუზი მეფ-მეფე კაცობრიობის,  
ნართთა სამეფოს განაგებდა ქართველთ ენაზე.

დღეს ისტორიის ლაბირინთებში  
იბერიელნი, ეტრურია და ხალიბები,  
ბერბერთა ტომი, გუჯარები, კოლხთა ლეგენდა,  
მივინყებულნი დვალეთი და მოსხთა ტომები,  
ამაყად ცოცხლობს,  
ამაყად ცოცხლობს ქართულ მითებში...

მრავალსაც ვიტყვით და მრავალიც დაგვაფინყდება,  
ჰო, ძვირფასებო, დაგვემართა გულმაფინყობა,  
ქართველთა მოდგმას ნუ შეემოსავთ „გარდასულობით“,  
ქართველთა მოდგმა გადარჩება ერთსულოვნებით.

## ენა ქართული

შვილებს ჯერ დედა ენა უნდა ვასწავლოთ,  
ენა მესიის,  
ენა ლაზარეს,  
ენა ღვთისმშობლის,  
არ ვცდილობ, ბატონო, რაიმე გასწავლოთ,  
მე მხოლოდ ჩემი ვთქვი პირველსაკეთებლის.  
„აი ია“ და „აი თითი“  
ჟღერს სიმფონიად,  
ქართული ათინათი,  
ანბანი სვიანად  
უფლისგან ნათლული,  
სამყაროს პირველი  
ენად ხსენებული.  
არავინ გაბედოს,  
ეჭვის არ გაივლოს,  
ღვთის კაცთა სიტყვები  
დუმილში ჩაფერფლოს...  
კაცობრიობის ენა პირველი,  
ვიდრე გოდოლი დაიქცეოდა,  
იყო ქართული...  
ენა სამყაროს არსის მტვირთველი.

## ღაპრით ახლოუხი

---

\* \* \*

მზის საუფლოში დავიბადე, მზისგან მოვდივარ  
და ამიტომაც გარიდებდით თვალებს ნამიანს.  
ჩემი სამშობლოს ხავსისფერი ტაძრის ლოდი ვარ,  
შენი ქონგურის ჩუქურთმა ვარ, ავე მარია!  
მე თუბალი ვარ, მესხი ვარ და კოლხთა ბადიში,  
დედა ვუტირე, ვინც ჩემს მინას მტვერი ადინა...  
მოყვარეს გული გავუღე და მტერს კი ბოდიში,  
თუ დაამინა ჩემს ედემში ავმა წადილმა.  
მე მივუღენე ასურელებს ბედის კარავი,  
ვპირველობდი და მომყვებოდა ტომი ხალდების.  
ისე მოვედი, არ დავუთმე არსად, არავის...  
ღვთის მონა ვარ და სიკვდილითაც უფალს ვბარდები.  
გამოვიარე ქვის ხანა და ხანა ოქროსი,  
წარსულში დარჩა სიდიადით აქეს რომელიც...  
არ გამიცვლია შაჰის ხმაღზე ციხის ბოქლომი,  
არ შემხვედრია უძლეველი მაკედონელი.  
მე დავიბრალე არტაანთან აზოს სიკვდილი,  
ჩემი ბრალია ფირუზისფერს  
დღესაც რომ ჰგავს ცა...  
მანამეს, მაგრამ არ ვყოფილვარ სასომიხდილი,  
როცა დასჭირდა, ინდოეთში ვახლდი გორგასალს.  
მზეს წვიმა ცვლიდა, ღრუბლისფერი იდგა ამინდი,  
ელვა და ქექა მილენაჲდა ზოგჯერ დარაბებს,  
ათასჯერ დაჭრილს სისხლიანი მეცვა ქლამინდი,  
სამასი წელი გავუძელი იმ ყრუ არაბებს.

მცხეთაც ავაგე, ნიკორწმინდაც, ხანძთაც, ბედიაც...  
და ღვთის ტაძრიდან, ღვთის სახლიდან ღმერთს  
მივესალმე.

მემკვიდრე ვიყავ სამი ტახტის, ესეც ბედია,  
აფხაზეთიდან გავამეფე ბაგრატ მესამე.  
დიდგორის ველზე დავამარცხე ურიცხვი მტერი,  
ვიშამქორე და დავაჩოქე რუმის სულთანი  
და როცა მწვერვალს გავუსწორდი, ვითარცა ერი,  
თურმე მონღოლებს გვიმზადებდა ბედი მუხთალი.  
წახდა ქართლი და გადარჩენა ისევ ვივალე,  
ჟამი - ბედკრული ამოსუნთქვას როდი მაცლიდა...  
უფლის განგებით მხსნელად მოველ, მოველ  
ბრწყინვალედ,

ოსიც, მონღოლიც გადავრეკე ჩემი ქართლიდან.  
მეთხოუმეტედან კვლავ მესმოდა ხმები ველური,  
არაბს და მონღოლს ჩაენაცვლა მტერი ახალი;  
არ გვასვენებდა ბარლასელი კოჭლი თემური  
და დაგვიტოვა ნასოფლარი, ნავენახარი.  
დაგვეყვეს, დაგვშალეს ცალკე ქართლად, ცალკე  
კახეთად,

ცა იქცეოდა, ერთმანეთთან როცა ვომობდით...  
იშიშვლა ხმალი სვიმონმა და უფალს გახედა,  
თრიაქით მთვრალი დარაჯობდა მამულს ბოლომდე...  
ბევრჯერ ჩავხედე წყვილიადისფერ სიკვდილს თვალებში,  
მანინც არ დავთმე, ბებერ ქსანზე ციხე ავაგე.  
გადავიტანე თურქთა, სპარსთა, ლეკთა თარეში,  
რა ვუყოთ, თუკი ბოლო ბრძოლა რუსთან წავაგე...  
ისევ ომში ვარ, დაღმართიდან ვეძებ აღმართებს,  
ამ ბინდისფერსაც გადაუვლის სხივი დილისა,  
დაგვიბრუნდება უფლის ნებით ის, რაც წაგვართვეს,  
ჩემს საქართველოს ხატი იცავს ივერიისა...  
მზის საუფლოში დავიბადე, მზისგან მოვდივარ...

## მანა ხობაძე

### სამშობლოვ ჩემო...

სამშობლოვ ჩემო, მონატრების დარდით მოსილო,  
გულდანყვეტილო,  
ემიგრანტის ლურჯო ტკივილო,  
შორიდან გინვდი დალლილ ხელს და გულში გიხუტებ,  
სასონარკვეთავ,  
სიშორევ და უხმო კივილო...

დღეები ისე იზღაზნება უცხო მიწაზე,  
მიჰქრის წლები და უფერული ხდება წამები,  
ვშიშობ, ერთ დღესაც ამ სიმძიმემ გული დადალოს  
და უსულდგმულო  
ლაბირინთში დავიკარგები...

ჩემს სახეს ჩადრად აჰფარვია ხშირი ნაოჭი  
და სულის ღარებს  
გულს უღადრავს სიშორის გემო,  
ის გაზაფხული მომენატრა  
ბარში რომ იცის,  
იმ სახლის სუნი ჩემს შვილებს რომ პაპათგან ერგოთ...

გვედრი, უფალო, ის დღე, წამი ათენე მარად,  
როს ჩამახუტებს მონყურებულ მშობლიურ მხარეს,  
შვილნო ჩემნო, მეუღლე, დედავ, ფუძევ და ქერო,

ტკბილი სიტყვები  
სიყვარულით მოსწყდება ბაგეს...

მაფიქრებს, მიხმობს  
ის დღეები შორიდან მზირალს,  
დროს მონყვეტილი მშობლიური ზეცის ნათებას,  
იმედს ვიტოვებ,  
ადრე თუ გვიან გულში ჩაგიკრავ,  
დაველოდები მზის სხივების გამონათებას...



## ნინო ბალაშვილი

\*\*\*

ქუჩა უყეფდა მკვდარ-ძალს სიცოცხლეს,  
გათოშილ მზისკენ ბილიკს ვეძებდი,  
მთვარესთან ვიყოფდი ერთგულ სარეცელს.  
ცოცხლად-დამარხულს დამქონდა სული,  
სული მთრთოლვარე, სული ძლიერი -  
მსურდა მეხილა ეს არე-მარე,  
ქვეყნად, ღიმილით გაბრწყინებული.

\*\*\*

ვეაღერებო ნარიყალას,  
მეტეხის ციხეს,  
გულანთებული კაცის ვედრებას,  
ვებრძვი საკუთარ  
სნეულების უტიფარ ფიქრებს,  
შენგან მოვითხოვ ამაღლებას,  
უფლის შენდობას...

\*\*\*

ო, ღმერთო,  
ნეტავ მართლა იყო  
ჩვენი მფარველი,  
ჩვენ კი არასდროს  
გადვიქცევით,  
კოჭლ ვეზირებად...

\*\*\*

არ დავივიწყებთ,  
რომ ვიყავით ერთ დროს  
ძლიერნი,  
სადაც გადავრჩით  
ახლა ვცხოვრობთ,  
წმინდა ფრესკებად...



## ბათი ბოცნაღი

### მამულო...

გულო, გულ-დიდო, მოჭირნახულევ,  
შეხორცებულო ჭრილობავ ისრის,  
ორბელიანთა ნავენახარო,  
საბა-სულხანის, სდულს შენში სისხლი...

დღემდე დიდებად შემოგრჩენია,  
ქონგურებს ჩრდილებ, ბოლი და ნისლი,  
ბოლნური ჯვართ, ძველი სიონით,  
დღესაც ამაყობს, ზეობს ბოლნისი...

ჩემო მამულო, ჩემო მამამზევ,  
სასიყვარულოდ გულ-ლილებს იხსნი,  
სულ ერთი ციდავ, სათაყვანებო,  
გოჯ-ნახევარო, მცირევე ტოლ მისხლის...

შენ მაშავერავ, დადუმებულო,  
ფსკერზე რას მალავ არავინ იცის,  
ფიქრებ წარსულო, ფიქრებ დუდუნავ,  
მესაიდუმლევ რამდენი ფიცის...

ჩემო ბოლნელნო, მრავალჟამიერ,  
საგალობელი ამღერე სიმით,  
გამიძლიერდით, გამიასმაგდით,  
ქართული გენით, ქართული სიბრძნით...

გულო, გულ-დიდო მოჭირნახულევ,  
შეხორცებულო ჭრილობავ ისრის,  
ორბელიანთა ნავენახარო,  
საბა-სულხანის სდულს შენში სისხლი...



## შოხანა ბაბაქაშვილი

### ანწუხალიქე გიორგი

როს საქართველოს სვე-ბედზე,  
და მომავალზე ვფიქრობდი,  
შენ წარმომიდექ თვალნათლივ,  
ანწუხელიქე გიორგი!

ანწუხელიქე გიორგი,  
წუხელ ცრემლებად ინვიმე,  
შემოგსალტოდა იობი  
და ქრისტეს მხედრის სინმინდე!

ნეტავ, დედამ თუ იგრძნო რა,  
როცა ზურგს გასვეს ლახვარი?  
ანდა, მტერი რას ფიქრობდა,  
არ მართალი და მზაკვარი?!

შენი ბეჭების ჭირიმე,  
შენი გულის და თვალების;  
შენი ტკივილი ვიტირე  
და სიღრმე მაგ იარების!

გაუტეხელო ვაჟკაცო,  
ყოველი სიტყვა მწირია,  
მტერთან არასდროს მარცხდება,  
ვინც კი შენსავით გამირია!

ამბროსი, მაზნიაშვილი,  
ქაქუცა, მიხა, ილია,  
შარტავა, ანდა ზვიადი,  
მერაბი, გაბესკირია!

შინდისში ბიჭებს გავცახებ,  
როგორ გაავლეს მუსრი რუსს?  
უფლის მადლილა ღალადებს,  
თუ სამართალი, ისევ სდუმს!

როს საქართველის სვე-ბედზე,  
მის იარებზე ვფიქრობდი,  
შენი ტკივილით მეტკინა,  
ანწუხელიძე, გიორგი!

### **ჩემო სამშობლოვ!**

ჩემო სამშობლოვ, ქართულ ანბანით,  
შემონახულო განძო-ნამარხო,  
მგელთა თარეშში, ცელთა გრიალში,  
გადარჩენილო ვაჟას ბალახო!  
ღმერთმა კი ისე არ დამაბეროს,  
გამთლიანება შენი არ ვნახო!

### საქართველოს

ვინ ვარ, ან რა ვარ? – შენს ლოცვად ვდგავარ...  
ფერფლი ცოტნესი, პაატას და ვარ,  
მსურს, იავნანად მსახავდე ჩვილთა, –  
დედა ვარ შენთვის გასაზრდელ შვილთა!  
...მე სვეტიცხოვლის ერთი კენჭი ვარ,  
ვარ დოლის ყანის ერთი მარცვალი,  
შენი დიდების საკურთხეველთან  
დასაფერფლი და დასანაცრალი.  
ქართული მიწის ერთი ბელტი ვარ  
და ერთი ვაზი ქართული ზვარის,  
გუთნისდედაზე ცოტა მეტი ვარ,  
ვარ ერთი ნოტი სამრეკლოს ზარის!  
ქართული წყაროს ერთი წვეთი ვარ,  
გუმბათზე მშვიდი სუნთქვა ვარ ქარის,  
ბარად მუშა და მთაში მწყემსი ვარ,  
ბელურა – შენი მთისა და ბარის!  
დავბადებულვარ მსახურად, მცველად,  
მტრულად შეხედა ვინმემ თუ შენს ცას,  
მეც ერთ ვარსკვლავად, ერთ ცისატყელად,  
შევვმატები შენს ქართულ ზეცას!  
...დამარქვი, დედავ, ბედნიერ დღეთა  
შემოქმედი და მემატთანე!..  
თამარის დროის დიდებით გხედავ..  
სულ გამარჯვების გზებით იარე!

## ყინვისი

დასწვა და აანთო ათასი სანთელი –  
სანთლები მლოცველნი ქართული მიწისა...  
გარდასულ ხანათა, ტაძართა სათქმელი,  
განძად მოგვიტანა ბებერმა ყინვისმა!

## ვედრება

წმინდაო მარიამ, ოთხ შვილს შეგავედრებ,  
მინყალე, აღმართში ქვა არ მომენიოს!  
და კელაპტრად თუკი მამულს ვერ დავენთე,  
სინათლე იმდენი მაინც მომეძიოს,  
რომ პატიოსან კაცს, ვით ციციანათელამ,  
ვაჩვენო ტაძრისკენ სავალი გზანვრილი!..  
ყველგან დაიფარე შობილი ქართველად!  
გვედრებ მუხლმოდრეკით,  
ცად ხელებგანვდილი!

## სამშობლოვ ჩემო!

მე არ მრცხვენია, თუ ღარიბი მეთქმის ქონებით.  
სინმინდე სულის მიმაჩნია სიმდიდრედ კაცთა.  
ვიცი, სიკვდილი უღმობელი, ჩლუნგიც გონებით,  
ჯერ დაბადებულ მოკვდავთაგან არავის ასცდა...  
სიცოცხლით შენთან, თუ არ დამრჩა პირნათლად ბოლო –  
სამშობლოვ ჩემო – მე ამისა შემრცხვება მხოლოდ!..

### სამშობლო ჩემო!

მტკვრიდან მონაბერ გრილ ჰაერს  
ვეტრფი  
და დილის ცვარით დანამულ მთა-ველს.  
ქუჩებს, აშოლტილ ლამაზი ვერხვით,  
თვალს რომ მოსტაცებს გამვლელს და  
მნახველს.

ვლოცავ ჭალარა ყინვიან ქედებს,  
ჩემი სამშობლოს გადაშლილ მხარ-ბეჭს.  
მინდვრის მშვენიებას-ფრთა  
ლამაზ  
ქედნებს  
და ზღვის ნაპირზე გაბნეულ ქვა-კენჭს.

გაცისკროვნებულ ცისფერ ცას დარში,  
ნანვიმარ გზაზე დარჩენილ ნაბიჯს,  
შრიალით ნამღერს ფოთლისას  
ქარში,  
ცისარტყელების ცად აჭრილ ნანილს.

ღრუბლითაც მიყვარს, წვიმებით  
სავსე,  
უებარ ნამლად დამფრქვევი მინას.  
გაშლილი ვარდით წვეთით აღსავსე,  
ფერადი კაბით მიკრული მინას.

სიტყვა ვერ ვბოვე სადარი შენი,  
ულამაზესო სამშობლოვ ჩემო.  
არ ვიცი მეტად, როგორ ვთქვა ენით –  
შენთვის რომ ვცოცხლობ და ერთს რომ  
გჩემობ.



### დავითის ხმალის ჭირიმა

ჭალარით სისხლშეღებილო,  
ბებერო კავკასიონო,  
მცხეთაში სვეტიცხოველო,  
თბილისში ძველო სიონო;  
ჩემო შამქორო, დიდგორო,  
თერგო შმაგო და ხმიანო,  
მტკვარო, კრწანისის ველიდან  
კიდევ ვის შევეხმიანო?  
აქამდის ჩუმად რომა ვართ  
და ბოლო ხმაზე არ ვკვივით,  
გვეხმიანება მთებიდან  
ვაჟას დაჭრილი არწივი,  
ქუდზე კაცს უხმობს ერეკლე,  
ილიას ქართლის დედაო,  
ბაზალეთისა ტბის ძირას  
ყრმა წამოდგომას ბედავსო,  
მოჭერის ტატოის მერანი,  
ფლოქვების ხმაზე ვიცანი,  
უკვე დაზრდილან, ყმუიან  
ალგეთს ლეკვები მგლისანი.  
დედასამშობლო გვეძახის,  
თავზე მზე გვადგას ბრდღვიალა,  
დავითის ხმალის ჭირიმა,  
დიდგორი აახმიანა!...

სანამ არ მოგვნატრებია  
არაგვი არაგვიანი,  
სანამ სისხლი დულს ძარღვებში,  
სანამ არ არის გვიანი,  
მუხლი გამართეთ, ვაჟებო,  
ფრთები გაშალეთ არნივის,  
ვაჟას დაჭრილი ფრინველი  
ტყუილუბრალოდ არ წივის...



### ქართველს

თუ ფიქრობ, რომ სიყვარული დაიკარგა,  
თუ ფიქრობ, რომ შენ ქართველი სწორად გქვია.  
თუ ხედავ, რომ პინამ სხვისკენ გადაძალა,  
ეს ხომ უკვე შენი ქვეყნის ლალატია.  
იქნებ ფიქრობ, მე არა და სხვა იქნება.  
იქნებ იმ სხვას შენი გვერდში დგომა უნდა,  
იქნებ ისიც არ შენუხდა, არ ინება,  
სიყვარულში შეეჯიბრეთ, ბევრი უნდა?  
სხვამ დააგო ხალიჩები, ადვილია  
სიარული სუფთა გზაზე, ნაბარდნარზე,  
შენი ჯერი როდის მოვა გიფიქრია?  
შენმა შვილმაც სვლა განაგრძოს სუფთა გზაზე.  
გულზე მჯილით: „ქართველი ვარ სუფთა სისხლის“,  
საქმემ უნდა გაამყაროს ქართველურმა.  
მიბრუნდები, წამალს ეძებ, იმის იქით,  
გახსოვს რამე? გაგაბრუა კვლავ მომხვედურმა.  
ეს მომხვედური რით ვერ მიხვდი, სხვა გზებს ეძებს,  
მეგობრული ტკბილი სიტყვით მოგეპარა.  
სუროსავით შემოგეჭდო, არ დაეძებს,  
ტვინს გინამლავს, ეს ცხოვრებაც გაგეპარა.

## თბილისს

სითბოს ასხივებ, თბილი გული გაქვს,  
ანდამატივით იზიდავ ყველას.  
ბევრი ჭირის და ტკივილის მომსწრე,  
არასდროს არვის არ სთხოვდი შველას.

ჩემო ქალაქო, ასე ლამაზი,  
როდის შეიქმენ, რა ხელმა მოგრთა.  
ადგილის დედამ თავისი სითბო,  
დაუნანებლად სულ შენ გადმოგცა.

მტკვარიც დუდუნით სულ შენ გიმღერის,  
მამადავითი დინჯად ბაასობს.  
გორგასალი კვლავ ხმალშემართული,  
შენი სიმშვიდის კარებს დარაჯობს.

მნათობი ჩქარობს შენთან შეხვედრას,  
შენი ქუჩები სურს რომ გაგითბოს.  
სხივებში ახვევს ქუჩებს ნამიანს,  
მტკვრის ტალღებთანაც ანცად ლაციცობს.

სამების ჯვარი, ცად შემართული,  
შენს სიდიადეს ზეცად ლაღადებს.  
ნარიყალაზე, ყაყაჩოების  
წითელი ღვივის, თითქოს ლადარზე.

სითბოს ასხივებ, თბილი გული გაქვს,  
ანდამატივით იზიდავ ყველას.  
შენ ტკივილზედაც მაკურნებინა,  
ნეტავ შემეძლოს ყოველთვის შველა.

### **მე საქართველო აქ ღაჰინახა**

გორზე შემდგარი, ზემოდან დავცქერ  
ლაღად გადაშლილ ალაზნის ველებს.  
მე საქართველოს აქედან ვხედავ-  
მგონია, თითქოს შემოვხვევ ხელებს.  
ამ გორებიდან ლამაზად მოსჩანს  
ბარაქიანი დედაკახეთი,  
ასე მგონია, ჩემს ლამაზ კახეთს  
არ შეედრება მხარე არცერთი.  
ეს ველები ხომ დღემდე ინახავს  
უხსოვარ ამბებს ჩვენი წარსულის,  
აქ დაიღვარა წინაპართ სისხლი  
და აქ ტრიალებს ქართული სული.  
აქ ცა თითქოსდა უფრო ლურჯია,  
სიცოცხლე თითქოს სხვაგვარად დაქრის  
აქ წყალსაც თითქოს სულ სხვა გემო აქვს,  
აქ ხომ მინასაც სხვა სუნი ასდის...  
ამაყად გავცქერ ალაზნის ველებს  
და უცნაურად მიძგერის გული,  
ჩემო კახეთო, თვალწინ მეშლება  
შენი ანწყო და შენი წარსული.  
გიყურებ, ვტკბები შენი მშვენივრით  
და მსურს ერთბაშად მოგხვიო ხელი,  
გულში ჩაგიკრა, მუხლზე დაგიდგე  
და დაგიკოცნო ეგ მთა და ველი.

მუხლმოდრეკილი ღმერთს შევავედრებ  
შენს ტურფა მთა-ველს და შენს ცას მზიანს,  
შენს დალოცვილ და კურთხეულ მინას  
და შენს გაზაფხულს მუდამ დარიანს.  
ამ გორებიდან მოგეფერები  
ჩემო კახეთო შენ - სანატრელო!  
მე საქართველო აქ დავინახე,  
აქ შევიცანი მე საქართველო!



### საქართველო - გიორგია

ვისთვის ვრცელი მამულია,  
ვისთვის - ერთი გოჯია,  
ჩვენთვის წმინდა გიორგია,  
უცხოთათვის - ჯორჯია.

რა ენა გვაქვს საოცარი,  
რა მარტივი, რა რთული,  
სავსე ღვთიურ გამოცანით,  
სულიწმინდით ქართულით!

მონამეთას სასწაული  
მენამული ფერია:  
წყალწითელას წითელ მელნით  
„აი - ია“ წერია.

წინაპართა მაღლი მოგვდგამს,  
ჟამი გვაძლევს არჩევანს...  
დროა, შეძლოს ჩვენმა მოდგმამ  
მტრის და მოყვრის გარჩევა!

ვაზის ჯვარი დაგვიფარავს  
რწმენით ნასულდგმულები,  
დავახვედროთ უფლის კარავს  
დანმენდილი გულები!

## იბერთ სიმღერა

სმენას საამოდ ესალბუნება  
იბერთ სიმღერის ტკბილი ბუნება.  
ბგერათა რიტმი, თრთოლა და ჟღერა,  
ხალხურ მოტივზე რომ აამღერა.

ჰანგებს გულამდე მიუშვებ როცა,  
დაემსგავსება სიმღერა ლოცვას...  
ცად ანგელოსთა დასი შეისმენს  
პოლიფონიას, მსუბუქ მელიზმებს...

ზეალტაცების აფრინდა ფრანი,  
აჰყვა სულისთქმა, ვინა ვართ, რანი?..  
შეგათამაშებს გრძნობის მორევში,  
ათასკაციან სიმარტოვეში...

შემოგთავაზებს ვარსკვლავთ არჩევანს...  
გაგიჭირდება თავის დაღწევა...  
მოძახილების ლივლივებს ბანი,  
გალობს სამყარო, მღერის ლოტბარი!

იბერთ სიმღერავ, მრავალხმიანო,  
ვერ გძლიოს ჟამმა, არ გაგვიხუნდე!  
მარად ქრისტესთან თანაზიარო,  
აღუღუნებდე საუფლო ხუნდებს!

### შემოვკრათ ზარი

არც დეკემბერში დავხუჭოთ თვალი,  
დეკემბრის ყინვამ არ შეგვაშინოს,  
უნდა შემოვკრათ ჩვენ ჩვენი რვალი,  
რომ საქართველო გადავარჩინოთ,

აღბათ ისეთი სიტყვა ვერა ვთქვი,  
რომ გავაკვირვო ჩემი სამშობლო,  
თუკი რამე შემეშალა, შენ თქვი!  
ერო! როგორ უნდა ვიქართველო!

იქნებ დაუანგდა ხმალი ქარქაშში,  
ეგებ მოდუნდა ლარი მშვილდისა,  
მეომარი ვერ ისვრის მიზანში,  
იქნებ გლეხი ვერ უდგამს ვაზის სარს,

ამ გზაზე სიარული ძნელია,  
ღვინის გზით დადიოდა კახელი,  
ვიდრე ღვინოს დააყენებს,  
რამდენ შრომას დებს ვაზის ქმნილ ყლორტ საფერი,

ვერ გაჭრა ხნული, მარცვალს სხვა ყრიდეს,  
სათიბს ვინ წავა, სხვის მიწას ხნავენ,  
სარჩო - საბადი, სხვის მიწის ჭამდეს,  
მიწას თავისას ულმობლად ყიდდეს,

ჩემი საქართველო, უქართველოდ,  
ჩანაფიქრია ვერაგი მტრისგან,  
გავჭრათ ხნული ქართული ხორბლისა,  
საუკეთესო ქართულ ჯიშისა.

## ღაიჩაბე

ოღონდ შენს სიყვარულს ქართველი ჩემობდეს,  
დღეს შენ არ გღალატობდეს ურცხვად ეული,  
ჩემო საქართველო! შენ გადარჩებოდე,  
თუნდაც გამასწორონ მიწასთან გრძნეული,

დაისი ჩამონვა, მზე დასალიერში,  
სხივები გაფანტა, მიწაზე ანთია,  
სამყარო გაეხვია ცეცხლის ენებში,  
მას უნდა, აქ გაჰყაროს შავბნელ მანტიას,

ცეცხლს უკიდებს მზის სხივები დედამიწას,  
სამყარო განათდა გრძნეული ფერებით,  
ვიცი საქართველო გადარჩება ცისა, აქ,  
ჩემო სამშობლოვ მე მოგეფერები,

იმედის სხივს აუნთებს მზე დედამიწას,  
დაჰყურებს თვალებით უფალი დიადი,  
ჩრდილი დაფარავს სამშობლოს მოღალატეს?!  
არ ეცადონ, თუნდაც ფეხი დადგან ნყვდიადში,

ოღონდ შენს სიყვარულს ქართველი ჩემობდეს,  
დღეს შენ არ გღალატობდეს ურცხვად ეული,  
ჩემო საქართველო! შენ გადარჩებოდე,  
თუნდაც გამასწორონ მიწასთან გრძნეული.

### ღევნილის ნატყრა

ნეტა ჩემი სახლი დამანახა..  
მამა ეზოს კარებს გამიღებდეს,  
ისევ ჩემს ტოლებთან მათამაშა,  
დედა არასოდეს დამიბერდეს.

ბებო ისევ თბილად ჩამეხუტოს,  
პაპა ისევ ჭკუას მარიგებდეს, -  
მერე კვლავ ბავშვივით გავებუტო,  
გული ძველებურად ამიძგერდეს.

ნეტა კვლავ ჩამომსვა სახლის გვერდით,  
პეშვი შევაგებო სოფლის წყაროს,  
ისევ შევხვდე ვისაც ვაღმერთებდი, -  
გულმა ღმერთამდე რომ გაიხაროს!

ნეტა კვლავ მანახა მინდვრის პირას,  
ჩემი ლურჯთვალეობა კესანები,  
ობლად დარჩენილო სამაჩაბლოვ,  
როგორ მიყვარხარ და მენანები!...

ნეტა დამაბრუნა ჩემს სოფელში,  
ზეცა შემიფარებს მადლიანი,  
ალარ შემაშინებს წვიმის თქეში,  
მე იქ ალარ ვივლი დარდიანი.

ნეტა, სახლში, სოფლად დამაბრუნა,  
მამა გამიღებდეს სახლის კარებს,  
როგორ სიყვარულით დავკოცნიდი,  
ძლიერ მონატრებულს,  
მის ლურჯ თვალებს!

ისევ მენატრები ტკივილამდე,  
ცისფერ კესანებზე დავიფიცებ, -  
მე შენ როგორ უნდა არ მიყვარდე!  
მე შენ არასოდეს დაგივინყებ! -  
ჩემო გატანჯულო სამაჩაბლოვ...



# ხათუნა ბობხაშვილი

---

## მიყვარს

მიყვარს წვიმები უთავბოლო,  
მიყვარს ქარები ორპირი,  
დღეს მაქვს სამშობლო უპატრონო,  
მანუხებს სიტყვა უპირო.

მიყვარს თვალები გულიანი,  
მიყვარს სიყვარულით სიცოცხლე,  
არ მიყვარს კაცი შურიანი,  
ასეთ ადამიანს ვიცოდებ.

მიყვარს ზაფხულის სიმხურვალე,  
მიყვარს წყაროს წყალი პეშვებით,  
მიყვარს საქართველოს მთა და ბარი,  
მიყვარს ქართული ფესვები.

მიყვარს ურმული და ოროველა,  
მრავალჟამიერი და რანინა,  
მიყვარს საქართველოს ცის თალი და  
სხვა სიყვარული არც მინდა.

მიყვარს რიონის აღელვება,  
მიყვარს ბაგრატი და გელათი,  
მიყვარს საქართველოს ყველა კუთხე,  
სიყვარულში ვარ ყელამდის.

მიყვარს ქართული პურ-მარილი,  
ვაზი ოქროსფერი მტევნებით,  
მიყვარს ქარაფები ჩაგრეხილი,  
კავკასიონის ქედების.

მიყვარს, აქ ვისწავლე ანიბანი,  
ფეხიც ამ მიწაზე ავიდგი,  
აქ მინდა სიცოცხლაც და სიხარული  
სხვაგან სიცოცხლაც არ მიღირს.

მიყვარს წვიმები უთავბოლო,  
მიყვარს ქარები ორპირი,  
დღეს მაქვს სამშობლო უპატრონო,  
ქუჩის მარტოსული ლოთივით.

## სამშობლოს

ამ ცას, ამ მიწას არ ჰყავს ბადალი,  
აქ ხალხიც მზეზე უფრო თბილია,  
ანბანი ხატად, სიტყვა ხატებად,  
ქართული სულით მოძერნილია.

ღვთისმშობლის სურნელს აფრქვევს ხნულები,  
ვაზის ჯვარს ნინოს ნაწნავი ჰკონის,  
დედამიწაზე არის სამოთხე,  
ნიჭის ზეიმი... ზეციურ გონის.

სხვა საქართველო?! - არ არის სხვაგან,  
ცა ფიროუზია, მზე კი ბაჯაღლო  
აქ სიყვარულის არის ტაძარი,  
უნდა იგრძნო და გულით ატარო.

## მაცვანა ბონაშვილი

### მოჯადოებულ წრეში

გათითოკაცდა სამყარო,  
ცის ნაცვლად ვუმზერთ ეკრანს  
და მალვიძარა საათი  
რეკავს, ამაოდ რეკავს.

ეს რა ძილქუში შეგვეყრია,  
ველარ ვფხიზლდებით, ვერა,  
ძილ-ბურანიდან დამფრთხალებს  
საით გაგვექცა მზეერა?

სასახლის კართან მისულებს  
შეგვაგებებენ ხარხარს,  
თუკი ვიძალისძალავეთ,  
გადმოგვიგდებენ სახრავს.

სახრავს და სახრეს ჩვეული,  
ერთ დროს რჩეული ერი  
სხვის ნასუფრალზე აცეკვდა,  
სხვის მუსიკაზე მღერის.

მეც ასე ხელებგაშლილი  
თურმე სატანას ვეძმე,  
ხან მაძლარ მამებს ვაპურებ,  
ხან უძლებ შვილებს ვეძებ.

მეც შვილი ვარ და მშობელი,  
მეც დამინახეთ, გვედრით,  
ვარ წუთისოფლის წიგნიდან  
ამოხეული გვერდი.

არ მინდა მე სხვა სამშობლო,  
მე სხვა სამოთხე არ მსურს,  
ვზივარ დაბზარულ კედლებთან,  
ანმცოს ვანებებ წარსულს.

ნუ დამივინყებ, უფალო,  
ნუ მომარიდებ სახეს,  
მიფრიალებენ მავანნი  
ფულით მოხვეჭილ სახელს.

„რავეჩნისა“ კოშკთან დაქანცულს  
მღვრიე ფიქრები შემშლის,  
სანამდის უნდა ვიარო  
მოჯადოებულ წრეში?



## ნათიან ბოხიანაშვილი

### რა გვჭირს ქართველთა?

რა გვჭირს ქართველთა, მოდუნების არ გვაქვს საბაბი, ჩვენი ცხოვრება იგავსა ჰგავს სულხან-საბასი.

ჩემო ქართველნო, გავიხსენოთ ფარნავაზ ქველი, ჩვენთვის განაწვო მან ანბანი დღეს ძველთა ძველი. როგორ მოჰქონდა ვაზის ჯვარი ფეხშიშველ ასულს და ბერებს რწმენით ბრძოლისათვის მონასტრად

გასულთ.

ნუთუ თევდორეს თავდადება ჩაბარდა წარსულს, და არ ჰგავს გორდა ვახტანგისა წრიდან გადასულს?

მეფე დემეტრეს თავდადება იქნებ ფუჭია, ჩვენი სამშობლო, ქართველებო, ერთი მუჭია.

გავიმეოროთ, იბერებო, კოლხებო ძველო, ცოტნეს გამირობა, ნათელი რომ მოჰფინა მდელოს.

ანდა კრავაი, ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი, და შიში შენში თუ გაჩნდება, უცებ მოკალი.

მკლავს როცა ჭრიდნენ არსაკიძეს, სვეტიცხოველი ამაცად იდგა, ანათებდა ძელი ცხოველი.

მეფე დავითით ამაცობდა ყველა ქართველი, ახლაც იცოდეთ, ისევ მოვა ზეცით ნათელი.

პაატას თავი მოკვეთილი ტირის ნოსტეში

- შეისმინეთო ქადაგება დიდი მოსესი.

კვლავ სისხლი მოსჩქეფს ჩვენს ძარღვებში წყნეთელი

ქალის,

დაიმქუხარებს განრისხება მთისა და ბარის.

ქაქუცა ჩვენი, არაგველი გმირი სამასი,  
მათი ცხოვრება იგავსა ჰგავს სულხან-საბასი.  
რატომ მოდუნდით რუსთაველის მოდგმავ, თამარის?  
ფიქრის, ლოდინის, დრო, საბაბი ახლა არ არის.  
ქართველნო, უცებ გადავხედოთ ჩვენს გმირულ  
ნარსულს

და ჩავაბაროთ აღსარება ფეხშიშველ ასულს.  
ადრეც და ახლაც ქეთევანი დაანთებს სანთელს,  
საქართველო კი, ეღირსება მაცხოვრის ნათელს.  
კოლხებო, ძმებო იბერებო, ვუსმინოთ უფალს,  
ჩვენს სამშობლოზე ნურასოდეს ნუ ვიტყვით უარს!



## ილი ბაბათაშვილი

### არა ვკვდებით

დავიღალე, ჰოი, როგორ დავიღალე,  
სული მენვის და თვალეზი მენამება,  
სველი გული გასაშრობად გავიტანე,  
და შამშრალი ტკივილებიც მენანება.

ქარი მაცლის სევდის ფოთლებს ამ გულიდან,  
ყველა გრძნობა სულის თოკზე გადავფინე,  
დავიძრები მალე სოფლის სადგურიდან,  
მხარობლად, ცისკენ ლექსი ავაფრინე.

დასაკარგი ერთი წამიც აღარ დამრჩა,  
ფინიშამდე ვითვლი ბოლო დღეთა რიგებს,  
უნებურად სინანულის გრძნობა გაჩნდა,  
მსაყვედურობს, დაუნერელ სტრიქონ - რითმებს.

თვალს შავავლებ მშობლიური მთების კალთებს,  
გულში ლექსი არაგვივით დაგუბდება.  
ვიხმობ მუზებს, ტყე-კლდეულში ღამენათევს  
და მათ ფონზე, ყველა დარდი გახუნდება.

და თუ მთის თავ ნაარყისფრებ ზეცის ნისლმა,  
მთის წყალივით შაისრუტოს ჩემი სული,  
დამაღონოს, გამაჯავროს რაის ფიქრმა?  
თუ სამარედ მექნას ეს მთა დანისლული?

ნურც ნურავის ჩემი ჯავრი გაუჩნდება,  
არც რამ სევდა ჰღვაროთ ცრემლის ნაკადულად,  
სანამ არაგვს ტოტები არ დაუშრება,  
მეც მანამდე ნურვინ ჩამთვლის დაკარგულად.

სანამ მთებში ერთი ლექსიც იწერება,  
და ცხვრის ფარას სდარაჯობენ ნაგაზები,  
სანამ ჩვენში მთის დიდება იმღერება,  
სწორედ მანამ... მთის შვილები არა ვკვდებით.



### თუნუქის ჯამჯა

წინაპრის აჩრდილით ავსებულ კერას,  
ჭერზე შეკიდულ, საჩირე ლანდურს,  
მზერას, კედლებზე და  
ორი სიმით,  
სკივრში მოქცეულ ბაბუის  
ფანდურს.  
ჭიგოზე, ვაზის ბებერ მხარ-მკლავებს,  
ჩამარხულ სიბრძნეს... თიხის ძარღვებში,  
სიძველით ჭურში, წიბნა ხარხარებს:  
- გამომარჩიე, მტერო, ქართველში!  
ხარ-კამეჩს, მხრებზე ჯვარით შემოსილს,  
ტაბლა და ტაბლაზე  
„კეთილი გული“,  
შემოსულს ძეს და თოფის გასროლას,  
დალალ დანწული ტურფა ასული.  
დიდედის კალთას, ვით მარიამის,  
კალთაში უზის ყრმა ნააკვნარი,  
-...თვალი ავის!  
- დიდება ჟამის!  
ამბობს და,,თვალეებთან მიაქვს კუთხე თავშალის.  
ეზოს ბოლოში კაკლების რიგი,  
ბალახზე მაღლი და ცის მირონი,  
თავშეკავებით ამბობდა  
„იგი“...

- შემინყალე და გამიცისკროვნი.  
ამონვერილი სიმინდის ყანა,  
აპრილში ატმის შემოქალება,  
სოფლის მინდორი, ნარბენი ჭალა,  
ცა, დასავლეთის შემოალეა.  
წინაპრის აჩრდილი ყველგან ეფინა,  
ურმით მიმავალ მგზავრს...  
განამგზავრებს,  
ახლა, მათ ნაცვლად სახლში...  
ძველ სიზმრებს ეძინათ,  
შთამომავალნი ამ სიზმრებს აზავენს.  
ძველი თუნუქის ვერცხლისფერ ჯამზე,  
ტოტთა სინაყოფე საკურთხს ამზადებს  
და ხმაზე,  
სახლის ფიცრების ჭრიალის ხმაზე,  
ბაბუა ფანდურზე მესამე სიმს...  
სულიერ სიმშვიდით,  
შორეულ ზმანებით,  
ქართული სულისკვეთებით აგებს.



### ქართული მიწის საოცრება კლდე ტირის

ბარათაშვილზე კლდე ტირის,  
ცრემლი მტკვარს ჩაედინება,  
ვინც ამ სასწაულს იხილავს,  
მშვიდად არ დაეძინება.

კლდე ტირის, ბედკრულ ქართველებს,  
უდროოდ წასულ ყმანვილებს,  
ოდითგან მტრისგან გატანჯულ  
მამულის დამცველ არწივებს.

კლდე ტირის ჩუმი ქვითინით  
გულზე ნაპრალი უჩნდება,  
მინა ტიროდეს, უფალო,  
სხვა ქვეყანაში თუ ხდება?

კლდე ტირის, კლდის ხმა მწუხარე  
გმირებს საფლავში ჩაესმით,  
ნადენი ცრემლი ვაჟკაცებს  
ჭრილობებს უბანს ალერსით.

ბარათაშვილზე კლდე ტირის,  
ნატანჯი, ნაიარევი,  
მეც მისებრ თვალცრემლიანი  
კლდის ძირში დავიარები.

კლდეო, დაწყნარდი, ნუ ტირი,  
გეყოფა ცრემლის დენაო,  
არ დაიჩოქებს ქართველი,  
ჩვენ დაგვიფარავს ზენაო.

## **ცრემლდანამულო ჩემო მამულო!**

ნუ მეღირსება სხვა ცა, სხვა მიწა,  
მოვკვდე, შენს გულში დავისადგურო,  
ჩემო ქართულო, ენავ ტანჯულო,  
ხარ ჩაუქრობი წმინდა სანთელი.  
შენა ხარ ჩემი განძი საუნჯე,  
მე ვარ ქართველი, მე ვარ ქართველი,  
ანო და ბანო, ჩემო გზაკვალო,  
მთელი ქვეყანავ, მთელი სამყარო,  
ტანჯვანამებით იარე გზები,  
სძლიე ორგული, ბოროტი, ფლიდი  
და უფრო მტკიცედ გაშალე ფრთები,  
შენ შემაცვარე სამშობლო ჩემი,  
მე შენი იავნანათი ვტკბები,  
დედაო ენავ, ჩემო ქართულო,  
დიდება შენდა, გუგუნებს მთები,  
მე ვარ ქართველი, ვარ ბედნიერი,  
დედაენაა ჩემი ქართული!

### **თბილისო, შენი ნატერფალი ვარ!**

თბილისო, შენი ნატერფალი ვარ,  
გულჩახვეული ერთი სიმღერა,  
ჟრუანტელი ვარ მესალამურის,  
კვენესა ჰანგების მოდის თითებთან.

საიათნოვა ვარ, შენი აშული, -  
შენთვის ვიმღერე მრავალ ენაზე,  
სულში ჩამწვდომი ხმა ვარ დუდუკის,  
აკვენესებული მტკვარზე, ვერაზე.

ვარდი ვარ ერთი, მუდამ გაშლილი,  
კრწანისის ველზე დაღვრილი სისხლი,  
შენი წყლული ვარ, შენი იარა,  
იუნკერების სულთქმა და ფიცი.

შენი ლურჯი ცის ანარეკლი ვარ,  
ნარიყალას ქვეშ დაღვრილ ფერებად,  
იასამანის ერთი კვირტი ვარ,  
სიყვარულის მზე რომ ეფერება.

შავნაბადაზე ღამე ვარ ნაზი  
და მოლაღურის შემოძახილი,  
დასერილი ვარ სხივების ბადით  
ზეციურ ძალთა ერდოს ყვავილი.

მეთულებზე ვარ, ხან კი მედროგე,  
რომ მიაქანებს ცხენებს ჭენებით,  
ხან ორთაჭალის ბალის ტურფა ვარ,  
თვით ფიროსმანის მზით ნაფერები...

ქალი ვარ, დედა, და და ასული,  
ვარჯი ვარ, ვაზი, ბანი, თილისმა,  
შენი ბავშვობა, შენი სიბერე,  
არგამტეხელი საღვთო ფიცისა.

### **შენ, კახეთო!**

წვიმდა, წვიმდა, უცნაურად წვიმდა,  
დასდიოდა ცრემლი მხოლოდ ვაზებს,  
და კახეთის ამ საოცარ მიწას  
მზე აფენდა ციდან ფიანდაზებს.

ღობე, ღობე, გავსებული ეზო  
ყვავილებით, ქვევრებით და ჭურით,  
შენ კახეთო, თეთრ ღრუბელთა მწყემსო,  
სიტკბოებით გამომივსე გული.

დაფენილი რუხნისლები ცაზე,  
მოვედი და მყისვე შევიყვარე,  
გვერდზე გადაექ, საქართველოს მტერო,  
მზე დაადგა ხორბლის ნაფერ ყანებს.

### **მხარე საარაკო**

დედასავით ტკბილო,  
მხარევ საარაკო,  
წინაპართა ძვლების  
საფლავთ შესალაგო!

რაც კი ქართველობას  
სისხლი დაუღვრია,  
ღალადებენ ქვებიცი,  
წვეთი შეშრობიათ!

გმირთა გამომზრდელი,  
საქართველო, ჩვენო,  
სიამაყით გიმზერთ:  
სათაყვანებლო!

აყვავებულ მთა-ველს,  
ამწვანებულ მდელოს  
ცამდე აწვდილ მწვერვალს,  
ჩამოთოვლილ ფერდობს!

დღისით სხივნათელი,  
ღამით ნამთვარალი,  
შენს კუთხეს და მხარეს  
შენატრიან სხვანი...

ივლი, ვერსად ნახავ,  
სხვას არავის ერგო,

ხალხი მთა და ბარად  
შეაფარე, ღმერთო!

ტრადიციებს ვიცავთ,  
ვინარჩუნებთ წესებს,  
მამა-პაპის ნაქონს,  
რელიქვიად ვეძებთ!

ნიჭი, გონი ჩვენში,  
მართლაც საამაყო,  
ბევრი წერს და მღერის,  
ცეკვა ვინ არ აქო?

მისაბაძი გახდა,  
ოჯახი, ძეობა,  
„ამენით“ იქადაგება,  
ბოლო ჟამს ზნეობა!

ყველგან ყველაფერი,  
თავდაყირა დადგა;  
მხოლოდ ქართულია,  
რაც არ გადაგვარდა.

მატყუარა, ფლიდი,  
ცხოვრება გამხდარა;  
ღმერთის მოიმედე,  
არავინ წამხდარა!

ალალ-მართალ ქართველს,  
გაეტანოს ლელო!  
უფლის მადლით გველოს,  
ჩვენო საქართველო!

### საქართველო გაგრძელება

მიყვარს სიმართლე, შენ მიყვარხარ,  
როგორც სიმართლე, მესმის წუხილი...  
საქართველოს ბედი მადარდებს,  
ვილაც გაურბის,  
ვილაც მისთვის აწყობს სამართალს,  
მაგრამ სამშობლოს არ ადგება  
ესეც არაფრად,  
ვწუხვარ და მენვის დაყოფილი  
საქართველოსი,  
ვწუხვარ ქართველის, ვინც ვერ ხვდება  
და გზას გაურბის,...  
შემობრუნებას ველოდები,  
დრო კი არ იცდის,...  
მწუხრის ჟამზეა საქართველო,  
მზე კი შორს იცდის.....  
ომები, სისხლი, მთავრობა სხვათა...  
გლეჯენ ბოლომდე და არ დამთავრდა,  
ნუთუ არ კმარა?! განიცდის ყველა!  
გვინდა, რომ ერთხმად ავიდგათ ენა,  
ისე ცოტა ვართ ქართველი ერი,  
მაგრამ ლალატივ ყველას წინ ვდგავართ,  
გაცვლა, კამათი, განირვა ბედის,  
კვლავდაკვლავ დაგვსდევს, როგორც სატანა,  
შურია ყველგან და ეს შური კლავს,...

ქართველი ქართველს აღარ იფარავს!  
ნუთუ არ არის დრო გარდასახვის,  
რომ საქართველო იდგეს მარადჟამს,  
ვერ გაუყვიათ ათასი მიწა,  
ვერ აარჩიეს ვერცერთი ის გზა...  
ვერ დაალაგეს და კვლავ იბრძვიან,  
ვის მეტი წილი, ვის სახელი აქვს,...  
ნუთუ არ არის დრო გარდასახვის?!  
იყო ქართველი მყარად შენს სახლში,  
მტერს თვალი უდგას საქართველოზე,...  
ვუმზერთ მოვლენებს  
და გვეღეჯენ ბოლომდე,  
მაგრამ არ მინდა, რომ დავიჯერო,  
არ მინდა, ფიქრი შორს გავაგრძელო,...  
რომ ჩვენს მიწა-წყალს არ ედგეს გული  
და რომ გაქვავდეს ქართული სული,  
მჯერა, მე თუ არ...ჩვენი შვილები  
მოესწრებიან სამშობლოს ბრწყინვალს!  
მინდა, რომ მხოლოდ საქართველოში  
არ გაქრეს ჩვენი ქართული სიტყვა!  
ნუთუ დრო არის?! ალბათ ჯერ არა,  
ჯერ ვერ დააწყვეს გეგმები ალბათ,...  
მაგრამ მჯერა, რომ ჩვენს საქართველოს,  
დედა ღვთისა რომ კვლავ დაიფარავს....

### სამშობლოსათვის, მაცალე!

გავბედე, გამოგიგზავნე,  
მოკრძალებული უსტარი,  
შენთან მოსვლამდე ვიმგზავრე,  
ლანვზე მცოცავი კურცხალით.  
მაცალე, ღმერთო, შევალო,  
მარადისობის სარკმელი,  
ნათლის სვეტს ხელი შევახო,  
მოვიხსნა გულის სარქველი.  
მაცალე, მოვინახულო,  
ქვათახევი და გელათი,  
დროსთან მებრძოლი ხახული...  
დამატკბე მათი ცქერათი,  
ნუ მომკლავ, რომ არ მანახვო,  
ლურჯი გაგრა და ბიჭვინთა,  
იქ მივეფერო ბალახებს,  
ვისუნთქო ზღვით და ფიჭვითა.  
ერთი სიცოცხლე კი არა,  
იქნება, მეტიც მაცალო;  
საგალობლებით, ფიალა,  
სამაჩაბლოში დავცალო.  
მესტუმროს მუზაც, იქნება,  
გავათბო მკერდის უბეში,  
ერთად ავკინძო წიგნებად,  
განცდა, რწმენა და ნუგეში.

ჩემი ცხოვრება ეს იყო,  
ხნულში ჩავაგდე მარცვალი;  
ერთი მლოცველი მეც ვიყო,  
სამშობლოსათვის, მაცალე!

### **და ვ ლ ო ც უ ლ ო ბ დ ი თ ი!**

ვიღაცა წუხელ უკრავდა შოპენს...  
მუსიკა ზეფირს მისდევს და ერთვის...  
ვარდის მაისი ქარგავდა სოფელს  
და ვლოცულობდით მეცა და... ღმერთიც!  
დაღლილი ღამე ლულავდა თვალებს,  
დუმდნენ სახლები, რულდაძლეულნი,  
ღრუბლების მალლა მიჰქონდათ ქარებს,  
ფიქრები ჩემი, ლოცვად ქცეული.  
გზა ხერგილებით არის სავალი,  
მზით სავსე გვინდა ქართული ჭერი,  
უფალო, ახლა არის მთავარი,  
გადაგვიჩინო სამშობლო ჩვენი.  
ვიღაცა წუხელ უკრავდა შოპენს,  
მუსიკა ზეფირს მისდევს და ერთვის;  
თეთრი ვარდები ათოვდა სოფელს  
და ვლოცულობდით მეცა და... ღმერთიც!

### **უფლის ჯილდო, მისი სულის ზიარო!..**

მინდორ-ველში მოქარგულო თაველო\*,  
ზეცის ბროშო\*, ყანაში ჩამცვრეულო...  
იაკობის დედაენით კაზმულო,  
თორმეტ უძილო წელს ნაძებნ-ნატრულო!..

მინად მფენო, ცვარო, აღმასიანო,  
ზღვა-ტბა-წყარო-რუ-მდინარით შობილო,  
ცად ასულო, ღრუბელ-ღრუბელ შეკრულო,  
წყალო, ღვთისა ცა-მინად მოარულო!..

ხშირო ტევრო, შველ-ირემთა ალაგო,  
ვარსკვლავთ ჯარო, რიგ-მწკრივად გაბნეულო.  
ღამის მთვარევ, ზეცის პირს მოხატულო,  
ნამგალა და ბადროც, ჯიხვ-არჩვ-რქიანო!..

წინაპართა ოფლით, სისხლით მორწყულო,  
მინა-დედავ, ღვთისმშობელით მოძღვნილო...  
წინაპარნო, მარად, ჩვენ წინ მყოფელნო,  
დაგვილოცეთ: ერი, ბერი, სამშობლო!..

შოთას მუზავ, ვეფხვის ტყავზე წერილო,  
დედოფალო, თამარ, მეფევ, სვიანო...  
შენი ჯვარით დალოცვილ-მადლიანო,  
მვედრებელო უფალს მარად მზიანო!..

დავით მეფევე, ქვეყნის აღმასვლიანო,  
პირ-ტიტველო, ჭაბუკ-ვაჟკაც ღვთიანო...  
შენ, სამშობლოს სიყვარულით აღვსილო,  
აღმშენებელი ხომ ხალხით გქვიაო!..

აკაკივით ქნარზე მღერო ბულბულო...  
დიდ ილიას ლელთ ღუნიავე, ღვთიანო...  
ჭიუხ - ჭაუხ, ზვავ - შვავ - ჩანჩქერ ხმიანო,  
შენ, სამშობლო, კოლხ - იბერთ ქრისტიანო!..

მყინვარწვერო, ხევის, პატარძლიანო...  
უშბა-შხარა-თეთნულდ თეთრნაბდიანო...  
არწივ-ორბთა ყორყოტ-ყიოტ-ირაო,  
ნანად გესმის, ვით აკვანში ჩვილ თოთოს!..

შენ, მამულო, ჯიშ-გენ-ჯილაგიანო;  
იოთამ-ცოტნე-თევდორე მღვდლიანო...  
ცხრა ძმა, გმირო, სამას ვაჟკაც სვიანო,  
შენირულო მამულს სულ-ხორციანო!..

საქართველო, მზის სადარო, ფხიანო,  
ცისარტყელის ფერით კალთა ცვრიანო...  
მთვარის პირო, გულო, ბადრსახიანო,  
უფლის ჯილდო, მისი სულის ზიარო!..

---

\*თაველო-აქ; თავთავი

\*ბროში-აქ; მზე

### თავისუფლება - საქართველო!

სამშობლოს ტკივილს გული დაუსერავს,  
მის ბედნიერებისთვის მინდა, რომ ვდუღდე,  
თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაჭრილს  
სიცოცხლის ყიჟინა მინდა, რომ ქუხდეს.

სამშობლო, ჩემი გულის ფეთქვაა,  
შვილი ვარ, ჩემი ქართულ მთა-ბარის.  
მტკივა, აფხაზეთს ფრთა - მოტეხილი,  
ენგურს ვესწრაფვი შეკვრას კამარის.

სამეგრელოში იარებს ვიღობ,  
ფსოუს წყალს შევსვამ გულდაკოდილი,  
თავისუფლების სიცოცხლით მებრძოლს,  
ღრმად მაქვს ფესვები მე დაკოჟრილი.

გურიის მთებში ქრიან ცხენები,  
ბახმაროს სუნთქვით გულანთებულნი,  
სანერეთლოში ჩანგურს დავმღერი,  
სამურზაყანოს სხივანთებული.

ვდგავარ იმერეთს, მალლობზე გორას,  
შორს, დარდით გავცქერ მარუხის ტეხილს,  
ტკივილით ვინმენდ კოდორის ცრემლებს,  
ველარ ვერევი ფიქრებს ატეხილს.

საქართველოზე გული მიტირის,  
გული, ბედიის ტაძარში ფეთქავს,  
ხმალადადისით, უფალთან ჩოქვით  
მოქვის მონასტერს მსურს ლოცვა მეთქვა.

აქ სამაჩაბლო მისველებს თვალებს,  
ლიახვს ჩამოაქვს ცოდვის ცრემლები,  
სისხლმა შელება წვერიახოს მთა,  
ყველას დასერილ გულს ვეფერები.

გმინავს, ტკივილის ხმა უდრტვინველად,  
მტერს რომ უმღერდნენ გმირულ „შავლეგოს“,  
ანწუხელიძის ამაყ, ქართულ სულს ვფიცავ,  
სიკვდილს, სიცოცხლე რომ შევაგებოთ.

თავისუფლება - ჩვენი სუნთქვაა,  
ტანჯვა ვერ მოგვკლავს, მტერი ვერ დაგვცემს,  
თავისუფლება - საქართველოა,  
ქართველებს ვერვინ რომ ვერ წაგვართმევს.



### საქართველო

ენძელებში დავიბადე,  
ციურ ნამით განვიბანე,  
შენი მზე და შენი მთვარე  
სალოცავად გავიხადე.  
ფურისულით მოჩითული  
მთა და ბარი მოვიარე,  
ყაყაჩოებს დავემგზავრე,  
ღიღილოებს ვეტრფიალე.  
მინა-გვირილების ტევრი,  
ზეცა-ანგელოზის ფრთები,  
შავი შაშვი მგალობელი,  
ღმერთი- ჩვენი მწყალობელი.

\*\*\*

მზემ გაანათა ქვეყანა  
ბუდეში ჩამოიხედა,  
ჩიტმა ნიბლიამ კერაზე  
საგალობელი იმღერა.  
-ოქროს ნისკარტი ხმატკბილო,  
კარგი ამბავი სოფელსა,  
სამშობლო გამიხალისე,  
ჩიტო, გაფიცებ ბარტყებსა.

## წმინდა წინეო

მადლით მოგვხედა ღვთისმშობელმა,  
ჯვარი აკურთხა,  
ზვარი ახარა ქართლის ბაღში  
-ნაზმა ქალწულმა,  
ნაფეხურებზე ია ხარობს,  
კანარკუნურა,  
ლოცვით განბანა  
ცა და მინა  
დალალდანულმა.  
კალთა სავსე აქვს:  
სუმბულით და ყაყაჩოებით,  
შუბლზე გვასხურა აიაზმა  
კვლავ სასოებით.

\*\*\*

იღებებოდა მინდვრები სისხლით,  
არ ილეოდა ქირი ქართლისა,  
ბერ-მონაზონნი იცავდნენ საყდარს  
და საიდუმლოს ქართველობისას.  
ჯვრისთვის თავს დებდნენ,  
სოფელსა თმობდნენ,  
რომ შეენახათ კვართი უფლისა,  
აქამდე მოსულს სანთელი გენტო,  
რომ გეგრძნო მადლი სიყვარულისა.

## სამშობლო ჩემო!

ძალიან ღრმა ხარ  
და თან  
კამკამა,  
ასხლეტილ რიჟრაჟთ  
გაფერებს მზე და...  
ნინაპართ ხსოვნის  
მადლი არ გკმარა  
ახალ კვირტთ აზრობს  
ამაყთ-ცრუ მზერა.  
იქნებ ან ბრმა ხარ  
და თან -  
ჩერჩეტი,  
ატკრეცილ ღანვებს  
ველარ რწყავ  
ცრემლით.  
სულის ნანგრევთა  
ნაშენ მეჩეთში,  
ცოდვებს რომ ჭედავ  
ნელ-თბილი გრდემლით.  
„შენ ისე ღრმა ხარ“  
და თან  
უკვდავი...ვით  
ჟამთა ფსკერი  
ათასწლეულთა.  
თვალ-ცრემლ-წყლიანი  
ხარ უფლის კრავი,  
გამოირჩევი  
ათას წყეულთგან.

ღრმა ხარ, უძირო...მწამს და  
ვეშვები  
შენს ძარღ-ფესვიან  
წარსულის ხვამლში.  
ფიქრს სისხლად ვწურავ... ვერა  
ვერ გშველი  
ფშუტე თესლს ვთესავ  
ზნის – ყამირ კვალში.  
„შენ ისე ღრმა ხარ“,  
ისე ლიცლიცა,  
ვით კლდის ნაჟურის  
მარგალიტები...მაგრამ  
შენი ცა  
თუ გაიცრიცა,  
მზევე, ვერ დაიტევ,  
რასაც იტევდი.  
ძალიან ღრმა ხარ,  
ღრმა და  
კამკამა.  
შენში ლიცლიცებს  
მთელი სამყარო...  
მუმლი გვაშორე,  
გვინამლე, ღმერთო,  
მუხის ფესვად გვქმენ  
ლოცვა  
არ გვკმარა -  
ნირშეცვლილ ცოდვილთ...  
გემუდარები,  
ისევ შეგვინდე  
კვლავ  
ჯვართ რომ გაცვით  
და  
უ ა რ გ ყ ა ვ ი თ  
უაზრო ბოდვით.

სანამ...

სანამ...

სანამ გაცლილა თიხის ფილა,  
სანამ შრილებს ვერხვის ფოთოლი,  
სანამ ტანში მცრის და მაჟრილებს,  
ბარათაშვილის სული ობოლი.

სანამ მამალი შქაუხოს იყივლებს  
და გააღვიძებს სოფლებს ფშავისას,  
სანამ გლეხკაცი ნამგალს ალესავს  
და გაუყვება ნაპირს ყანისას.

სანამ სურნელი გადაჰკრავს მიწას,  
ხნულებს ავლებენ გუთნისდედები,  
სანამ ენძელა ეხვევა იას  
და შრილებენ ხოდაბუნები.

სანამ პატარა ეზოში დარბის,  
ფეხებით თელავს ანწლსა და კოინდარს.  
სანამ გოგონა ტან-აშოლტილი,  
ცივ წყალს წყაროდან კოკით მოიტანს.

სანამ გოდერძი ბატკანით ხელში,  
გზას მიუყვება გუდამაყრისას,  
სანამ ჭიუხებს ეხეთქებიან  
ხმა არჩვისა და ხმა ირმებისა.

მანამ არ მინდა მე დაბერება,  
დავთვრე ამ სიზმრის ტკბილი ბადაგით,  
ჩამოვჯდე მარტო სადღაც ტყის პირად  
და მაფხიზლებდეს ჩემი არაგვი.

მანამ არ მინდა წასვლა იმ ქვეყნად,  
ვერ მოვიხურო შავი ნაბადი,  
სანამ არ გნახავ შენ, საქართველოვ,  
ნიკოფსიიდან, დარუბანდამდი.

## „დღემდე როგორ გავძელო“

გაიყიდა ვარძია და  
გაიყიდა იკორთა,  
ცრემლი თვალზე მონადენი,  
ოშკის კოშკთან მიგორდა.

არსად ისმის ჩაკრულო და  
არსად ხასანბეგურა,  
მუხის ტოტზე დარჩენილა,  
მარტოდმარტო ბელურა.

არსად არ სჩანს პურის ყანა,  
არსად არ სჩანს საბძელი,  
მიკვირს, მიკვირს ქართველებმა,  
დღემდე,  
როგორ გავძელო?!

### საქართველოს

ეგ ხატება მენტოს სანთლად,  
შენზე მლოცველს სხვა რა მინდა,  
შენს მინაში დავიმარხო,  
ამის მეტი არა მინდა.  
სხვისი ქვეყნის სრა-სასახლე,  
ოქრო-ვერცხლი არად მინდა,  
შენი მთა და შენი მდელო,  
დასაფიცად სხვა რა მინდა.  
ბედმა ბევრჯერ გამამწარა,  
თვალეზიდან ცრემლი წვიმდა,  
სხვის ენაზე არ გავცვალე  
მშობლიური ენა წმინდა.  
შენზე ლოცვით დავიღალო,  
შენს მეხოტბეს სხვა რა მინდა,  
შენს მინაში დავიმარხო  
ამის მეტი არა მინდა.

## მოსაგებია ისევ დიდგორი

მწუხარე არის დღეს ჩვენი ანმყო,  
დიდგორი „მტრების ძღვევას იხსენებს“...  
დღესაც მომხვედურთან ბრძოლის მსურველი,  
ხმალი ქარქაშში ველარ ისვენებს.  
„ენის, რწმენის და მამულის“ დაცვა  
როგორ სჭირდება დღევანდელ ქართველს,  
ჩვენ ახლაც ვნატრობთ დავითისნაირ  
უშიშარსა და გონიერ მმართველს.  
მტერი მუშლივით შემოგვესია,  
მწუხარედ კვენესის ქართლის მინდორი...  
მამულის დაცვა გმირთა წესია,  
მოსაგები გვაქვს ისევ დიდგორი.  
მომავლის რწმენით გაფანტე მწუხრი,  
ამომზიანდი, დღეო ნათელო!  
დრო აღარ არის უკან დახვეის,  
ხელი ხმალს იკარ, გმირო ქართველო!

# ნათია თაბაბაიძე

---

## ჩემი ედემ-ბალი

ჩემო ედემ-ბალო საქართველო,  
ზღვად ჩაუძირავო გემო,  
მინდა ჩემებურად გიგალობო,  
ვიგრძნო შენი მადლის გემო.

დედა ღვთისმშობელის წილხვედრო და  
ლოცვით გამონწვრთნილო გრდემლო,  
მრავალ ჭირ-ნახულის გამომვლელი,  
მანც ძველებურად მჟღერო.

ჩვენო ვენახო და ვაზის ჯვარო,  
მაჭრის ტკბილ ნაკადად მღვრელი,  
წირვისას თბილად დამლოცავო,  
ზეცამდე ასულო ცრემლო.

მოყვასს სწყურია ცხოვრება,  
სიკვდილო, ნუ მოხვალ ჯერო,  
ასე ტკბილი ხარ და ტკბილად დაგვიბერდი,  
სიცოცხლე დაგელოცოს, ჩემო!

## უწყვეტი ქარღვი

ნუთუ განყდა ყველა ძარღვი კაცობის,  
დავდივარ და გზად დავეძებ კაცს,  
ძარღვში სისხლი მიჩქრიალებს ცხოველი  
და სიცოცხლეს დავატარებ თან.

ცხელმა სისხლმა გული გააგულადა,  
შეუპოვრად შეებრძოლა ქარს,  
სისხლი მაინც სისხლია და გაიტანს  
თუ გული აქვს საგულეში კაცს.

კაცი კაცობს, გული ხარობს კაცობით,  
კაცობაა უმთავრესი რამ,  
თუ კაცი ხარ, კაცურადაც იღვანე,  
რად გინდა, რომ ექიმები ძმას.

ყოველივე საერთო გვაქვს ამ სოფლად -  
ტკივილის ზღვა, სიხარულის ცა,  
უფალმა ხომ დაგვაპურა ყველა და  
რატომღა ვართ ერთურთისთვის სხვა?



### შენი მზე მწვავდეს

საოცნებო ნატვრის თვალო,  
სიყვარულის ამულეტო,  
შენი ფიქრის რტოზე ვგალობ,  
ჩემო დედულ-მამულეთო!  
შენს გულისთქმას რომ ვერ ვგრძნობდე -  
ეს სიცოცხლე წამიერი რაღად მინდა -  
ძვლებს ათბობდეს  
მწველი, „მრავალჟამიერი“.  
ამ მიწასთან შებერების  
ნუ მომაკლებ ნეტარ ნუთებს,  
მე შენს ფესვებს ვეფერები -  
ვაზის ლერწს რომ ვუსათუთებ.  
დგას კვლავ მკვიდრად,  
დრო-ჟამს უძლებს მეტეხი და ნარიყალა...  
ხარობს შენი მესაფუძვლე,  
შენმა მტერმა არ იხარა.  
მე ვარ შენი დილის ნამი  
და სიცოცხლე-ერთი ბენო;  
სულ შენი მზე მწვავდეს, ამინ!  
შენმა ეშმა დაცამლენოს!

## **მამულო, შენი ჟრჟოლა გადამდე!**

მომალოცვინე შენი ტაძრები,  
ამანთებინე სული კელაპტრად:  
დასწვი, დანაცრე დასანაცრები  
გული-მუდამ რომ შენთვის ლელავდა...

მინდა-გაგანდო ფიქრი უთქმელი  
და იარებზე მეც მტლად გეფინო,  
ჩაუმუხლებლად შენი უღელის  
ერთხანს ტარება შემაძლებინო!

თუ არსაიდან ჩანდეს საშველი,  
მზე დაეკარგოს თვალთა სანჩერს, -  
იმედის ხელი შემომაშველე,  
პატარა ცეცხლიც შემომანიე.

მამულო, შენი ჟრჟოლა გადამდე,  
მარგუნე მინა ხვედრად რგებული, -  
როცა მოვკვდები მშვიდად-ცათამდე  
შენს სიყვარულში აღზევებული!

### ჰერეთის კარი

შემორჩენია ჟამთა სვლას აბრა  
„ჰერეთის კარი,“  
მაგრამ სადღაა ნეტა ჰერეთი?!  
მიტაცებული მუსლიმთა მიერ,  
მინა იბერთა, გაპოხებული  
წინაპართ ძვლებით,  
ირგვლივ - ოაზის  
თვალწარმტაც მთებით!  
კაკლის ხეივანს მიყვები უბრად,  
არ არის სიტყვა უფრო ქართული,  
რა ვუთხრა იმას, რა ვუთხრა იმას,  
ვინაც არა ჰქმნა საქმე კაცური  
და დაუტოვა შთამომავლობას,  
„ინგილოები“ ამოშანთული!  
მამულიშვილნი ცრემლშეუშრობნი,  
საქართველოსთვის ნაცემ-ნაგვემნი,  
რომელი მცნებით შესცოდეს უფალს,  
რად გაინირნენ ნაღდი ქართველნი?!  
...„არსაიდან ხმა, არსით ძახილი,  
მშობელი შობილს არრას ეტყოდა,“  
ნეტავ სად არის უნეტარესი,  
ან ქართლის დედა,  
მტერს რომ ებრძოდა?!  
თავჩაჩეჩვილი ვნახე ქურმუხნი,  
ალაზნის ველი ბორგავს მდუმარედ,

თავს წამომდგარი ვეება ლოდი,  
გაშტერებული, მდგომი მწუხარედ!  
...დგას მოლოდინში დიდი ტაძარი,  
გასცქერის მომსვლელს:  
მტერს და მოყვარეს,  
ვინ რუდუნებით აუნთებს სანთელს,  
ვინ ამოჩიქნის კედლებს და კანდელს!  
გაუფატრიათ, ამოუცლიათ  
თუ სასიცოცხლო  
რაც რამ ებადა,  
ამას ცხოველიც არ ჩაიდენდა,  
ადამიანმა როგორ იკადრა?!  
ვუვლით გარშემო,  
ვავედრებთ ჩვენს სულს,  
ვგრძნობთ ანგელოზთა დასი გრიალებს,  
რამდენს გაუძლო წმინდა გიორგიმ,  
რამდენ ქართველს, შტორმს და გრიგალებს!  
კვლავ ვანთებთ სანთელს,  
უძველეს ქვაზე,  
ჩვენს წინაპართა კვალი ატყვია,  
ვტოვებ სალოცავს უსიერ ტყეში,  
ტაძრის გუმბათზე მერცხლის ბარტყია!  
გვიმზერს ტაძარი, გული მიკვდება,  
ვტოვებ მრევლის და მამის გარეშე,  
მივიხედე და ოო, საოცრებავ, მთა მოეფარა,  
დროა დავეშვე!  
...ჩვენ ყველას ვუღებთ გულს და უბის კარს,  
რამდენი რჯული შეგვიფარია,  
შენ დაიფარე საინგილოში,  
ყველა ქართველი - მზეო მარიამ!

## სახიბი ჯაჯანაშვილი

### სიზღერა საქართველოზე

დე, მტერმა ბევრჯერ სახლამდის მდია,  
ბევრჯერაც დამრჩა ყანა სამკალი,  
მე კი ხელიდან არ გამიგდია  
ჩემი ხმალი და ჩემი ნამგალი.

შორს ალავერდი როცა იწვოდა,  
მენვოდა გული, სისხლით მდულარი...  
და კავკასია რასაც ეწოდა,  
იქ საქართველო იყო დულაბი.

არ დამვიწყნია მე ძმებთან ძმობაც,  
ვიდექ გიორგი - შემმუსრი ავის,  
მე ქართველი ვარ და ქართველობას  
არ დავანებებ ქვეყნად არავის.

და დავემსგავსე მძლე, ბებერ ურთხმელს,  
თავს რომ უხრიან ფუჭი ხენია,  
მათ ჩემი ლხინით ულხინდათ ერთხელ,  
ჭირით ათასჯერ მოუღებენიათ.

თუ კვლავ მამულში ვარდი აყვავდა  
(ბევრს ახსოვს, მისი ამინდიც იდგა)...  
ხელის შემშლელი მე ბევრი მყავდა,  
მხარში კი ერთიც არ ამომიდგა.

ბევრჯერ ჩამოწვა ეპოქად ბნელი,  
ალარც ვიხსენებ, რაც მოხდა სრულად-  
დასანანი ყოველი წელი,  
მომავლისათვის რაც დაკარგულა.

ორთავ თვალის ჩინს - ამერს და იმერს,  
ვუფრთხილდებოდი - ძეგამს, არტანუჯს...  
ვაი, იმ მშობელს და ვაი, იმ ერს,  
ბედ-ჩარხის მართვა ვისაც არ ძალუძს.

კრწანისს იმედის ხე მაქვს დარგული,  
ლოდინი ჩემთვის მშვიდი ომია,  
მე იქ გამიტყდა ხმალიც და გულიც,  
სული არასდროს არ გამტყდომია.

დე, მტერმა ბევრჯერ სახლამდის მდია,  
ბევრჯერაც დამრჩა ყანა სამკალი,  
მე კი ხელიდან არ გამიგდია  
ჩემი ხმალი და ჩემი ნამგალი.



### ა რ ი ც ვ ლ ე ბ ა !

საქართველოს შვილი მექია,  
ფეხი სად არ დამიდგია,  
ბევრი მინა მომივლია,  
რწმენა არ შემირყევია.  
ისიკული, რიზე, თასუ,  
ხეტიალში გამივლია.  
ბაბა სასახლეს დამპირდა,  
ჯვარი ვერ დამაგმობინა.  
აქსაკალი ოქროს მანვდის,  
საქართველო ბაჯაღლოა.  
ვერც თასუზე შემაცდინეს,  
სახელი არ შემიცვლია.  
ოქრო-ვერცხლზე არ იცვლება,  
არც სამშობლო არცა რწმენა,  
საქართველოს შვილი მექია,  
ასე მოვკვდე მირჩვენია!

### ტკბილი კვირი

როცა სიო დაუბერავს  
სვირში  
და ჩამოჰყრის „ნიგვზებიდან“ ფოთლებს,  
ხეზე ტკბილად იგალობებს ჩიტი,  
სამოთხეს ჰგავს ჩემი იმერეთი.

ჭიდან წყალს რომ ამოვიღებ,  
დაცვარული ხელადით,  
ყლუპს გადავკრავ,  
გულით გეტყვით,  
სამოთხეში მობრძანდით!  
მეც ამ სამოთხის შვილი ვარ,  
თვალწარმტაცსა ვეფერები,  
ყველა კუთხე მიყვარს, მაგრამ  
იმერეთს!  
იმერეთს შემოვევლები!

## რწმენა და იმედი

ზამთრის დილა გაგვითენდა,  
ღვთიური და მშვენიერი.  
ქრისტე იშვა გიხაროდეთ,  
ერო, გაშალე ფრთები!

გეყო ტყვეობაში ყოფნა,  
გაახილე ორთავ თვალი,  
ირწმუნე, რომ ღმერთი გწყალობს,  
მტერს არ დაუხარო თავი!

წართმეულიც დაიბრუნე,  
მსოფლიომ, რომ დაგაფასოს,  
ტრანსგენდერობას მოეშვი,  
საქართველო არ დაკარგო!

# თამაზ ჯაბაუხიძე

---

## საქართველო გაბრწყინდება

რატომ მოიწყინე, საქართველოვ,  
ჭირში მაგრდებიან ლომები,  
ალგეთს დაგეზარდა ბოკვერები,  
ეგრისს დაგიცავენ ფხოველნი...

რატომ ამიცრემლდი, ქართლის დედავ,  
ჩვენ ჯიშს არ შეშვენის ცოდვები,  
ქუდზე კაცი მოვა, ნელში გაიმართე,  
ყველა თამარ მეფის მოყმენი...

კოლხეთს, იბერიას ყველას ერთად შეკრავს,  
დედაღვთისმშობელის ლოცვები,  
ენას, მამულს, რწმენას ველარ შელახავენ,  
გვფარავს მადლობით და მოთმენით...

ხელთუქმნელო ხატო! ნინოს ლერწის ჯვარო!  
ქართველთ სნეულება მოხსენი,  
ცაზე უფლის წილი მიწა საქართველოს,  
პირჯვარს გარდასახავს მოყმე ძის...

მადლით ხვთისათაო, საქმეთ ხვთისათაო,  
ცამეტ ასურელებს მოველით,  
როგორც ყრმა ექვთიმეს ჯანი მოუვლინე,  
ისე დედებს შვილი მოგვეცი...

ისევ აყვავდება საქართველო,  
რამდენ ჭირს და ტკივილს მოვყვებით,  
დედა მარიამის სახლში - სამოთხეში,  
ჟამი ოქროსხანის მოგველის

**P.S.** : ქართველი ერის მემკვიდრე:

„ნეტარ ვართ ჩვენ და სამგზის სანატრელნი, რამეთუ  
ნანილნი ვართ ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისანი“.



## ცინა ხახუაძე

### **ჩემი სავარსკვლავეთი**

(აფხაზეთს)

ქარავანთა ქაოსში გაეფინათ ფარდები,  
აღარ ვამადლი ფიქრებს, გამყავს ჩუმად ნამები.  
ეს რა ბედი მწვევია, აცმულია ფერები,  
დრო თავზეა საყრელად და მეც სულ გეფერები.

ვერცხლისფერად მიცინის ჩემი სავარსკვლავეთი,  
ზევით ცოცვით მივინევ, მაინც არ გებევრები.  
აღვლენილი ლოცვები, ჩუმად დანაკვესები,  
გულთან ტკივილს მიშუშებს, შენში ღრმად ნაფესვები.

მენვის ზურგის ქარები და კურცხალა ცრემლები  
მე უბეებს მისებენ ძველი მოგონებებით.  
შენ, ჩემო აფხაზეთო, მშობლიური კერებით,  
მკერდზე ძარღვით მიბმულო, გულით მოგეფერები.

ჩოხის კაბას ჩავიცვამ ისე აგედევნები.  
ფსოუს წყალს და რინის ტბას თვალის ფერით ვედრები.  
დამწვავს ცრემლთა სიმლაშე თუ არ ამიყვავდები,  
ფრთამალი და ფრთალალი თუ არ დამესიზმრები.

გზას ტაძრისკენ გავიკვლევ, ღია მხვდება კარები,  
ჯერ შვილს შემოგფიცავ და მერე შემოგეველები,  
გეკონები ჩვილივით, გულზვიადი გბარდები,  
დაგიკრიფე წყვილ-წყვილად ჩემი ბალის ვარდები.

აჭრელებულ ფარჩებით ცის თალებში ჩავნვები,  
მზეს და მთვარეს გიკოცნი, ერთნაირად დავხვდები.  
ციცაბოდან ვეშვები, დაშვებულ სულს ვადნები.  
ოქროს ქოშებს ჩავიცვამ, თეთრი რაშით გაგყვები.

ზედ მძივებად მასხია შენი ზეცის ლალები,  
გულში ლამპრად აენტე, უფლის დანაბარებით.



### „ჰოლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

გულო, იარე!  
და მოიარე მზე - ბილიკებით  
– ქართული მინა,  
ჩაეკონე და გაუთბე უბე  
– ტურ - ლიმილებით,  
ხავერდის მკერდი,  
ასე სავსე ია - იეზით,  
გზა - გზა გელიან  
აღმართები და დაღმართები.  
გულო, იარე!  
მინის სითბოს დააკვდი  
ცხადლივ,  
ამოთქვი, გულო, ნატკივარი  
შენივე ბაგით,  
გულო, გედივით მოიხდინე  
მინის ყივილი,  
უნაპირო ხარ დედამინის  
– და მთვარის ბანგით.  
დარდიც შეგხვდება,  
სიხარული,  
– ნალველი რამე,  
– ზღვის აზვირთება,  
– დიდგორი ცხელი,  
– მამლუქთა ლამე...

ოქროს სანმისი, ასე შორი  
– და ახლობელი,  
მედეას კაბა შეუღებავთ,  
განცდებით ძველით...  
ტკივილობ, გულო,  
სევდიანობ  
– ეკალთა გამო,  
რაც შეგიძლია,  
ყოველსა და  
ყველაფერს წამლობ,  
– გიყურებ, გულო,  
მინის კიბეს მიუყვები  
– დაღლილი მხრებით,  
ვით მოგელიან  
წმინდანები  
და მგალობლები...  
დედამინაზე სიყვარული  
გერგუნა, გულო,  
კახეთით გხედავ, იმერეთით,  
– რაჭა - ლეჩხუმით,  
დარიალიდან პონტოს  
კარით,  
– სინდისის ფეთქვით,  
იარე, გულო,  
მიხარისხარ  
მკერდში რომ ცოცხლობ,  
მზეცა ხარ, მთვარეც და  
– დედამინაც,  
„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

### ქართული სულით

მე პოეზიის მირონი მათბობს  
და პოეტების ლექსებით ვტკბები,  
მიყვარს და ლამაზ ფერებში ვხატავ  
ჩემი სამშობლოს ცას ვარსკვლავებით.

ჩემი ნატვრაა ზღვა აფხაზეთის,  
ბავშვობის წლები სურვილად მათოვს, -  
არც ნახვა მინდა სხვა, უცხო ქვეყნის -  
ერთიანობას ჩემისას ვნატვრობ.

მამული, ენა, სარწმუნოება -  
წინაპრებისას მინათებს გზა-კვალს.  
ქართული სულით და ნაბიჯებით,  
მეც შემართებით მიჰყვებიან აღმართს.

მე პოეზიის მირონი მათბობს  
და პოეტების ლექსებით ვტკბები.

\*\*\*

ჩემო საფიცარო, ჩემო საყვარელო,  
ჩემო გულნათელო, მუდამ იდლეგრძელე,  
ჩემო საქართველო, შენი სილამაზით,  
შენი ყველა კუთხით, მეც ხომ ამაყი ვარ,  
ჩემო საქართველო, ტანჯვა გამოვლილო,  
ჩემო საფიცარო, მზეგრძელობა მოგცეს,  
ღმერთმა, საქართველო,  
ჩემო ერთადერთო, ჩემო სანატრელო,  
ჩემი წმინდა ლექსი, შენ ხარ საქართველო.  
ჩვენი წინაპრების სისხლო ძველთაძველო,  
შენ ვინ მოგერევა, ჩემო საქართველო.  
რა დროს ცრემლები და რა დროს წუხილია,  
უნდა აღორძინდე, ჩემო საქართველო!



### სამშობლო ჩემო!

*სამშობლო მონატრებულ  
ემიგრანტის დღიურიდან*

ჩემი გულის სარქველი ხარ,  
სანთლისფერი კელია,  
სულის ათვლის წერტილიდან,  
რა გზაც გამიკვლევია.  
შენ ხარ ჩემი ფიანდაზი,  
დაირა და ჩონგური  
და ვაზი ხარ, მსხმოიარე,  
მამა-პაპის ჩარგული.  
ცის კიდე ხარ, ღვინისფერო!  
ძვალი, ჩემი წინაპრის  
და იმისი მშობელი ხარ,  
ვინც მე მიწას მიმაცრის.  
შენ, მერცხლების ასაფრენო,  
აკინძულო საუნჯევე!  
აბა, როგორ არ შეგაქო?!  
აბა, როგორ დავემუნჯდე?!  
მანდ ხომ ჩემი სისხლი მღერის,  
მთებში, ცა რომ ახლოა,  
ჩემი საბუდარაა და  
ჩემი სამოსახლოა.  
შენი მონატრება ჩემთვის,  
მძიმე განაჩენია,  
თვალით შორს ვარ შენგან, თუმცა,  
გული? მანდ დამრჩენია.

\*\*\*

სამშობლოვ ჩემო,  
მინავ ჩემო,  
ტაძარო უფლის,  
ჩემო ენაო,  
უფლის ენავ!  
მდიდარო ფერთა,  
ზეცაო ჩემო,  
მადლიანო და  
დალოცვილო,  
ღვთისმშობლის  
კალთანაფერებო  
ერო! იბერთა.  
მრავალჟამიერ,  
მუდამ შენი  
ისმოდეს მღერა,  
ქვეყანავ ჩემო,  
ეგ ღრუბლები  
შავი, გაყარე!  
და მადლმოსილო,  
მედიდურად დამხვედრო  
მტერთა,  
წამოდექი და აღედგინე,  
ვითარც ლაზარე!

### სამშობლო

თალხი მოისხა ჩემმა ფიქრებმა,  
ვერ მოვიხადე ვალი,  
დაპატარავდა ჩემი სამშობლო,  
როგორც შაგრენის ტყავი.

გათენებულა დღე ცრემლისფერი,  
ისმის ლოცვები მწველი.  
გული მოგიკლეს, დაგანაკუნეს  
ერთიანი და მთელი.

ხმელ ბალახივით მოვიცელები  
წყალს ნუ მომასხავთ პეშვით,  
ღმერთო, მიცოცხლე, ჩემი ქვეყანა  
თავის ძლიერი ფესვით.

ძალას მიმატებს შენი ჭალარა,  
ვაზს ვეკიდები ცრემლად,  
ფიალით მიწის სურნელს დავლოცავ,  
შეგენირები მსხვერპლად.

ცრემლებით დამბალ მზის გულს დავლოცავ,  
სისხლით ამომწვარ გულ-მკერდს  
და შევავედრებ ყველა სალოცავს  
ფუძის ანგელოზს შენს გზებს.

## შინდისელ გმირებს

ქარო, დაბერე, დაჭრილ მკერდს  
შემოაცალე ღილები,  
შინდისელები ძირს წვანან,  
ბიჭები გარდაცვლილები.  
თალხი ჩაიცვა სამშობლომ,  
გამოიტირა შვილები,  
კავკასიონო ამაყო,  
ჩამოგეშალა მძივები.

რად არ ჩაგესმის ქარიშხლის,  
ტკივილი, ხმების ჩურჩული,  
ერთად ვიმღეროთ, ბიჭებო,  
დავაგუგუნოთ ურმული,  
თქვენს მამაცობას ვერ ჩაკლავს,  
სიკვდილის მძიმე ურდული,  
ასეთ მებრძოლთა სამშობლოს,  
რას დააჩოქებს ურჩხული.

ვაჟკაცნო, მძიმე განსაცდელს  
ვიცი, გესმოდათ ნანინა,  
ბავშვობა, ყმანვილკაცობა,  
ო, რა უეცრად წავიდა,  
ნითელი ვაზის ნაჟური,  
გულზე გაპკურეთ ჯამიდან  
ნეტავი თქვენი ცხოვრება დაიწყებოდეს თავიდან.

### ღ ა მ ხ ა ტ ე

ღამხატე, ისეთი ღამხატე,  
როგორსაც მიყურებ და მხედავ,  
ცოტა სევდიანი, ცოტა მხიარული,  
ასეთს ღამხატავდე, ნეტავ.  
შენ ხომ მხატვარი ხარ, სული ღამხატე,  
სითბო ღამხატე მძაფრი,  
მერე, მზის სხივების ფუნჯი გადამისვი,  
ფრთხილად მომაცილე ჯავრი...

ღამხატე, ისეთი ღამხატე,  
თითქოს, ცის ნაპირებს ვკვეთავდე,  
ქვეყნად ღალატსა და ორპირობას,  
ვითომ, ვერასოდეს ვხედავდე.  
ნახატში უძირო ზეცა ჩანდეს,  
უფლის სამეფო და ტახტი,  
გულზე ჩამომკიდე სიყვარული,  
რწმენა, იმედი და ხატი!

მინდა, გაზაფხული ღამხატო,  
ღამაზ მარგალიტის მძივებად,  
მოდის, იაგუნდის ღამხატე,  
ქარში რომ ელავდეს სხივებად,  
ფუძის ანგელოზი ღამხატე,  
წელან, ეზოდან რომ აფრინდა,  
ჩემი სალოცავი ღამხატე,  
სხვისი სალოცავი რად მინდა!

## ფ უ ფ ა ლ ა

მკათათვე... მოდის ოქროქალა,  
შავი თათმანები მკერდზე მიცოცავენ,  
ესეც სოფელი და სოფლის ქორი,  
ფუფალას ნაბიჯებს წყაროსთან ზომავენ...

მოდის ორლობეში, როგორც მანანწალა,  
მოდის ბერიქალა, ქალი აზნაურის...  
მოდის, ცრემლი ახრჩობს, ცოტა ამაყია,  
ცოტაც ნანყენია, მაგრამ გადაუვლის...

ბოხჩაგამოკრული გზაზე მობუტბუტებს,  
ერბოხალი მთართვი მამა უცხონდაო...  
მერე, ფშატის ხესთან მივა, ჩამოჯდება,  
ამბობს, სოფელი გამიუცხოვდაო...

აქეთ ნასახლარი, ესეც ნანაცრალი,  
ალარც დედის ხმა და ალარც მამის კვალი,  
ბალახმორეული, ღობემორღვეული,  
ალარც ჩამიჩუმი, ალარც ბუხრის კვამლი.

...შეხე, ფუფალასაც გული ჰქონიაო,  
ცრემლით მოხვევია კალთას გლეხის ქალის,  
ალარც შიოლა და ალარც ქარვახუთო,  
ალარც სურნელი ჰკლავს, თურმე, ლახუსტაკის...

...მიდის ქოლგით ხელში, თითქოს შორეული,  
თითქოს დაქოლვილი, თითქოს ნანამები,  
ბინდმა დაუფარა დაკემსილი კაბა,  
ქარმა დაუკოცნა სველი ნამნამები!

### საქართველო

რა ლამაზია, რა თვალწარმტაცი,  
რა სანატრელი ზღვა, მთა და მდელო.  
ბუნების ათას სურათს გვიხატავს,  
სამოთხის ბალი-ეს საქართველო.  
ზვიადად გვიმზერს კავკასიონი,  
ქვემოთ ილიას თერგი ხმაურობს,  
აკაკის ჩანგი ცა ფირუზს უმღერს,  
საჯიხვეები ვაჟასი გვიხმობს.  
გვიხმობს დიდგორი, გვიხმობს მარაბდა,  
ქართული მიწის სურნელი გვიხმობს.  
ეს მიწაც სხვაა და მზეც სხვა არის,  
ამიტომ სულსაც სხვაგვარად გვითბობს.  
გმირებად გვზრდიდა ჩვენ ქართველის დედა,  
ცხრა ძმის დედა და დედა სანათა.  
სვეტიცხოველში იესოს კვართმა,  
ბნელი დაგმო და დღე გაანათა.  
აქ დაიბადა ქალი თამარი,  
რუსთველს დაენყო გულის მღერანი,  
აქ ტრიალებდა დავითის ხმალი,  
აქ გააჭენა ტატომ მერანი.  
ამდენი სისხლით, ამდენი ცრემლით  
გაჟენთილი და გადანამული.

ეს არის ჩემი დედა სამშობლო,  
ღვთისმშობლის კალთით გადაფარული...  
რა ლამაზია, რა თვალწარმტაცი,  
რა სანატრელი ზღვა, მთა და მდელო.  
ბუნების ათას სურათს გვიხატავს,  
სამოთხის ბაღი - ეს საქართველო...



### **გოგონა ჩითის კაბაში**

მზე ერთნაირად ამოდის  
სოფელშიცა და ქალაქშიც,  
სახლიდან აღარ გამოდის  
გოგონა ჩითის კაბაში.  
ყველას შარვალი აცვია  
სამსახურში თუ ბაზარში,  
მომნატრებია პრანჭია  
გოგონა ჩითის კაბაში.  
რამდენჯერ უცებ შევჭრილვარ  
ლამაზმანების კარავში,  
ერთი გოგონაც ვერ ვნახე  
პეპლისფერ ჩითის კაბაში.  
აღარც სოფელში დავეძებ,  
აღარც - მეზობელ დაბაში,  
მგონია, იქაც ვერ ვნახავ  
გოგონას ჩითის კაბაში.  
რაც ლექსი დამინერია  
სულერთიანად გადავშლი,  
ოღონდაც ერთხელ მანახა  
გოგონა ჩითის კაბაში.

## ქართლი

ზეციდან მოსულ ნათლით,  
მარიამ-ნინოს მადლით,  
ქრისტეს უნმინდეს კვართით,  
დავით მეოთხეს საქმით,  
მღვდელი თედორეს სახით,  
თამარის ერზე დარდით,  
დიდი შოთაის კალმით,  
დანთებულ თაფლის სანთლით,  
რა სასწაულით, რა დღით-  
გადარჩა ესე ქართლი.



### არსად გაზაფხულზე

არსად გაზაფხულზე ისე არ ჰყვავიან,  
როგორც საქართველოს მთებში კესანები.  
მათი აყვავება სიცოცხლის დარია,  
ყველას სათითაოდ გულით ვესალმები.  
არსად ღიმილებით ისე არ მხვდებიან,  
როგორც საქართველოს მთებში გვირილები,  
თეთრი ფურცლებიდან გრძნობას დაგიტვლიან  
ჩუმად თავს დახრი და მორცხვად იღიმები.  
სადმე თუ გინახავთ?! ასე რომ ჰყვოდნენ!  
როგორც ყაყაჩო და ენძელები.  
ჩემო საქართველოვ! როგორ მიგატოვებ?!  
როცა უჩემობით, ფიქრშიც მეძნელები!  
მზე რომ თავს ამოყოფს, სითბო დაიღვრება,  
მიმოიფანტება ყველგან მზის სხივები,  
ია, ყოჩივარდა, წელში გაიშლება,  
როგორც საქართველოს მინას ნაშვილები.  
არსად გაზაფხულზე ისე არ ჰყვავიან!  
როგორც ჩემი მთების ლურჯი კესანები,  
ყოველ გარიჟრაჟზე, მათი მზის სხივი ვარ!  
გულში ვიხუტებ და თბილად ვესალმები.

## მოვეფერები სამშობლოს

მოვეფერები სამშობლოს!  
ის ჩემი გულის განძია,  
ჩავეხუტები ყველა მთას!  
სვეტიცხოველს და ვარძიას..

დავენაფები წყაროებს,  
სუფთაა, როგორც ღვთის გული,  
სიცოცხლის სხვა შეგრძნებაა  
ზარზმა, ყინვისი, უშგული.

აქ ყველაფერი ღვთისაა  
სიმღერა სტოვებს ნატყვიარს,  
წილხვედრი დედაღვთისაა  
და ღმერთის ხელი ატყვია.

მადლი გადმოდის ღვთიური  
და წინაპრების ნათელი,  
მუხლზე დავუდგეთ ყველა ხატს,  
ტაძრებს ავუნთოთ სანთელი...

როცა მივწვდები მწვერვალებს,  
ფრთებს გავშლი, როგორც არწივი,  
მე საქართველოს შვილი ვარ!  
ბედნიერებით გავწივი...

### ს ა მ ა ჩ ა ზ ლ ო ს მ ე რ ც ხ ლ ე ბ ი

უკარო და უფანჯრებო სახლი,  
უსიცოცხლოდ ქვითინებს, სულს ლაფავს!..  
პაპაჩემი, კედლებს თავს რომ ახლის,  
ბარბაცებს და ძლივს უნათებს ლამპარს...

უკანასკნელ მოჰიკანის მსგავსად,  
დარაჯია გადამწვარი ბალის,  
მოკუნტრუშე ბოჩოლების ნაცვლად,  
დაბომბილი, თეთრი სახლი ბლავის!..

ლოცულობს და ჩუმად ტირის ბებო,  
დამჭკნარ მუჭში ცხარე ცრემლებს მალავს,  
თუჯის ქვაბში დარდით დნება ერბო, -  
პაპა ჰყვება შინდისელთა ამბავს:..

დრომ რამდენი გმირი გადაყლაპა,  
დიდედა რომ დღეს უმზადებს წანდილს?!..  
ცივ ბუხართან ჩამომჯდარი პაპა,  
ფიჭვის ხეზე ზოლებს ავლებს წალდით.

ბებო ხორბალს ითვლის თითო-თითოდ,  
მათ სახელზე ჩუმად აჭმევს მერცხლებს!..  
და ჰგონია: მათ მიუვა ვითომ...  
(საქართველოს მოლალატეს შერცხვეს!).

მალე, უკვე, შემოდგომა მოვა  
და მერცხლები დატოვებენ ბუდეს!  
გმირები ვერ შეაშინა ომმა! -  
მოფრინდნენ და ჩვენთან დაიბუდეს...

კვლავ, როდესაც გაზაფხული მოვა  
და სამშობლო მოაბრუნებს უკან,  
მაკრატელზე დაკიდული ფრთებით  
დაკერავენ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს რუკას!..



### ჩემი გურული სოფელი

უკმარისობის სევდა და ძალა,  
მთელი სიმძიმით მიზნიქავს მალეებს,  
ჩალის ზვინების, ცოცხის ღერების,  
სიზმრად გვრემა სჭირთ ვერ ნათეს ყანებს  
და მეც — ბავშვობა, გაუთელავი  
ოცნების მხარე — ჩემი გურია,  
„სხვა საქართველო“? არ მეგულვება,  
სხვა სიყვარული? მეტად რთულია!  
მდინარეები და ჩანჩქერები,  
ვერ ვიტრაბახებ, სოფელს არ ახლავს,  
მაგრამ პატარა ღელე-ბურდების,  
საჩემო წყალი, ცრემლებად მახლავს.  
და როგორც შუბლზე შვილების ხაზი,  
ღარებად მადევს დრო გარდასული,  
ვჭვრეტ სიყმანვილეს, სხვა სხეულია,  
სხვა, უდარდელი ბინადრობს სული!  
რომელი ერთი მოვისაკუთრო?  
მოგონებები ცრემლმა ალესა,  
გურულ მინაში, ბინულ-ვენებად  
ჩადგმული ქვეერი, სისხლი-ადესა  
არ დამლეოდეს და არც ბებუის  
შქერით ნაცხობი მჭადების გემო,  
არცერთ გემოზე არ გამეცვალოს,  
ისევე, როგორც ვერ გაგცვლი-ჩემო

ნასათუთებო, სულის სილაღევ,  
მშობელო ქარო, ზენა, თუ ქვენა,  
„ძამა“, „გო“, „ბიო“, და „ყაზილარო“,  
სუყველა ჩემი სუნთქვა ხართ, „ნენა!“  
აქ იბადება ჩემი მამული,  
აქ იძარღვება და იტოტება,  
აქაურ ჰაერს სხვაგვარად ვსუნთქავ,  
ყელიც სხვაგვარი წყლით ინოტება!  
და მომიტევეთ, თუ ჩემს სამშობლოს,  
ჩემი გურული სოფლიდან ვინყებ,  
სხვა სიყვარული, ამაზე დიდი,  
არ შემიძლია და ნულარ მინყენტ!



## ჯან ბაქაჩიშვილი-სახაშვილი

\*\*\*

ისე გინატრე, როგორც უდაბნოს წყლის დანატრულმა.  
მხოლოდ ოცნებით გეფერები, შორიდან გეტრფი,  
ახლა შორსა ვარ, კილომეტრები მაშორებს შენს თავს,  
მაგრამ იცოდე, ჩემო ქვეყანავ, შენ მეფიქრები.

მართლა ვინატრე ფრინველი ვიყო, ავფრინდე ზეცას,  
გადავუფრინო, გულში ჩავიკრა სამშობლო ჩემი.  
არწივის ფრთები გადავაფარო იმერ-ამიერს,  
დამილოცინხარ, დედა სამშობლოვ, მრავალჟამიერ...

ისე გინატრე, როგორც უდაბნოს წყლის დანატრულმა,  
მხოლოდ ოცნებით გეფერები, შორიდან გეტრფი,  
ახლა შორსა ვარ, კილომეტრები მაშორებს შენს თავს,  
მაგრამ იცოდე, ჩემო ქვეყანავ, შენ მეფიქრები.

## მენატრება ჩემი ქვეყნის მთა და მდელო

მენატრება ჩემი ქვეყნის მთა და მდელო,  
ცა კამკამა, როგორც უფლის კვართი,  
უცხო მიწას დავაბიჯებ, საფერებლად  
მშობლიური მიწა დამაქვს ჩანთით.

ვინძლო ბედმა გზად მიმუხთლოს,  
დღე ჩამიქრეს, არ ვინაღვლებ მე საკუთარ ბედზე,  
ბოლო სულის ამოსვლამდე მაინც შევძლებ,  
მისხალ-მისხალ მიმოვიბნევ მკერდზე...

მენატრება მშობლიური კუთხე, კერა,  
ის ბავშვობა უდარდელი, ლალი...  
ის ბავშვური სიცელქე და გულწრფელობა  
და უღრუბლო ჩემი ზეცის თალი...

და ძილის წინ დედის ტკბილი იავნანა,  
საოცნებოდ რომ მესმოდა ყურში,  
მშობლის ზრუნვა და ალერსი მენატრება,  
უკან დარჩა ის, რაც იყო გუშინ...

მენატრება ჩემი ქვეყნის მთა და მდელო,  
ცა კამკამა, როგორც უფლის კვართი,  
უცხო მიწას დავაბიჯებ, საფერებლად  
მშობლიური მიწა დამაქვს ჩანთით.

### შინდისის გმირები

შინდისის გმირების  
ჩვიდმეტი იყვნენ  
ერთი ყუმბარა  
„თხილის გულივით  
გაინანილეს...“  
ჩემო სამშობლოვ,  
უნდა ჰფიცავდე  
მათი სახელთა  
წმინდა ნანილებს.  
მტერსაც შეშურდა  
გმირობა მათი  
და ურჯულომაც  
ქედი იხარა  
და კოცნის წითლად  
მშობლიურ მიწას  
დღემდე ის თქვენი  
ყველა იარა.

### ფაზისი

ორი კუთხის სამანო,  
სულით, გულით ფაქიზო,  
კოლხთა, კოხტა ქალაქო,  
ჩემო „ფუთო“ ფაზისო.

ამ ქალაქის კარიბჭე  
იყო ძველი ნაბადა,  
მტერს სულ მედგრად ხვდებოდა,  
ლეგენდები დაბადა,  
ქართული „ვენეცია“  
დაუფარავს ბაიდებს,  
მალთაყვაში თქვენ ნახავთ,  
აქ მეთევზე „ბადიდებს“,  
აქ ბავშვობა დავტოვე  
და დავეძებ სიზმრებში,  
ლოლუების ჰანგებზე  
თრთიან გულის სიმები.

## **ღმერთო, გვაშორე ომი**

ვართ უსუსური ბარტყი,  
ღმერთო, გვაშორე ომი,  
უკვე ხმა მესმის ცაზე,  
არწივისა და ორბის.  
ჩვენივე უნდა გვექონდეს  
ხორბალიცა და დენიც,  
არვის იმედად ვიყოთ,  
როცა სუნი გვცემს დენთის.  
ნატოს კარზე კაკუნით  
კი ავიტკივეთ თითი,  
მე უკვე აღარ მჯერა,  
ევროკავშირის მითის...

## მირაჟი

დიდგორის ველი ყაყაჩოებით  
ცხენებს ფლოქვებით გაუთელიათ.  
ჯაჭვის პერანგში აბჯარ ასხმულნი  
აქ, წინაპრები ამხედრებულან!

საკვირველებავ და საოცრებავ,  
ჩვენი წინაპრები ფეხზე წამომდგარან,  
ერის სიმწარით გული დანურვიათ,  
ძველ იარებზე ზედ დაღვენთიათ!

გამოამტვრიეს ხმლებით საფლავები,  
ველარ მოისვენეს სხვათა ცოდვებით  
და ჩამონურეს გულის იარებით,  
სანთელი ჩამოქნეს უფლის დიდებით!

წმინდა გიორგი ლაშქრის წინამძღოლად,  
თეთრ ცხენოსანი დროშად ფრიალებდა  
და მიუძღვოდა მეფა ფეხშიშველი  
ანთებულ სანთელით, როგორც სჩვეოდა!

დიდი პაპის გვერდში ჩვენი თამარი  
ძირძველ მინაზე ამაყად მოდიოდა.  
აღმაშენებელი ფეხზე წამომდგარა,  
ხმალ ამონვდილი, მტერზე შემართულა!

ერის შვილებო, ცისკრის ნათებაა.  
გახსენით დარაბები, იხილეთ ქვეყანა.  
გალავნის კედლები სისხლით შეღებილა,  
მტკვარი მტრის სისხლით შავად შეფერილა!

მოემართება დიდძალი ლაშქარი.  
თურმე, წარსულით ურიცხვნი ვყოფილვართ.  
„შადიმანები დღესაც ყოფილანო,  
ვაზღვევინებთო სამშობლოს ლალატს!“

კვირვობდა სპასალარი, თან გაჰკიოდა,  
„რა უყავითო მამულს დაუცველად,  
დანატოვარი გაბდღვნილა ჩიტივით“,  
აზვირთებულნი ჩეხდნენ უმონყალოდ!

სისხლში აილესა მინა კურთხეული.  
მტერს, მტრული დახვედრა ჰქონდა საკადრისი.  
ძირძველ მინებზე დააკლეს გაქცეულნი,  
ერთიც არ დატოვეს, აკუნეს ეულნი!

დროშები ფრიალებს მტრის თავებწამოცმული,  
ახალ დიდგორით და გამარჯვებით,  
დალოცე, უფალო, ეს წარმატება,  
ჩვენი წინაპრები და მომავალი,  
რამეთუ ქართველნი ბრძოლებით  
მოვდივართ!

# იზოცა მოქიანვილი

## ვუმღეროთ სამოვლოს

არარაობად როს გადვიქცეთ ჩვენ ამ ცხოვრების,  
ვით მიწა-მტვერი აღვიგავოთ პირსა მიწისა,  
სანთელ-საკმეველს ნუ გავფანტავთ უმისამართოდ,  
სიმბოლოდ ვიქცეთ ჩვენივ საქმით ამავე ქვეყნისა.

მდინარის ჩხრიალს ავაყოლოთ ტკბილი ჰანგები,  
მუდამ გვახსოვდეს, სტუმარნი ვართ წუთისოფლისა,  
მუსიკის ჰანგზე ჩვენც ვუმღეროთ თავისუფლებას, ძმობას,  
ერთობას და მშვიდობას ჩვენი ქვეყნისა.

ვუმღეროთ თუნდაც, სულაც რომ არ გვემღერებოდეს,  
მტრის ჯინაზე ავაჟღეროთ სიმი გიტარის,  
ყოველი სიტყვა ჩვენით თქმული, ნალაღადარი,  
იქცეს, ვით ლოცვა ხალხთ შეწირულის.

ვუმღეროთ მიწას მრავალტანჯულს, სისხლით დანამულს,  
ვუმღეროთ გმირებს მსხვერპლად ქცეულთ თავისუფლების,  
მათ გმირ სულებს ჩვენც დავუნთოთ წმინდა სანთელი,  
რომ სულ ბრწყინავდეს მომავალი ამ ჩვენი ქვეყნის.

\*\*\*

საქართველოს ლექსად ავკინძო მინდა ფიქრები,  
დაუვინყარი იმ ლამაზ წლების  
და სიყვარულით მსურს მივეფერო მანდილს  
მადლცხებულ გამზრდელი დედის.

მხარეს ზღაპრულს და სტუმართმოყვარეს,  
მინდა ჰფენოდეს სხივი დიდების,  
მადლობის ნიშნად მას თაყვანი ვცე,  
საუკუნეთა მასპინძლობისთვის.

მე მენატრება მისი ლურჯი ცა,  
ცად აზიდული ჭადრის ხეები,  
მინის სურნელი, მტკვრისა დუდუნი,  
მდელო ნაქარგი ყაყაჩოებით.

დრო და სიშორე ვერას დაგვაკლებს  
და ვერც დაჩრდილავს სევდა და დარდი,  
გულის კუნჭულში შემონახული  
არს სიყვარული ფარული, მძლავრი.

შემონახული მოგონებები,  
ლეგენდად ქცეულ მებრძოლი ერის,  
ო, როგორ მინდა, რომ მარად ჟღერდეს  
ტკივილი ნანინა ქართველი დედის.

ლოცვა-ვედრებით მე ღმერთს შევთხოვდი,  
ნაღმა ბრუნავდეს ჩარხი ცხოვრების,  
დროის დინებას არ წაეშალოს,  
კვალი ძმობის და კვალი ერთობის.

# თათო ბაძაძე

## დუმს

დუმს სამშობლო-

დაფაც... ხატიც...

როგორც ნისლი ღელე- ღურდანს...

ქოხებივით დავფაცხატდით,

მინას შერჩა ღელაღუნტა.

ხალხი, მსგავსი ქარადულის,

განურული... ჭირვეული... -

იქნებ ღმერთსაც ქარად უღირს!

შეგვატოვა ჭირს, ეული...

სარეველა ფაფარს უჭრის

ჟინის მერანს...

(წადიერი!)

მთებს, გამქრალი ფაფარუჭით,

წევს დუმილი ცამდი, ერის.

დუმს ქვეყანა!

(დაფაც...ხატიც...)

როგორც ნისლი ღელე-ღურდანს.

ქოხებივით დავფაცხატდით,

მინას შერჩა ღელაღუნტა.

\*\*\*

საქართველო ნაბადია -  
მოთელილი, ჭა... ბალახი...  
ქართველები, აბა, „დია“, -  
გონით სავსე ჩაბალახი!  
აფხაზეთი- ცისარტყელა, -  
შორით შვიდი ერკემალი  
და ენგური- ვით სარტყელი,  
განყვეტილი „ხერხემალის“!



### წმინდა კანდელი!

წმინდა კანდელი,  
ჩემი ცხოვრების  
დ ი დ ო ნათელი!  
წმინდა სანთელი,  
სანთელი, წმინდავ,  
გთხოვ ამისრულო,  
რაც გულით მინდა,  
სამშობლო მინდა  
იყოს ძლიერი და...  
არ ცხოვრობდეს ხალხი მშვიერი.  
ყველა ილხენდეს, ყველა ხარობდეს,  
წუთისოფელი, რომ უხაროდეს...  
ბატონ-პატრონი იყოს ქართველი,  
არა - არაბი, თურქი, სპარსელი.  
ისმოდეს ქვეყნად ჰანგი ქართული,  
„მრავალშამიერ“, ანდა „ჩაკრულო“...  
ჩ ე მ ო ს ა მ შ ო ბ ლ ო ვ,  
ხალხო ჩაგრულო...  
მწამს განათლება ივერონი  
და გაბრწყინდება - მ რ ო ვ ე ლ ი ს ენა!  
ალარ იქნება შური, სიმუხთლე,  
უ რ თ ი ე რ თ წ ყ ე ნ ა.  
წ მ ი ნ დ ა ს ა ნ თ ე ლ ო,  
სანთელი წმინდავ!  
გ ა მ ო ი ღ ვ ი ძ ო ს სამშობლომ მინდა!

## ქართველ ახალგაზრდობას

ყვავილებით მოფენილა მდელი,  
შენ გაღმერთებ, ჩემო საქართველოვ!  
თვალხატულა ქალ-ვაჟებო ჩემო,  
ამ ედემის პატრონი ხართ თქვენო,  
შეიყვარეთ, მოუარეთ კარგად.  
შემოსულ მტერს დაუდექით მაგრად.  
სხვა ქ ვ ე ყ ა ნ ა მ არ მ ო გ ტ ა ც ო თ თვალი,  
სამშობლოა თქვენი ნ ა ტ ვ რ ი ს თ ვ ალი!

\*\*\*

ეს დაისია, მერე ალბად მოვა ა ი ს ი  
აამზისგულებს საქართველოს კოხტა მთა-გორებს.  
კვლავ აენტება გაზაფხულის ლამაზი დ ი ლ ა და...  
სიყვარულს კვლავ შ თ ა გ ვ ა გ ო ნ ე ბ ს.  
უსიყვარულოდ ვერ შეიგრძნობ, ვერც სილამაზეს,  
ვერც სიკეთეს ამა სოფლისას,  
ამიტომაც ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს,  
ჩვენ ვართ მ გ ზ ა ვ რ ე ბ ი,  
ამ მაცდური ნ უ თ ი ს ო ფ ლ ი ს ა!

## იხელი

წავა ზამთარი, მზე აენტება ცის კაბადონზე,  
გაძლიერდება ჩემი მამული, დარდში ჩაფლული...  
იმედის სხივი გაანათებს ბედკრულ ოჯახებს,  
დასამარდება, დაემხობა ბნელი წარსული.  
წმინდა გ ი ო რ გ ი გამოჩნდება, ოდეს ინათებს...  
გწამდეთ, ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ო,  
ის წაგვიძღვება სიმართლისაკენ!

### ქართლის დედა

ქართლის დედავ, ჩამომისხი ღვინო თასში,  
მომანოდე გრძნობით სავსე ფიალა,  
ცხოვრებაში არ მინახავს შენი მსგავსი,  
თუმცა ბედმა სად არ მახეტილა.

სადღეგრძელო მინდა შევსვა,  
დაგილოცო მაღლიანი ქვეყანა,  
მეფე — ქალის სიბრძნე შორით ზღაპრად მესმა,  
მსურდა მისი საქართველო მენახა!

მოვედი და... შემეგებე დიდებულო,  
ქართველ ქალის შეუდრეკელ ბუნებით,  
ტანში ელვამ დამიარა უნებურად,  
მოვიხიბლე შენი დიდბუნოვნებით.

ასე როგორ დამიმონე, უტურფესო,  
ვაჟკაცს გული სიყვარულმა ამივსო,  
მტრად მოსულიც ქედს მოიხრის შენს წინაშე,  
მოინდომებს ღვინო დააჭაშნიკოს...

მაშ, შემივსე, მომანოდე ეგ ფიალა,  
ქართლის დედავ, ჩამომისხი ღვინო თასში,  
დიდმა გრძნობამ გული ამიფრიალა,  
ქვეყანაზე არ მინახავს შენი მსგავსი!

\*\*\*

ტკივილიანო საქართველოვ, სამშობლოვ ჩემო,  
ლიმილის ფარი აიფარე სახეზე ნილბად,  
შენ კარგად იცი უიმედო ოცნების გემო,  
უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩო გტკივა...

ბევრი ჭრილობა გაბნევია გულზე ყაყაჩოდ,  
მრავალი გმირის სამუდამოდ დადუმდა ენა,  
გჯეროდეს, მტერი ვერასოდეს ველარ დაგჯაბნის,  
დარაჯად გიდგას ცხრა ვაჟკაცის მშობელი დედა!

ჩემო ლამაზო საქართველო, უტეხო სულით,  
დაუდეგარო, ძლიერო და შობილო გმირად,  
კვლავ გაიღიმე, არ აჩვენო მტერსა და დუშმანს,  
რომ არსაკიძის მოკვეთილი მარჯვენა გტკივა.

შენი წალკოტის შესადარი ტურფა მთა-ბარი,  
ამ დედამინას აჰკინძვია გულ-მკერდზე მძივად  
და ნურასოდეს ნუ გაამხელ, რომ გონაშვილის  
მოულოდნელად შეწყვეტილი „ურმული“ გტკივა.

ჩემო ობოლო საქართველოვ, მიყვარხარ ძლიერ  
და შენს იარებს ვეფერები ფიქრებში ხშირად,  
შენ ესიზმრები შენს მკერდიდან აწყვეტილ ღილებს,  
დედამინაზე გაფანტული შვილები გტკივა!

ტკივილიანო საქართველოვ, ჩემო სამშობლოვ,  
ლიმილის ფარი აიფარე სახეზე ნილბად,  
შენ კარგად იცი, უიმედო ოცნების გემო,  
ნუ ეტყვი ნურვის, თუ რამდენი ლალატი გტკივა!

## ნიხაიცი ნახაიუშიცი

### მითი

არაგვზე ნისლი ჩამოწვა, აბლავლდა თეთრი ხარიო,  
ხეობას ამცნო ამბავი, ყველასთვის გასახარიო,  
ღვთისშვილთა შეკრეს ლაშქარი, ზანზარებს მთა  
და ბარიო,  
წინ უძღვის წმინდა გიორგი, ზურგს იცავს იახსარიო.  
მარჯვნივ კოპალა ლახტსა სცემს, მარცხნივ  
გუდანის ყმანიო,  
ერთიანად სურთ განწმინდონ ეს ჩვენი მიწა წყალიო,  
თქვენც ქუღზე კაცი გამოდით, ნელზე შაიბით  
ხმალიო,  
ღმერთი მაღალი ახსენეთ, გფარავდეთ მისი ჯვარიო.  
ჭინკებს და დევებს შეება ეს კურთხეული ჯარიო,  
იჩქარეთ, ლაშარის ყმანო, გამოიჩინეთ თავიო!  
შუაფხოს ზარი ჩამოკრეს, დამდგარა ჩვენი ჟამიო,  
ლომისას მაცნე აფრინეთ, მათაც აქვთ ქვეყნის  
ვალიო,  
თუშები მგლურით მოდიან, კლდე აქვთ სავალი  
სალიო,  
გაშლილი დროშით მოუძღვით გაფრინდაულთა  
გვარიო.  
მოხევით შეკრეს ხეობა, რომ არ დაუსხლტეთ ავიო,  
გაცოფდნენ არაგველები: ვის გაუფსნოროთ თვალიო,  
კლდე ქიუხებით ვიაროთ, არც ვინ ვართ  
პატარძალიო.

სთქვეს და დაეშვნენ ზვაჳივით, როგორც ხეობის  
ქარიო  
მათ შემხედვარეს ავსულებს გულში გაუჩნდათ  
ბზარიო,  
აივსო მათი ძვაღხორციტ ცალკე მთა, ცალკე ბარიო,  
კოპალას გატყორცნილ დევის ახლაც დგას  
ნაგუბარიო.  
ერთიან ლაშქრის ცქერიტა ვერა ძღებოდა თვალიო,  
სანამ მთა მთაობს, ქართველნო, ნურც რა გაქთ  
სანუხარიო,  
გამართეს დიდი დღეობა, თამადობს ხევისთავიო,  
ფიცვერცხლით შეკრეს პირობა, ყველამ მხარს  
მივცეთ მხარიო,  
ჯერ კვლავაც ბევრი სისხლი გვაქვს ქვეყნისთვის  
დასაღვარიო.  
მას მერე არვის უნახავს არაგვზე თეთრი ხარიო,  
ყველას აქვს იმის იმედი, გაივლის დრო და ხანიო,  
ღვთისშვილთა მთავარსარდლობით კვლავ შაიყრება  
ჯარიო,  
კვლავ დაიბღავლებს არაგვზე ეს მითიური ხარიო,  
ღვთის მადლის გარდმოსვლას გვამცნობს დიდი  
გერგეტის ზარიო.

### ღმერთო, დაღუპვისგან იხსენ საქართველო!

რა გინდათ ამ ლამაზი მთა და მდელოსგან,  
რა გინდათ ამ ბედკრული საქართველოსგან?  
ეს რა გჭირთ, მიწით რომ ვერაფრით გაძეხით,  
ქართვენო, სამშობლოს დარაჯად დადექით!

რამდენჯერ მამულო უწყალოდ გაგნირეს,  
რამდენჯერ ზღვა სისხლის ცრემლები გადინეს,  
რამდენჯერ გჯიჯგნეს და გაქციეს ნანგრევად  
- შექმნილი ღმერთისგან ედემის ბალებად.

წინათ თუ ცეცხლით და მახვილით გიცავდნენ,  
წინათ თუ გმირები შენს სახელს ჰფიცავდნენ,  
დღეს შენი სიცოცხლე პილატეს მიანდეს,  
შენი ნაწილები მტერს ლანგრით მიართვეს.

საკუთარ მიწაზე გვაქციეს მონებად,  
გაგვირყვნეს მამული და სარწმუნოება.  
ენა წაგვიბილნეს, ჰქმნენ საქმეს საზარელს,  
ცდილობენ საფლავში ატირონ ლაზარე,

ოჰ, როგორ გიშველოთ, სამშობლოვ ბედკრულო,  
სად ხარ, ქართველობავ, ერთ მუჭად შეკრულო,  
რა იქნა ქვეყანა ედემის სადარი,  
სად არის დავითი, თამარი სად არის?!

შავად შეგველება სიცოცხლის ფერები,  
კენესით შეგვეცვალა სიმღერის ბგერები,  
არსაით მოსჩანან ღვთისშვილთა მცველები,  
ქართული სულის და ქართული გენების.

ვშთენილვართ მარტოდენ იმედად ღმერთისა,  
წყლულებით აგვევსო გულები ბედისგან,  
ილოცე მარიამ, ყოველო ქართველო,  
ღმერთმა დალუპვისგან იხსნას საქართველო!



### დროა მხილების

სხვა გზა არ დარჩა, აღარც ბილიკი,  
დროა მხილების, სიმართლე ითქვას,  
არც მეტაფორით და არც ლირიკით,  
უნდა ვისმინოთ უფლის ს ი ტ ყ ვ ა.  
დროა მხილების, მხოლოდ მხილების,  
მოლაღატეთა სასტიკად დასჯის,  
დროა გონებით გამოფხიზლების,  
გამოცდილ კაცთა ბჭობის და განსჯის.  
ასე, აქამდე როგორ მივედით  
სიცრუის მძიმე გოდრის ტარებით?  
ძმას დაუკარგავს მოძმის იმედი,  
მოსთქვამს სამრეკლო სულის ზარები.  
სად დგანან ქვეყნის ღვიძლი შვილები?  
გულის ცეცხლით და გონის მახვილით,  
ბრძოლით და შრომით გამოცდილებო,  
ვის გესმით „ღვთის და ერის“ ძახილი?  
დროა, სიყალბეს ვუთხრათ უარი,  
უცხოს, შოუს თუ სანახაობას,  
„გენით ქართველის შვილი თუ არის“,  
შევაგონებდეთ ახალ თაობას.  
სხვა გზა არ დარჩა, აღარც ბილიკი,  
დროა მხილების - სიმართლე ითქვას,  
არც მეტაფორით და არც ლირიკით  
უბრალოდ, ვიხმოთ უფლის ს ი ტ ყ ვ ა.

## ჩ ე მ ო ლ ა გ ო დ ე ხ ო !

ცას შერთულო მინავ, ღვთის მადლით ნაკურთხო,  
სამშობლობით შენით მინდა დავიკვეხნო,  
გულისყურით მესმის ხმა, შენთან რომ მიხმობს,  
მომენატრე ძლიერ, ჩემო ლაგოდეხო.  
ჩიტების გალობით მზის ამობრწყინება,  
ცის ნათელი ფერი, უღრუბლო ლაჟვარდი,  
კავკასიის მთიდან შმაგი წყლის დინება,  
სიცოცხლის ხმაური ჩანჩქერების ვარდნის.  
მთას შერთულო ბარო, კალთებო ზღვის ფერო,  
ალაზნის ნაპირო, ლალ-ზურმუხტის ველო,  
მაისის ვარდებთან ბუღბუღლის ნამღერო,  
აყვავებულ ნუშის ხეების სურნელო.  
გაზაფხულის ხილვის ისევ მოლოდინი,  
მწვანე მოლზე ნამის წვეთები რომ ბზინავს,  
ბუჩქებთან იების ნახვის დიდი ჟინი,  
ბუდის ხილვით მერცხლებს ღამით რომ არ სძინავთ.  
აპრილი კვლავ გიკმევს სურნელს იასამნის,  
გიკერავს ვარდების კაბას კვლავ მაისი,  
შაშვების ფსალმუნით მსახურება ჟამნის,  
მოლალურის ხმები გალობად გაისმის.  
გულისყურით ვისმენ ხმას, შენთან რომ მიხმობს,  
შენი სამშობლობით მინდა დავიკვეხნო,  
მაღე დავბრუნდები, მეც გეძახი უხმოდ,  
როგორ მომენატრე, ჩემო ლაგოდეხო.

\*\*\*

ჩემი სამშობლო მუდამ მზიანი,  
უფლის წყალობით გვაქვს ჩვენ სვიანი,  
მაგრამ არ ვიცი, ჩვენს თავს რა ხდება,  
ნუთუ ქართველი ისე ნახდება —  
რომ ვერ დაიცვას მტრისგან ბუნება  
და ვერ დასძლიოს ვერცხლის ცდუნება.  
მაშინ რად გიღირს ქართველს ცხოვრება,  
თუ არ გექნება ღვთისგან ცხოვნება.  
თუ არ აქვს შიში ქართველ კაცს უფლის,  
ამით სამშობლოს დიდ საფრთხეს უქმნის.  
არ დაემონო ვერცხლის სიყვარულს,  
სჯობს, რომ მიეცე კაცი სინანულს.  
გიჯობს, იშენო სულში ტაძარი,  
მისი სადარი ქვეყნად არ არი.  
ტაძარში კრძალვით ანთე სანთელი,  
რომ დაიმკვიდრო უფლის ნათელი.  
ზურგს ნუ შეაქცევ სამშობლოს, რწმენას,  
თავი არიდე უფლისა წყენას.  
ღმერთშია შვება სულისა შენი  
და ნუ გახდები ეშმას საცდენი.  
უფალს მიანდე თავი ცოდვილი,  
რომ აღარ გახდე კაცი ცდომილი.  
გახსოვდეს მუდამ შენ ხარ ქართველი,  
შენი სამშობლოს გმირი დამცველი.

როდესაც უფლის იქნები რწმენით,  
ალარ იქნები ეშმასგან ცდენით.  
აგეხილება გონების თვალი,  
მიხვდები, რომ გაქვს სამშობლოს ვალი.  
საქართველოა შენი საყდარი,  
სამშობლოს შენსას არ ჰყავს სადარი.  
ალარ გახდები ვერცხლის მოყვარე,  
არცა ვერაგი მტრისა მოვალე.

-----

მოგონებებს გაუშლია ფრთები,  
გადუსერავს ფერმიხდილი ზეცა.  
სიზმრებში მე წარსულს ვეფერები,  
გაღვიძებულს თითქოს ელდა მეცა...  
ღრუბელს მთები შეუფუთავს შავად,  
ქართლის სოფლებს დაჰფენია ნისლი.  
არ გიზგიზებს კერიაზე ცეცხლი,  
ნასახლარებს ეყინებათ სისხლი...  
მთის კალთებზე ფანტელები ცვივა,  
ხარბად ბარდნის, არ იშურებს ფიფქებს,  
კენესის გული, კენესის... ნელა დნება...  
დალახვრული მარტოობას ითმენს.  
საქართველოს ამ პატარა მხარეს,  
აჩრდილების შესევია ჯარი.  
ტანი ძაძით შეუმოსავს მთვარეს,  
უსიცოცხლოდ წვანან მთა და ბარი.  
კიდევ ერთი მძიმე შემოდგომა,  
დაჭრილ გულზე დაჰქრის ცივი ქარი.  
ჩემს ხეობას უჭირს ფეხზე დგომა,  
მწარედ კენესის ჩემი საფიცარი!...

### შრომის იდილია

სულში სითბოდ მეღვრება  
სხივი ამ ალიონის,  
მივიჩქარი ბუნების  
გულში ჩასახუტებლად,  
სიყვარულით მიცქერის  
მთები კავკასიონის,  
ხშირად დავენახვები,  
თუ არ გამებუტება.  
გულზე მესალბუნება  
მოხნულ მიწის სურნელი,  
ვსუნთქავ სუფთა ჰაერით,  
აქეთ რომ მეგულება,  
ღმერთო, დიდხანს დამატკბე  
შენი დედაბუნებით,  
სრულად შემაგრძნობინე  
წამის დიდებულება.  
მხიარული განწყობით  
ვინყებ შრომის მართონს,  
მინა უკვე მოელის  
პანანინა ჩითილებს,  
მზე ზეციდან მიღიმის,  
უჰ, რა მაგრად გამათბობს,  
წუთით არ მოვცილდები  
მონატრებულ, თბილ სხივებს.

## სოფლის მონატრება

წყარო მონანწყარობდა, ცრემლი ღვარად მდიოდა,  
ვილაც არ იჩქაროდა, ვილაც არ მოდიოდა...  
ფიქრებს ხელს ვინ უშლიდა, ფიქრი იყო საგზალი,  
დარდი თან მიმყვებოდა მამა-პაპის საძვალის...

დრომ წუთობით იარა, „ცხრა მთა გადაიარა“...  
ამ სულს დღესაც ატყვია მაშინდელი იარა.  
ძებნა...ძებნა...მიგნება საკუთარი თავისა,  
ტკივილების დათრგუნვა საიმედოდ ხვალისა.

იმ წარსულის ხედები დრომ სულ გააცამტვერა...  
ვინ ადრე გაისტუმრა, ვინ მთლად ჩამოაბერა...  
მონატრებით დაღლილი შევუდგები ბილიკებს,  
ძველი ვინმე თუ შემხვდა ის არ გამაქილიკებს.

ბილიკ-ბილიკ დავყვები, სული იქ დამრჩენია,  
ბევრი მეუცხოვება, მაგრამ ვიცი ჩემია.  
ფიქრი შემომმესია, ფიქრსაც უნდა ფერება...  
სოფლის გზაზე გავგზავნე ლამაზ ცისარტყელებად...



### ჩემო მამულო!

რალა გინამლო, მამულო, ნეტავ,  
დარდიანი ხარ, თვალს ცრემლით ნამავ,  
უცხო მიწაზე წასულო, დედავ,  
უმუშევარო, მწუხარე მამავ.  
რალა გიშველო, მამულო ჩემო,  
ტანდაფლეთილი რომ იარები,  
მსურს ცისქვეშეთში ყველას ვუჩვენო,  
დღეს შენს სხეულზე ეს იარები.  
მოდის უცხო და მასწავლის იმას,  
რაც წინაპარმა სისხლით დაწერა,  
ლამის სტუმარი გაგვხადონ შინაც,  
წინ გვიფრიალონ უცხო წარწერა.  
მკერდში გამაგრდა გული ქვასავით,  
ყოფნა, არ ყოფნა ხავსზე ჰკიდია,  
ზოგ დახარბებულს იუდასავით,  
მამული ფულზე გაუყიდია.  
ძალა დაკარგეს გულმა, ხელებმა  
ზურგს სილატაკის გვიმძიმებს კონა  
მტრისგან მოწვდილმა თაფლაკვერებმა,  
გაგვაფარჩაკა და დაგვიმონა,  
ზოგმა დაგვიპყრო ომით მოსულმა,  
ბევრი დახოცა, ბევრი იშარა,  
უღმერთო ხალხმა უღვთო, ავსულმა  
ეკლესიები ჩამოგვიშალა.

და იზრდებიან აქ თაობები,  
ვინაც არ იცის ის სითბო დედის,  
შვილს ვერ შეხვდები ამას რომ ხვდები,  
ეს დაცინვაა ყოფის და ბედის.  
ჩვენ არ გვეკუთვნის თავი ამ დროში,  
მარიონეტებს უფრო ვედრებით  
დღეს პატრიოტის ფასია გროში,  
ძვირდები ცვედანს თუ შეედრები  
სადაა ჩვენი უტეხი სული,  
თუ დაგვრჩა სხვისგან ჯერ ვერ მართული  
გაქრა ერთობა და სიყვარული,  
გაუტეხლობა გაქრა ქართული.  
რად დავიხლიჩეთ, რად დავიფანტეთ  
გულს ჩაგვეხვია შური ფარული  
სხვას რად მივეცით, ჩვენ რად არ ვმართეთ  
მამული ცრემლით გადანამული.  
რალა გინამლო, მამულო, ნეტავ,  
ხალხს მოსდებია სალათას ძილი  
დღეს, ემიგრანტო ქართველო დედავ,  
უშენოდ ბევრი იზრდება შვილი.  
დაგვანაკუნეს, გავთითოკაცდით,  
ყველა ვარიდებთ თავს მტერთან შებმას,  
კიდევ თუ ვაცდით, კიდევ თუ ვაცდით  
ქვეყნად დავუწყებთ ერთმანეთს ძებნას.  
სანამ გადანვეს ტყე, ზვარი, ყანა,  
სანამ მოედო ეკალი ველებს,  
არვის დავუთმოთ ჩვენი ქვეყანა,  
უცხოვს კი არა,  
ჰქონდეს ქართველებს!

\*\*\*

ჩემს მინაზე ვარ მე მიბმული  
მყარად, ფესვებით  
და ჩემს სიყვარულს, მოწყალეობად,  
ჩუმად ვარიგებ,  
სველ ბალახებზე, თუ არ ვირბენ  
შიშველ ფეხებით,  
ამ ჩემი მინის სურნელს,  
ისე როგორ გავიგებ!

მე დედამინის სულ პატარა,  
ერთი კენჭი ვარ,  
ერთი გოჯი ვარ, ისეც მცირე  
ქართული მინის,  
ჩვენი წილი მზის, ერთი ციდა  
ათინათი ვარ  
და საქართველოს სიყვარული  
სიცოცხლედ მიღირს!

ამ ცის ლაჟვარდებს, მე  
ვერა და ვერ შეველიე,  
თუმცა, გაუსაძლის მწუხარებად  
მზეზე ვაგდივარ,  
როგორც ვახერხებ,  
ჩემს ღიმილებს ისე ვარიგებ

და როგორც შევძელ,  
მისთვის სანთლად,  
ისე ვანთივარ!

მე ამ სამყაროს, სიცოცხლის ხის  
ერთი ტოტი ვარ,  
ერთი ფოთოლი, ერთი კვირტი,  
ღერო და ფესვი  
და როცა ამ ხეს, ჩამოსწყდება  
ფოთოლი ჩემი,  
სულ ბოლო სუნთქვას ამოჰყვება,  
სულ ბოლო ლექსიც!

ამოჰყვება და სიყვარულით  
გაიდგამს ფესვებს,  
ზღვად გადიქცევა, აყვავდება,  
დაიწყებს შრიალს,  
შენ, საქართველოვ!  
სანთელი ხარ,  
ქართველის გულში,  
შენზე ლოცვა კი, ვთვლი,  
არასდროს არ არის გვიან!



## თენგიზ ჰავაშვილი

### **შენი მაქვს ვალი, მაგულო!**

კვლავაც შენს დაძახილს შევხვდი კრწანისზე,  
იქ შემაგება მშობელ მინამ ჩემი ჩონგური.  
ვგავდი უენოს, შენ ცხოვრება გამიხალისე,  
მუნჯი ვიყავი, ვით ბირთვისის, თმოგვის ქონგური.

შენს სიყვარულმა დამამუნჯა სატრფოზე მწყრალი,  
გრძნობებით დაღლილს მომელოდა მკაცრი გამოცდა.  
მე სიკვდილამდის სიყვარულის შენი მაქვს ვალი,  
შენდამი ტრფობა ამჯერადაც ლექსად წამოცდა.

### **არ მასვენებს...**

ბედი მიმასპინძლდება, ტკბილის სმით და მწარის სმით.  
ამოსაყრელ ჯავრით კვლავ, არ მასვენებს კრწანისი.  
ეძალება გულს დარდი, ბასიანთან, შამქორთან,  
ჩემი მზერა ამ მხარეს, ცრემლიანი გაშორდა.  
სისხლი უკვე დაღვრილი, დასაღვრელ სისხლს აქეზებს,  
„ვაშა“ და „ჰკა მაგასა“ მომდგარი მაქვს ბაგეზე.

## ისევ ხერთვისი, ისევ თმოგვი, ისევ მარაბდა...

ჩემი ხერთვისი, ჩემი სამცხე, ჩემი აწყური,  
სისხლი ქართული-რქანითელა დღეის ნაწური.  
გრემი, იყალთო, ალავერდი, თმოგვი, მარაბდა,  
ჩემი ტკივილი ვერც ამ გზებზე დაპატარავდა.

ჩემი არმაზი, ჩემი მცხეთა, ჩემი ხახული,  
ცრემლის გარეშე ერთხელაც კი არ მაქვს ნახული.  
ტბეთი, ვარძია, კლარჯეთი და სამცხის ვარამი,  
ო, ტკივილები, ტკივილები სასოს მფარავი.

ოშკი და ბანა, მწუხარების დამდის რიონი,  
ისევ კრწანისი, შეღებილი ცის დაფიონი.  
გულს კვლავ მისერავს არტანნი, ლორე, სამშვილდე,  
დავმშვიდდე, მაგრამ აბა, მითხარ, როგორ დავმშვიდდე?

ოშკი ვერ ოშკობს და ხახული ველარ ხახულობს,  
უფალო, მამულს ნუ მიტოვებ უჭირნახულოდ.  
ჩემი ხერთვისი, ჩემი ოშკი, ჩემი აწყური,  
სისხლი ქართული-რქანითელა დღეის ნაწური...



### არა, ქართველნო?!

ანი, თბილისო და ჰოე, საქართველო,  
სულ მინდა გეფერო, შენ ჩემო, ბებერო,  
ახლა სიზმარში ვარ, ტივით მივსეირნობ,  
მტკვრის ნაპირით მივუყვები,  
საქართველოს.

მესხეთიდან ვინყებ, ფიქრში შენით ტკბობას,  
რა გზით მოდიოდა, ნეტავ, ნინო წმინდა?!  
ცაა მოღუშული და ბუნდოვნად მოსჩანს,  
ეხ, გრიგოლ, ტაო უღმერთოდ ჩამოშლილა.

ჯავახეთს,  
ციხე მზეობს, მძლეობს რაბათი,  
ბორჯომს, პეტრე; პავლე; მდგარი ათინათი.  
ცხისისს მოფენილან ბაბუანვერები,  
გორთან უკვეთიათ კლდეში უფლისციხე.  
(მურმან, აყვავდნენ ყაყაჩოები)

კვლავ მოსდებია სარკინეთს გვირილები,  
სამთვეს უთელია უღვთოდ, ავგიორგის.  
ბაგრატ, მოგვაყარე ჭიდან ორაგული,  
კვლავაც გააკვირვე მტერი, ალყად მდგარი.

(აქ მამის ნაამბობი მახსენდება)...  
ძეგვი დაუცლიათ ოდესღაც მტარვალებს,  
როცა ჩაუვლიათ შუკებში ჯალათებს,  
მეთაურს უკითხავს: რა  
შრიალიაო?  
ჯარისკაცს უთქვამს:  
ძე გვისო, ალაგებს.

მცხეთას მოკვეთილი მკლავი ამტკივდება,  
იარებს მიამებს კვლავ სვეტიცხოველი,  
აქ ჯვრით შემოსულა, ოდეს, წმინდა ნინო,  
მადლი უფრქვევია შენტვის საქართველო.

თბილისს მოვადექი,  
ძილში დაცვარული,  
ჩემი ოცნებების ტივით შენაცური,  
რიყეს მეგებება: მეტეხი, სიონი,  
ირიჟრაჟა კიდეც, დამთავრდა სიზმარი.

**P.S.**

რა წარმტაცი არის ჩემი საქართველო,  
მაგრამ ვარდობის თვეს უფრო წარმტაცდები,  
ყველა კუთხე მიყვარს, ჩემო საფიცარო,  
წამლად მეფინები, გულზე საქართველო!

სიტყვა ვერ ვიპოვე შენი შესადარი,  
მიხარია დარი, მტკივა მე ავდარი,  
ღმერთმა არა ჰქნასო, კიდეც ავდარიო,  
შენტვის თავს გავწირავთ,  
ქუდზე ქართველნიო!

### ჩემო საქართველო!

ფიქრო - გზანათელო,  
სულში დაივანე...  
გსურს, რომ ამამღერო!...

- შენს დასალოცად მოვძებნი ტაძარს,  
მოვეფერები გზად შემხვედრ მართალს,  
მომლიმარ ბაგეს დასცდება კვნესა...  
სიყვარულს შენსას, - პეშვებით შევსვამ!...

ყოველი ბნელი ნათდება შენით!  
შენი სილალე სულს რა რიგ - შველის!  
შენა ხარ ჩემი სისხლიც და გენიც,  
გიხსნი სიყვარულს უბრალო ლექსით!

არასდროს ვიყო თვალცრემლიანი,  
მე საქართველო, - მიყვარს მზიანი!...

\*\*\*

ჩემი ქვეყნის ყველა კუთხე  
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ფ ე რ ი ა...  
ყველაფერი... ყველაფერი...  
რაც ჩემს ირგვლივ ჰფენია...  
ყველა ხე და ყველა ბუჩქი,  
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ფ ე რ ი ა...  
მე მახარებს, როცა ზეცას,  
მოვარდისფრო ფერი აქვს!  
მაშინ გული საამოდ ძგერს...  
ფიქრით ბ ე დ ნ ი ე რ ი ა...  
სალამოც კი ხიბლით მათრობს...  
როცა ლამის სამოსს იცვამს...  
მიყვარს ზეცა ვარსკვლავებთ...  
მთვარით ვსუნთქავ...  
სიმშვიდეს ვგრძნობ!  
ვფიცავ უ ფ ა ლ ს!  
წლები მიდიან...  
ვერ დააბრუნებს, სევდა - ნალველი...  
შემოდგომის ვარდებს ვგავართ,  
ფოთლებდაცვენილს!  
ტკბილი ჰანგები... გაგვახსენებს,  
დღეებს გაფრენილს...  
წყენა არ მაქვს...  
სითბო დამაქვს...  
ყოფა მშვენიერია...  
ჩემი ქვეყნის ყველა კუთხე...  
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ფ ე რ ი ა...

### ქართული სოცბალი

არა, არა გაქვს ამ ქვეყნის  
აღარც სესხი და არც ვალი,  
სამყაროს სიდიდეს იტევს,  
შენი პატარა მარცვალი.  
არსობის პური გქვია და  
ხორცი — ჯვარცმული მაცხვარის,  
შენში ცის მწველი შუქი კრთის,  
არც მზე გაკლია, არც ცვარი.  
მინას აღვიძებ, მრავალი —  
სიცოცხლე გამონაცვალი,  
უფლის კალოზე ნალენი  
და ხელისგულზე დამწვარი

\*\*\*

ურდული ადევთ დარბაზებს,  
ბილნთ რარიგ დაემოყვრებივართ?..  
მინა გვაკლია, არ გვაძევს,  
თორემ ნამდვილად მკვდრები ვართ.  
ლოკავენ ცეცხლის ენები  
სავალ ბილიკებს, ინროსა...  
სადაც რომ ჩავესვენებით,  
იმ მინამ უნდა გვიცნოსა.

\*\*\*

მივყვები დღეთა ქარავანს,  
ცა ღრუბელს ურევს კარდალით,  
თუმც იცი, სწორი არა ვარ,  
მაგრამ ვარ, იცი - მართალი.  
კონჩხში მისხია ზედაშე,  
ხმიაღზე თეთრი მზე არის,  
კარგია, დღეს რომ მე და შენ  
არაფერი გვაქვს ზიარი.

\*\*\*

სიხარულს ვზომავ წამით მე...  
მცნებას ვიმარხვი ამგვარად,  
უნდა მოვასწორო, წავიდე,  
ვიდრე ნასვლის დრო დამდგარა.  
მოსწრება უნინ მტვერს ნაშლის,  
ქცევას მიმითვლის ნებისად,  
სულეთის მონატრებაში  
მე ღმერთი მენატრებისა.

\*\*\*

ხედავ სიზმარში როგორ ქრებიან,  
აფიფქებული ღამის ჩრდილები.  
სვამენ წყვდიადებს, ყორნისფრთებიანს,  
თვალები, სიმწრით დასეტყვილები.  
ხედავ: ნამეხარ მთების ბილიკებს,  
მოხვეტავს ქარი შურისძიების,  
ღამით ბინდ-ბუნდში ჩაიქილიკებს  
და სიბნელესაც მორთავ იებით.

## სოფია საყვანიძე

\*\*\*

გავიტანოთ ერთად ლელო,  
მხრებს შევიდგათ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!  
მოვიაროთ, ვადღეგრძელოთ  
ჩვენი კუთხის მთა და მ დ ე ლ ო...  
მეგობრობის მადლით ვმარცვლოთ  
ძმაცაცობის ა ნ ა-ბ ა ნ ა,  
გადაჰკარი სასმისი და  
დავუაროთ „გ ა ნ დ ა გ ა ნ ა“...  
დავულოცოთ საქართველოს  
ყველა კუთხე და კ უ ნ ქ უ ლ ი,  
შემოსძახე, აბა, მიდი!  
ააჟღერე „კ რ ი მ ა ნ ქ უ ლ ი“...  
ერთ ფარად და ერთ მახვილად,  
ვედგეთ ერთურთს კართან მ ც ვ ე ლ ა დ,  
მეგობრობის მადლით გლოცავ,  
მოვლენილო ძმად და მ ხ ს ნ ე ლ ა დ...  
ხელი-ხელს და მადლი ღმერთსაც!  
დაგველოცოს ფ უ ძ ე-ქ ე რ ი,  
აგერ, ძმაო, მარანი და  
დოქით ხელში მ ი ა ქ ე რ ი!..  
დავულოცოთ საქართველოს  
მომავალი და ა კ ვ ა ნ ი,  
გამოზარდოს დედამ ჩვილი,  
გამოანრთოს, ვით ა ბ ჯ ა რ ი!

ვუდღეგრძელოთ ჩვენს სამშობლოს  
თვალხატულა ქალი, ღ ი რ ს ი!  
იდღეგრძელოს, გაგვიმრავლდეს,  
აქ ქართული გ ე ნ ი-ჯ ი შ ი!  
აჰა, ძმაო! ხელი-ხელს და  
ულალატო სუფთა გ უ ლ ი,  
ჰა! ფიალა, დაილოცე! მთებს ვასმინოთ  
კვლავ „უ რ მ უ ლ ი“!..

\*\*\*

ჩემი სახლი მომენატრა, მაგნოლიის ჩერო,  
უკან მინდა ბავშვობაში წლები გავაჩერო!  
ზღვის ნაპირთან ტალღის შხეფით,  
ამიჩქარდეს გული,  
ხელის გულში მომენატრა, კენჭი დამალული...  
ფრთაფარფატა თოლიების ფრენა ტალღის პირზე,  
მეც შევცურო მინდა ზღვაში უფროსების ჯიბრზე...  
უკან მინდა ბავშვობაში, იქ გვირილა დამრჩა,  
თეთრ კაბაზე ილიმოდა  
გონებაში ჩამრჩა...  
მინდა ვკრიფო ბაიები, დავწნა გვირგვინები,  
კადრი თვალწინ გამიცოცხლდა, ვტირი, ვიღიმები...  
ჩემი სახლი მომენატრა, ის ჰაერი, ჩერო!  
უკან მინდა ბავშვობაში, წლები გავაჩერო!

### სუთასი ზოლნიხელი

ქართველთა თავზე ოდითგან დღემდის  
ბევრმა გრიგალმა გადაიარა,  
შემოსევებმა აურაცხელმა,  
ერს დაუტოვა ბევრი იარა.

ჯალალედდინმა ლახვარი ჩასცა  
დავით-თამარის შექმნილ სამოთხეს  
და მონღოლების ველურთა მოდგმამ  
ქართველთ დიდების მზე დააბნელეს.

მას შემდეგ განვლო არც თუ დიდმა დრომ,  
თითქოს მოშუშდა ყველა ჭრილობა,  
ბოროტმა ისევ დააგო მახე  
და აირია ქართველთ მშვიდობა.

აღმოსავლეთით ქარბუქი ატყდა,  
უსაშველო და დაუნდობელი,  
ქვა ქვაზე არვის არ დაუტოვეს,  
განყვიტეს გმირთა სახსენებელი.

ღვთისგან წყეულმა ლანგმა თემურმა,  
ქრისტეს მიმდევრებს ესროლა მზერა,  
სომხეთი მოსპო, დანვა ყოველი  
და გააშიშვლა მათი ტერტერა.

ქართველთა მეფემ არ დააყოვნა,  
უმალ ეძგერა მომხვდურს პირისპირ,

თემური ამ დროს ყარაბაღს იდგა,  
როდესაც ამცნეს სიძლიერე მტრის.

განრისხებულმა დაძრა ლაშქარი,  
მათმა სიმრავლემ ზეცა დაფარა,  
ფოლადაურის ხევში შეჩერდა...  
განცვიფრებულმა ლაშქარს შეხედა.

მის წინ ხუთასი ქართველი იდგა,  
მამულისათვის ხმალამონვდილნი,  
იდგნენ ჩაუქი ბოლნისელები,  
ქართულ აკვანში გამობრძმენდილნი.

მცისვე ეძგერნენ ველურთა მოდგმას,  
მოსრეს მრავალი დავითფერულით,  
ზეცას შეასხეს სისხლი მომხვდურის...  
არ გაატარეს ფოლადაურით.

ბოლოს იძლიეს ქართველთა მტრისგან,  
შემოეკედლნენ ციხეს ბოლნისის,  
სამ კვირიაკეს ბრძოდნენ გმირულად,  
არ შეარცხვინეს მოდგმა ქართლოსის.

ბოლოს, შელენეს თათართა ბჭენი,  
ბრძოლა გაჩაღდა უკანასკნელი,  
ჩაუქ ბოლნისელთ თავები დასჭრეს,  
სისხლით შეღებეს საკურთხეველი.

ისინი მოკვდნენ მტრისგან ძლეულნი,  
მაგრამ უკვდავნი დარჩნენ მარადის,  
უკვდავნი ბევრი ჰყავდათ ქართველებს,  
ნათელში იყვნენ ან და მარადის!

## ნიწო სჰანღეჰაშვილი

### **ვუჰღვნი აფხაზეთიღან ღტოღვიღ თანაღეღაღულაღეს**

ჩვენ საქართველო გვერგო სამშობლოდ  
და გულით დაგვაქეს ქართული ჯვარი.  
შენ გენატრება შავი ზღვისპირი,  
მე კი კახეთის საღამო წყნარი.

აფხაზეთიღან გიხმობს სიზმრებში,  
დატოვებული სახლი და კარი,  
მე მეღანღება აღაზნის ველი,  
ქარვაშესხმული ვაზი და ზვარი.

ჩვენ ქართველებად დავბადებულვართ,  
ღარღვებში გვიჩქეფს ქართული სისხლი.  
თუმცა სხვა მხარეც ვცანიღ სამშობლოდ,  
უცხო მიწა-წყალს ვუთხარიღ ფიცი.

სამშობლოსაღან დაშორებულნი  
სხვაგვარად ვხეღავთ აწმყოს და წარსულს,  
მაგრამ ქართულად აღვავღენთ ლოცვას  
და სიყვარულსაც დავეძებთ ქართულს.

## მიხმობს ფანჯარა

თმენით მივყვები ბედის აღმართს, სავსე ვარ  
რწმენით,  
რომ კვლავ ვიხილავ წინაპრების საფლავებს წმინდას,  
მოვეფერები სისხლის წვეთებს ალაზნის ველზე  
ყაყაჩოებად რომ მოედო გაპოხილ მინას.

ვემთხვევი ყანას, სახნავ-სათესს, ზვარსა და ვენახს,  
კახეთის ღვინის ფერითა და სურნელით მთვრალი.  
სულიერ აკვანს დავუჩოქებ და შევთხოვ უფალს,  
მიბოძოს ძალა, უცხო ცის ქვეშ კვლავ ვზიდო ჯვარი.

შენი მოდგმა ვარ, საწუთროს მზე ვიდრე დამნათის,  
მიხმობს ფესვები, წინაპართა ნათელი კვალი,  
დაგიბრუნდები, ბრძოლის ცეცხლში ვითარც  
ნაწრობი,  
დარტყმებისაგან დაკნეჭილი ერთგული ხმალი.



## ღაჯით სჯაჯანიძე

### **მშვიდობა საქართველო!**

წინაპართაგან სისხლით ნაპოვ მიწაზე დავალ,  
თუ დასჭირდება ჩემს სამშობლოს პირველი გავალ,  
იქ, სადაც გმირ დევკაცებს სისხლი უღვიათ,  
თავი გასწირეს, შიშის ცრემლი არ დაუღვრიათ!

იმერელი ვარ, მტკივა სამშობლო,  
ხშირად ცრემლები ლოდად მანვია  
და მეც იმ მიწას ვეთაყვანები,  
სადაც გმირების ძვლები აწყვია!

ღვთისმშობლის წილხვედრ ქართულ ჯიშს და გენს,  
გადაშენება არ უწერია,  
გულით გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო,  
ღმერთს ჩვენთვის გენში ჩაუნერია!

ამ ფიანდაზად გადაშლილ ველებს,  
ქვეყნად ბადალი არ გააჩნია,  
სხივებად შეკრულ მთებს და გორაკებს,  
სევდის ნისლები რამ დაამჩნია!

იმერულ მიწას ვადგამ ნაბიჯებს,  
ჩემი სამშობლოს მესმის ძახილი,  
შორეულ ლანდად ჩამესმის თითქოს,  
სოლომონ მეფის გადმოძახილი!..

მუდამ გვახსოვდეს: ვინ ვართ, რა გვინდა,  
ეს ისტორია გულში იღება,  
გმირებს ფენოდეთ მუდამ ნათელი,  
შენ, საქართველოვ, მარად დიდება!

### საქართველო...

საქართველო... ჩემო დედა სამშობლოვ,  
მუდამ გლენდა ქვეყნად მტერი ვერაგი,  
ღვთისმშობელი გიცავს ან და მარადის,  
მან მოქსოვა შენთვის ჯაჭვის პერანგი!

საქართველო... ვიცდი, გტკივა იარა,  
უხილავი მტერი არის განთქმული,  
ქრისტეს მიერ ნაკურთხი გაქვს მთა-ბარი,  
გადარჩენა არის შენთვის აღთქმული!

დავდგეთ ერთად რწმენის გადასარჩენად,  
განსაცდელი... გამოცდისთვის მოხვედი,  
რომ შემეძლოს, ჩემო დედა სამშობლოვ,  
გულს ჩაგიკრავ... ხელებს თრთოლვით მოგხვევდი!

...ბოროტება დამარცხდება, გაიხარებ, შენ ქართველო,  
კურთხეულ და დალოცვილი იყავ მუდამ, საქართველო!

### ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ა თ ვ ი ს

მე არ ვყოფილვარ აიეტის თანამედროვე,  
იაზონისგან რომ დამეცვა ოქროს სანმისი,  
მაგრამ ჭალებში მოჯირითე ქარსაც ვეომე,  
რწმენის თასიდან გაბნეული ბოლო მარცვლისთვის...

ვერ მოვახერხე, გზა იესოს ლოცვით ამევსო,  
როდესაც ნინომ მზე აგროვა, სითბოდ დაღვრილი,  
მაგრამ შევძელი, მოვრეოდი ცოდვის სამეფოს  
და აღმემართა უფლის რწმენაც, ნინოს ჯვარივით...

მტკვარმაც ბევრი თქვა წუთისოფლის, ბევრიც არაგვმა...  
არ შევსწრებივარ არც მცხეთაში ნგრევას კერპების,  
მაგრამ ნისლიან ქონგურების ნგრევის კვალდაკვალ,  
გულში იმედის სვეტიცხოველს მეც ვაშენებდი...

თუმცა საზღვარი ვერ გავწიე დარუბანდამდე,  
სხვამ სინანულიც უფრო მეტად იგრძნო სინათლით,  
ადამიანად ყოფნის არსი კაცს თუ ადარდებს,  
მეც გულისცემას ჩემს პატარა დიდგორს მივათვლი...

სიცოცხლისათვის, თვით სიკვდილზე მკერდმიშვერილი,  
მცხუნვარე მზის ქვეშ ცოტნესავით თუ არ დავწექი,  
სევდის კელიას შეხიზნული, ზოგჯერ ბერივით,  
მეც ხომ მარილში ჩემს ცრემლიან ლუკმას ვაწებდი...

როცა ნამებმაც მოუხშირეს ურვად ვაზებზე,  
დემეტრესავით თავი მსხვერპლად ვერც მე დადევვი,  
მაგრამ სიკეთე სიბნელეშიც უნდა გამზევდეს,  
ერთ ხმაღს რომ მაინც ეპატიოს მკერდზე ნაჭდევი...

სიკეთისათვის და რწმენისთვის გზაც თუ ატირდა,  
რაც ყაყაჩოებს კვლავ წინაპრის სისხლად აშრება,  
მე ლექსის რითმებს შევატოვე ქართულ მანდილად,  
რა სილამაზეც ვერ დაფარეს ქირმან - შალეებმა...

ვერ მოვახერხე, რომ მექცია ცხადად სურვილი  
და მეც ერეკლეს ბედაურად ველზე მერბინა,  
მაგრამ შევძელი, გაზაფხულის წვა და დუღილი  
შემომემტვრია, ვით მდინარეს, მკერდზე ჯვებირად...

ზოგჯერ ბალახიც ხავსივით რომ მოჩანს არხებზე,  
ამით სიცოცხლე იწყება და როდი მთავრდება,  
ციხის ნანგრევებს სევდიანად როცა გაეხედე,  
თითქოს ეს მითხრეს პანანინა ყოჩივარდებმა...



### **ღმერთთან საუბრობს კავკასიონი**

ღმერთთან საუბრობს კავკასიონი,  
თალხი მოუსხამს დღეს მზეს დარდიანს,  
ზარებს დარეკავს ახლა სიონი,  
ლოცვად ანთებს სიტყვას მაღლიანს.

ფიქრადდაღვრილი ჩავყვები ხევებს,  
სადაც ავდარი გათელავს ღრუბელს,  
სიმწრისგან ვიფშენეტ მოცარულ ხელებს  
და გაზაფხულის ველარ ვგრძნობ სურნელს.

ნეტავ რას ამბობს ღმერთთან მყინვარი,  
ან მონამენი ტანჯული მინის,  
მამულიშვილი ჩვენში ის არის,  
ვინც სამშობლოსთვის სანთლებად იწვის.

## ა ფ ხ ა ზ ე თ ი

ა რაფერია იმაზე მწარე,  
ფ ესვი მოგლიჯო მინას გულიდან,  
ხ ეს მოაცილო ფოთოლი, კვირტი,  
ა ლარ გალობდეს ჩიტი ბუდიდან,  
ზ ლვის ბინადარი გარიყო ნაპირს,  
ე დემში ვარდი გახმეს მინიდან,  
თ ბილ სახლში ღია დატოვო კარი,  
ი დინოს ღვინომ ქვევრის ძირიდან....

ო, აფხაზეთო, დიდო ტკივილო,  
ჩემო სავანევ, გულში მიზიხარ.

## გმირთა სულეპი

ისმის ჟღარუნი,  
თავგანწირვის ხმა და გოდება,  
ბრძოლის ყიჟინა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე...  
სიცოცხლის მერე, საუკუნო გარდაცვალება,  
როცა გმირებმა უკვდავება უფალს მიანდეს.

აქ ახლაც ფეთქავს  
მამულისთვის მამწვრალი გული,  
მინამიყრილი რჩება შიში - გარდაცვალება,  
სამშობლოსათვის შეწირული სიცოცხლე სრული,  
მარადისობას შეერწყა და არ დამთავრდება.

ისმის ჟღარუნი...  
თავგანწირვის ხმა და სიმღერა,  
გმირთა სულეპი უკვდავებამ ამოიმღერა.

\*\*\*

### *გიორგი ანუხელიძის ხსოვნას*

მჯერა, შენ ახლაც იცავ სამშობლოს,  
სხეული გენვის და სული გტკივა,  
გინდა, არავინ არ დაგვაჩოქოს,  
მტერთან ყოველთვის მიაღწევ მიზანს.

ვიცი, არასდროს არ მიგვატოვებ,  
ისევ ამშვენებ ქართულ ცას მიზანს,  
მჯერა, შენ ახლაც იცავ სამშობლოს,  
სხეული გენვის და სული გტკივა...

\*\*\*

### *აფხაზეთში დაღუპულ გმირებს*

მას მუსიკოსის თითები ჰქონდა,  
ის აფხაზეთის ბრძოლაში მოკლეს,  
ჩახუტებული თავის იარაღს  
თითქოს კვლავ წერდა უნაზეს ნოტებს.

ის თმახუჭუჭა ნავიდა ომში,  
გზად სიყვარულზე ლექსებსაც წერდა  
და მისი სახე სისხლიან თოვლში  
ჰგავდა თვით ღმერთის დახატულ სევდას...

## თბილისს

ახლა ფიქრებად ვწერე ზღაპარი,  
რას ხატავს მთვარე, ნეტავ, ვინ იცის,  
ოქტომბრის ქარით ჰყვება ჭადარი,  
როგორ ძგერს გული ძველი თბილისის.

სადღაც ანათებს ბედის ვარსკვლავი,  
დამათენდება ბებერ ლოთებთან,  
ასე უყვარდათ, ჰო, ეს ქალაქი  
და ეს არასდროს აღარ მოკვდება.

მივდივარ მთვრალი, სულით მაღალი,  
მაცილებს მტკვარი და ცა თბილისის,  
ახლა ფიქრებად ვწერე ზღაპარი,  
რას ხატავს მთვარე, ნეტავ, ვინ იცის...

\*\*\*

ღმერთის გული, ცას რომ ხატავს,  
ცრემლით აღარ დაასველოთ,  
დამიჯერეთ, მალე ვნახავთ  
გამარჯვებულ საქართველოს...

### და მიირწევა გემი სინდისის

და მიირწევა გემი სინდისის,  
წარსულს ტკივილით მოსავს,  
დღევანდელობის ცოდვის სიმძიმეს  
წვიმა ცრემლებად მოსთქვამს...  
მოსთქვამს, თუ როგორ ჩამარხეს ფსკერზე  
სიყვარულისთვის დაღვრილი ლოცვა,  
როგორ ჩაქოლეს მუჯღუგუნებით  
მითად ქცეული ბავშვური ბოძვა....  
როგორ გახადეს ტანზე სინმინდეს,  
არ დაგვანებეს ჩვენ მისი მორთვა,  
როგორ დაადგეს ფეხი სამარხებს,  
როგორ გამართეს საფლავზე როკვა....  
როგორ დასცინეს ამ სილამაზეს,  
როგორ ჩაგვიყვეს სულში ხელები,  
როგორ მოგვეგვლიჯეს გული არსობის,  
როგორ შეგვბილწეს მავნე ფერებით...  
როგორ შეკრიბეს მონათა ჯოგი,  
როგორ ჩაუდგეს სულში ბოროტი,  
როგორ უთხრეს, რომ სიყვარულია  
მათ ქედს დადგმული ჯაჭვი მონობის...  
როგორ შეთითხნეს იმ ზღაპრის ბოლო –  
სიბოროტე რომ სიკეთეს მოკლავს,  
როგორ იპოვეს ის საქართველო,  
მოხრილ მხრებზე რომ აჰკიდეს მოძღვარს...

## არ მინდა

არ მინდა, მზის ტაძარი მთვარისფრად ხარობდეს...  
გვირილა მინდორში ანწლისფრად ჰყვავდეს...  
მაისი შავგულა ვარდებით ვარდობდეს...  
ზაფხული ყინვისფრად ავდრობდეს, ავობდეს...  
არ მინდა, კაი ყმა ზურგს უკან ვაჭობდეს...  
საგმირო სიმღერებს მგლის შვილი ამბობდეს...  
ქართველი დედის მკერდს გინებით ამკობდეს...  
მინას, წინაპრისფერს მტრის ფულით ადნობდეს...  
არ მინდა, არარა რაობად ფასობდეს...  
ღვთისმშობლის მინა-წყალს ეშმაკი სახლობდეს...  
ამბიონს დემონი ფსალმუნებს გალობდეს...  
შაკალი გვთავკაცობდეს...  
შაკალი გვსარდლობდეს...  
არ მინდა, სხვაფერობას ველტვოდეთ, ვჩქარობდეთ...  
უცხოში გარდასახვა გვჩაგრავდეს, გვჭარბობდეს...



### მე არც მკვდარი ვარ და არც ცოცხალი

მე არც მკვდარი ვარ და არც ცოცხალი,  
ისიც არ ვიცი, ვინ ვარ, რას ვგავარ,  
სადღაც უსასრულ გზის გასაყარზე  
გზააბნეული ეული ვდგავარ.

თითქოს ვკიდევარ ცისა კიდეზე,  
ხსნად და მშველელად არავინ არ ჩანს,  
ღმერთო, შენ მაინც გამომეტყვადე,  
მხოლოდ შენგან თუ მოველი დახსნას.

არც ჯოჯოხეთი და არც სამოთხე,  
ქვესკნელისკენ თუ ზეცას ავიდე?  
ყველა კარები ჩარაზულია,  
ველარ გავიგე საით წავიდე.

კვლავ ისევ დავრჩი, როგორც აქამდე  
მოხეტიალე, გზირი, ეული,  
სასუფეველიც რომ ვერ ვიპოვე  
ისევ დავდივარ გზააბნეული.

\*\*\*

ჰო! გესმის, მორჩა, დროს გაგაყოლე,  
არავინა ხარ დღეს უკვე ჩემთვის.  
რაც კი მე ნლები, ცრემლი მიძღვნია,  
შემომიყრია სახეში შენთვის.

## საქართველო გადარჩება

საქართველო გტკივა, მამი,  
მიტომ მოგდის ცრემლი თვალზე,  
დამაცადე, გავიზრდები  
და მტერს რისხვას დავცემ თავზე.

ახლა სხვა თაობა მოდის,  
სულ სხვაგვარად შემართული,  
საქართველოს სიყვარულში  
ერთსულოვნად დარაზმული.

არ იდარდო, დამიჯერე,  
საქართველო გადარჩება,  
ის ღვთისმშობლის წილხვედრია,  
მჯერა, კვლავაც გაბრწყინდება.

საქართველო გადარჩება,  
როცა ერთად ვიქნებით.  
ძმა ძმისათვის, გზად და ხიდად  
გვერდი-გვერდზე ვიდგებით.

საქართველო გადარჩება,  
თუკი ერთად ვიმრომებთ.  
მტარვალს რისხვად დავუხვდებით,  
შეუპოვრად ვიბრძოლებთ.

მაშინ მოვა დღე ნეტარი,  
საქართველო გაბრწყინდება  
და ეგ ნანატრი ოცნებაც  
უეჭველი ასრულდება...

და თუ შენ ვერ მოესწრები,  
დამიდგება მწუხრის ჟამი,  
შენ საფლავში ჩამოგძახებ,  
გიხაროდენ, გესმის, მამი!

### ღუმელი გვამცნობს

როცა შევეყურებთ ბანას და ხანძთას,  
ოშკსა და ხახულს -  
ღვთის ხელით ნახატს,  
ვარსკვლავთ კარავში დავანებულნი  
ველარ ვუჯერებთ თვალებით ნანახს...  
ცრემლები დასდის ნანგრევს ჟამიერს,  
სხივების კონავ, ზეცად ამალღდი!  
მშვიდობა ვუთხრათ მადლიან ღვთისშვილთ  
ან და მარადის, ან და მარადის...  
როს იმოსავდნენ ქრისტეს წმინდანნი  
და აკურთხებდნენ იებს ველეზზე,  
მზის სასახლიდან, როგორც მირონი,  
ენვეთებოდა მინას ცის ნამი;  
ახლა ის არის, რაც იყო უწინ,  
სანამ ღვთის სახლი თვალს გაახელდა,  
ისეც უნდობი დრო-ულმობელი,  
ალბათ, ეშმაკმა თუ გაახელა.  
როცა შევეყურებთ ბანას და ხანძთას,  
მუხლს ვუდრეკთ ლოდებს,  
როგორაც ჯვარცმულს,  
ჩვენ, უხილავის ნახვის მსურველებს,  
დიდ საიდუმლოს ღუმელი გვამცნობს.

## „აგრე ვიცის ჯაყომა!“

„აგრე ვიცის... აგრე ვიცის ჯაყომა!“  
(ყელში ძვალის გაჩხერა და დახრჩობა!)  
მშობლის კერით ვაჭრობა და ჩარჩობა  
(სიცოცხლე ხომ არის მხოლოდ განცხრომა?!)  
ვინ დაეძებს, მამა რატომ ჯავრობდა,  
-ფესვი ისევ მახრას ეხრა არ ჯობდა?  
გათოშილ მზეს ლოცვა რას გაათბობდა,  
ცაზე როცა ეკალ-ბარდი ხარობდა?!...  
დაგვავიწყდა ნათლის მადლი, წყალობა,  
უდარდელი სიო როდის ქარობდა?  
ცეცხლის შუქი ნაცრიდან ვერ გამოკრთა,  
„აგრე ვიცის... აგრე ვიცის ჯაყომა!“



### თბილისის ცენტრში

ხუთი წელია თბილისის ცენტრში,  
აღმაშენებლის გამზირზე ვცხოვრობ,  
რაც საქართველოს ჰყოლია მტერი,  
უთარეშია თათარს თუ მონღოლს,  
დღეს ყველა ერთად ამ გამზირს ტკეპნის,  
არა მარტო მას და არა მხოლოდ!..

სახლის მესამე სართულზე ვდგავარ  
და აივნიდან ძველ პროსპექტს გავცქერ,  
ვუყურებ შავ და მომლიმარ არაბს,  
ირანულ, თურქულ, წარწერებს, აბრებს,  
ყველაფერს ნახავთ ქართულის გარდა,  
ნახავთ ზანგს, ჩინელს... ვერ ნახავთ ქართ-  
ველს!..

დროდადრო სადღაც წამილებს ფიქრი,  
ვიჩემებ ჩემსას, დავეძებ ჩემებს,  
ვგრძნობ, არც თუ ისე დიდი ხნის იქით,  
აქ სადმე ახლოს ჩადგამენ მეჩეთს,  
მოლას ხმა, როგორც საარი დილის,  
გამოაღვიძებს „ვერას“ და „ზემელს“...

ჩვენ ვივლით მაშინ პარიზში, რომში,  
ავახმაურებთ ევროპის ქუჩებს,

სოფლებში სახლებს დაფარავს შმორი,  
ჩაიხანები შეცვლიან დუქნებს,  
ჩემი სამშობლო გახდება შორი,  
შევეფარებით სხვის მკერდს და უბეს...

საქართველოში, ვინ იცის, ალბათ,  
უცხო ქადაგის დადგება სხვა დრო,  
დაავინყდებთ ტერენტი, გალა,  
პაოლო, ტიტე, კოლაუ, ლადო...  
ყველა სხვა რჯული იქნება კარგად  
და აღარავინ იქნება სანდო!..

დროდადრო სადღაც წამიღებს ფიქრი,  
ვიჩემებ ჩემსას, დავეძებ ჩემებს,  
ვგრძნობ, არც თუ ისე დიდი ხნის იქით,  
აქ სადმე ახლოს ჩადგამენ მეჩეთს,  
მოლას ხმა, როგორც საარი დილის,  
გამოაღვიძებს „ვერას“ და „ზემელს“...

\* \* \*

ასე ტირიან მერე ნისლებიც,  
როცა მშობლიურ ქედებს ტოვებენ,  
სამშობლოს მხრებით ვერ ვეზიდებით,  
სამშობლო გულით დაგვაქვს პოეტებს...

ყველა სტრიქონებში მზე და სისხლია,  
სხეულს სიტყვების აზმით ვმკურნალობ,  
რატომ მიყვარხართ, ვერ ამიხსნია,  
შენ და სამშობლო ასე, უფალო!

### ნოსტალგია

სიზმრად ვიხილე:  
კავკასიონი,  
მამულიშვილთა  
გოდება ტაძრად,  
დრო-უდროობა  
ანწყოს მიყინავს,  
ჩემი წარსული  
თვალწინ მეშლება,  
სულის სისუსტეს  
ვახრჩობდი მუდამ,  
ამორძალივით  
ვებრძოდი ბოღმას,  
თვით მდუმარება  
კიოდა ჩუმად  
და ვაყრუებდი  
უსიტყვოდ ყველას.  
ევროპის ზეცა  
თითქოსდა მსეტყვავს,  
თბილისის სიო  
მომიხმობს უკან,  
შინ დაბრუნების  
ხილვებით ვბორგავ,  
ცა არ მეხსნება,  
უფალი მბორკავს.

## რუსთაველს

მაშინ იყალთოს  
ენტო ლამპარი  
და იღვრებოდა  
მადლი მაცხოვრის,  
ამღვრეულიყო  
რუსთავის ზეცა,  
ზესკნელს გამოჩნდა  
უცხო ვარსკვლავი.  
გაიმაისეს  
თურმე ვარდებმაც,  
როს მოევლინა.  
ქვეყნად რუსთველი.  
კამკამა ციდან  
აღბათ, აწვიმდა,  
რამ დაადუმა  
მემატინე?  
იერუსალიმს  
რომ დაიკრძალა,  
ვიცი მისტირის  
სული მესხეთის,  
ხშირად თავმდაბალს  
თავის სიდიდით,  
გიჟივით დევნის  
ამაყი ბრიყვი,  
მაგრამ სანუთროს  
ლაბირინთებშიც,  
ცხოველი გონი  
ნაკვალევს ტოვებს.

\*\*\*

ცეცხლმოკიდებულ საქართველოს.....  
რის ლამაზი მთა და მდელო,  
რის თელა და ფიქრი.  
ეს ბედკრული საქართველო,  
სირცხვილისგან ინვის!

### **განა მხოლოდ უნეტარესს**

არ ვუჯერი ყურს და თვალებს  
ო, სიკვდილი მერჩია  
განა მხოლოდ უნეტარესს -  
საქართველოს ერჩიან.  
ვინ ორგულმა გაგვიმეტა,  
რისი ჰქონდა ცილობა  
როგორ გვესირცხვილებოდეს  
ჩვენი ერის შვილობა...  
...დაგვიფარე, ნმინდა ჯვარო,  
ნინოს თმებით შეკრულო.  
მებრალეები, საქართველოვ,  
ოდიდგანვე ბედკრულო...

## ო, დედოფალო!

გარეთ ქარია...  
ხორშაკნი ჰქრიან,  
ევლება სენაკს ნათლისლებანი,  
ო დედოფალო!  
სხეული გტკივა,  
თუ ცოდვის შვილთა შეცოდებანი?!  
... ვინრო სენაკში შუქად კიაფობ,  
ამაყობ კიდეც გულის ნიაღში.  
ფეხმორთხმით ზის და  
მოსთქვამს იაკობ:  
- ტანჯვას მოგანვეს ხვალ პიტიახში!..  
ო, დედოფალო!  
უარყავ რწმენა -  
კვლავ ჩაგქირქილებს მარტვილს სატანა,

... და ნუთით, თითქო, დაგეხშო სმენა...  
უბრძანებ სხეულს მეტის ატანას...  
ო, დედოფალო!  
იცვალენ მხარი,  
თორო - დანყლულდენ წყლულზე წყლულები.  
დასთმე სასახლე და შმაგი ქმარი...  
ვითა ბრჭყვიალა სამკაულები...  
გარეთ ქარია...  
ხორშაკნი ქრიან,  
ევლება სენაკს ნათლისლებანი,  
ო, დედოფალო!  
სხეული გტკივა  
თუ ცოდვილ შვილთა შეცოდებანი?!

### 26 მაისი

მზემ ცხრა თვალი გაახილა  
გაიხადა ფარაჯა,  
მოგვილოცა გამარჯვება  
დადგა ქვეყნის დარაჯად,

დღევანდელ დღეს სხივი მოსავს  
სამშობლოს ცა ლურჯია,  
თავისუფალებას ზეიმობს  
ქვეყანაში გურჯია.

დღეს ამაყად ფრენას იწყებს  
ცის ლაჟვარდში არწივი,  
გამარჯვება არ ყოფილა  
ადვილი და მარტივი.

უკეთესი მომავლისთვის  
გზები მოსაძებნია,  
ყველა დროში მტრები გყავდა,  
მტრები დღემდე გვებრძვიან.

უკეთესი მომავლისთვის  
მარტო ნატვრა არ კმარა,  
გამრავლდი და ნუ დარჩები  
ობლოლ სულის ამარად.

ახეირე შენი გონი,  
სხვის იმედზე არ იყო,  
მომავალში მტერ-მოყვარე  
რომელია გაიგო.

თავისუფალ საქართველოს  
გული ფეთქავს ეული,  
გაძლიერდი, ჩემო ტურფავ,  
აჯანსაღე სხეული.

გული შენზედ შემვარდნია,  
შენი მინის მტვერი ვარ,  
ხან უგონო მიჯნური ვარ,  
ხან კი სევდის ფერი ვარ.

გადაჰკვეთე ლაყვარდები,  
დადექ ბურჯად გურჯისა,  
ეს ქვეყანა ვხატოთ მხოლოდ  
ფიროსმანის ფუნჯითა.



### ჩვენ ვართ საქართველო!

ლაფში ამოსვრილა კაცის ღირსება,  
ვილაცას ვილაცის იმედი უქრება,  
შენ ხარ საქართველო, მე ვარ საქართველო,  
ჩვენ ვართ საქართველო და ჩვენ გვაქვს უფლება!..

წინაპრის ნათელი საფლავი ფლიდობით,  
სიავით, სიმრუდით ურცხვად არ გათელო,  
შენ ხარ საქართველო, მე ვარ საქართველო,  
ჩვენ ვართ საქართველო!

ნაკლებად მაშინებს გარეშე მტრები,  
მტრობა შინაურის უფროა ძნელი,  
ღმერთი არ გაგინყრეს მტრისკენ არასოდეს,  
არასდროს აღმართო ლაჩრულად ხელი!

ცოტანი შემოვრჩით მშობლიურ სამშობლოს,  
გაფანტულები ვართ სხვადასხვა მხარესმ  
ჩვენ ვართ საქართველო, ჩვენ ვართ საქართველო,  
მოშურნეს, გამყიდველს ნუ გავახარებთ.

წიფელმა ყლორტები უმაღ ამოყარა,  
დაჭრილი გულები ნდობით გავამრთელოთ,  
დიდი თაყვანი და დიდი მოკრძალება,  
ახალგაზრდობას—ახალ საქართველოს!

ერეკლეს, დავითის, თამარის გენია,  
ასე რომ აენთო, ასე კახაბერობს,  
ალგეთს ჯიშინი ლეკვნი დაზრდილან და  
ფეხზე წამოდექი, ტურფა საქართველოვ!

ერთი ცის, ერთი მზის შვილები გვქვია და  
ერთად გავიტანოთ ერთგულად ლელო,  
ღვთისმშობლის წილნაყარ მშობლიურ მინას,  
სიცოცხლით დავიცავთ, ჩვენ ვართ საქართველო!



## ჯეზაჯა სიბხოშვილი

### სადაც კი დავალ!

რაც იღბლით მერგო, ვთვლი, რომ უფლის განაჩენია...  
ცოდვას ვერიდე, მაინც მწარედ დავრჩი ვნებული,  
არც აკრძალული ხის ნაყოფი არ მიგემია,  
თუმცა კი გავხდი – სამოთხიდან გამოგდებული!

ის სამოთხე ხარ, გაჩენიდან რაიც მიყვარდა,  
მანოვე ძუძუ, მზრუნველობით გამორჩეულით,  
ქართული თიხით მოზელილი ადამი ვარ და...  
სადაც კი დავალ, – საქართველო დამაქვს სხეულით!

შორსა ვარ შენგან, ვაგვიანებ, ვით ოდისეესი...  
სხვათ საამებლად ვგვემე ხორცი, დავტანჯე სული,  
ვერ ვხვდები, ვის სურს მოგვითხაროს ძირი და ფესვი,  
არ მაქვს ანმყო და მომავალი... მხოლოდ წარსული!!!

ისაც მანდ დამრჩა... თან მე არა წამილია რა,  
ვერაფრით ვხვდები, ბედმა ასე რატომ იურჩა  
და ნოსტალგია, – მოურჩენი სულის იარა,  
უცხო მინაზე, არაფერმა არ დამიყურა.

სხვათა წალკოტში, ჩემთვის ვარდმაც არსად ივარდა,  
ვხარობ, – ლექსების გაცრეცილი, თხელი რვეულით...  
ქართული თიხით მოზელილი ადამი ვარ და  
სადაც კი დავალ, – საქართველო დამაქვს სხეულით!

უფალო! არ ვარ უმაღური, რაიც მარგუნე...  
ისე ვიარე, ბევრგან ვტოვე სიკეთის კვალი,  
გთხოვ, ჩემს კურთხეულ სამოთხეში კვლავ დამაბრუნე,  
რომ ქართულ მიწას არ დააკლდეს ჩემგან მისხალი.

არავინ იცის, ბოლო ჟამი ვისთვის სად მოვა,  
ვის სად ეწვევა ბედისწერა ელვით თუ მეხით...  
ღმერთო! იმას გთხოვ, წმინდა მიწის ეს მცირე გროვა,  
კვლავ სამოთხეში დავაბრუნო, ჩემივე ფეხით!

მე შენი ნდომა, არასოდეს გადამივარდა,  
ყველგან მიყვარხარ, სიყვარულით წრფელით,  
გრძნეულით...  
ქართული თიხით მოზედილი ადამი ვარ და  
სადაც კი დავალ, – საქართველო დამაქვს სხეულით!

ქ. თესალონიკი,  
17. 09. 2020 წელი



### გურჯაბი

მხატვრის ფიქრები გაიბზარა სადღაც შუაში  
და ოხშივარი აუვიდა ალენილ თვალებს.  
მერე დახატა მონა ქალი სისხლის გუაშით,  
შიშველი ნდომა ევნუხ მხატვარს ძილშიც აწვალებს.  
ნამმა დაკარგა ყველაფერი, რაც რამ ებადა,  
უბედურს მკერდზე მიეყინა მზერა მშიერი.  
გამხმარ ნატვრის ხეს მარტო ერთი ვაშლი ება და  
ღმერთმა თავიდან გამოძერწა სხვა ნაშიერი.  
კარგად იცოდა, არ შეეძლო ეცხოვრა ქალით,  
პირველად იგრძნო საცოდავმა თავი ეულად.  
ფაზისს ნატრობდა ისტამბულის მზით გამომთვრალი,  
დღეს ყველაფერი მოგონებად გადაქცეულა.  
ნეტავი ისევ ჰარამხანის ტალანში ევლო,  
ყალამმა თითქოს დაავინყა მხატვარს ხვედრი და  
ეგონა, მწარე სინამდვილის მოხრჩობა შეძლო,  
და ოცნებებში კვლავ ჰარემის ტურფებს ხედნიდა.  
იგრძნო, გონება დაებინდა წლების თრიაქით,  
რა დრო გასულა, რაც აქციეს მამრი ევნუხად...  
დუ შაშის დაცვლად, კამათელმა დასვა იაქე,  
დაცინვად სულთნის ნაჩუქარი ჩალმა ეხურა.  
ტილოზე სულ სხვა გატაცებით დაიწყო ხატვა,  
იქ ვერ ამოსდო გაგიჟებულ ვნებებს აღვირი,  
მერე სიბერეს გურჯი ქალი შემორჩა ხატად,  
და ცხელი სუნთქვა, ნაკაცარის სულში ჩაღვრილი.

## ქართული გენი

შიში მიპყრობს და ვერ გავიგე, რისი შიშია,  
თუ ძველებურად მესალმება არსთა გამრიგე.  
ცხოვრება თვითონ ოპიუმი და ჰაშიშია,  
როცა აქციებს უსურვილოდ ჩამოარიგებს.  
დღეს ჰარემში ვარ და სულთანთან ჩემი რიგია,  
სისხლში იმასაც ურევია ქართული გენი.  
დრო წარსულისგან გაიძარცვა, ვერ გამიგია,  
ჯერ ძველი რომი ნაიშალა თუ კართაგენი.  
-ჩვენი სამშობლო გადარჩაო, — ამბობენ ხშირად,  
ბედუინებმაც ვერ დათრგუნეს ქართული სული.  
უფრო დიდ ქვეყნებს უჯდებოდათ ომები ძვირად...  
ამას ლაღადებს ფოლიანტი, ჟამგადასული.  
ვინ თქვა, გადარჩა, გაიფანტა, როგორც ურია,  
და კოლხის თვალებს აბრიალებს თურქი ხათუნი,  
ჩვენი ცოდვების დიდებული საზღაურია,  
მამლუქი ცხენს რომ მოაგელვებს ფლოქვთა ხათქუნით.  
არავინ იცის, სხვის მიწაზე ვხარობთ როდიდან,  
კარი გახსენით — გაიქცევა ასიდან ასი.  
ჩვენში გენიოსს უმეცარი თვალებს კორტნიდა,  
სიყვარულის ხომ ამ მიწაზე გროშია ფასი.  
შიში მიპყრობს-თქო... დაითვალა ყოველი მისხლით,  
ისევ წამებში იყიდება ჩვენში გენია.  
წარსულში რომი განადგურდა ბებერი სისხლით,  
ოცდამეერთე საქართველოს განაჩენია.

# ხათუნა სოთაია

## თბილისს

ვესაუბრები ცაზე ვარსკლავებს, ნისლი აკვრია  
თბილისს,  
მონატრებისგან ტანში მამტვრევს და მოგონებაც კი  
მიმიძიმს...  
ცაზე ბრდღვიალა მზე ანათებს და სულ ჟრუანტელი  
მივლის,  
მონატრებული ჰანგების ხმა ძლივს ღია სარკმლიდან  
ისმის.

ფერად-ფერადა მთებს გავხედე და ფიქრის გორაზე  
მოვხვდი,  
ჩაფიქრებული მთანმინდის ძირში ანკარა წყარო  
მოვსვი...  
დავენაფე და თან გამიელვა წლების სურათმა ნამში;  
იყო დრო, როცა ნატვრად მქონდა და ვერ  
ვბრუნდებოდი სახლში...

წლების ტკივილმა ჩამიქროლა და კვლავ დამიარა  
ოფლმა,  
უსუსური და ღონემიხდილი როგორ ვიდექი ობლად...  
გადაიარა, გადაიქუხა, ვესაუბრები თბილისს;  
ყველა გოჯისთვის თავს გავწირავ და ველარ  
დავუთმობ ვერვისს...

ჩემი სითბო და ყველაზე ტკბილი მოგონებები ბუჩქად,  
ჩემს დედაქალაქს გადავაბარე სიტკბო-სიმწარის  
ნუსხა...  
ყველაზე დიდი მესაიდუმლე გაბრწყინებული მელის,

გაბრდღვიალებულ ცის კამარაზე საგალობლები  
მესმის...

ვესაუბრები ცაზე ვარსკლავებს, ნისლი აკვრია თბილისს;  
მონატრებისგან ტანში მამტვრევს და შეხვედრაც  
თითქოს მიმძიმს...

## გადარეული დედამინა

თითქოს და უცებ ჩამოხნელდა კაშკაშა ცაზე;  
ბნელეთს გამოყვა ნიშნმოგებით იმედი სხივად.  
ვითომ და უცებ ფიქრის გორა გამდგარი განზე  
გაიბადრა და გადიხარა ცის საკოცნელად...

ფორიაქობდა მინა, ზეცა, თვით დედამინა...  
ქარბუქს ერთოდა დარდი ნალვლად და გადარევა;  
ცა ირყეოდა, ზღვაზე გემი გადაბრუნდა და  
ადამის მოდგმის ოხვრა-ხენეშა ზეცას ესმოდა...

გადირიაო დედამინა, ცეცხლად იწვოდა...  
ბავშვთა ტირილი კისკისის ნაცვლად ოხვრას ერთოდა;  
ზღვა დუღდა ცოდვის სარეცელად ცრემლს აგროვებდა;  
მამაზეციერს ხელაპყრობილი შველას შესთხოვდა...

თითქოს და უცებ გადიყარა ცაზე ღრუბლები,  
ზღვაც ჩანყნარდა და ცისარტყელის ფერებში ჩანვა;  
ფიქრის გორაზე შემომჯდარმა არწივმა შვებით  
ჩაისუნთქა და ოცნებების ლაჟვარდში ჩანვა...

\*\*\*

მინდა ნამცეც-ნამცეც აკრეფილი  
გულისპირში მშვიდად შეგინახო,  
სულაც არაფერი მემეტება სხვისთვის,  
ჩემო მინავ, მადლიანო.

ყველა დაბიჯება როგორ მტკივა,  
ყველა მიძიმე ჩექმით გადავლილი  
ნაფეხური, იცი როგორ მსრისავს,  
ჭრილობები, კანიც აქერცლილი...

სული? აღარ მკითხო, რა მოარჩენს,  
გული? ცხრა წილად მაქვს განახლეჩი,  
ფესვი? არ გახმება, არც განწყდება  
გენი ძლიერის და მადლიერის.

ჰოდა, ნამცეც-ნამცეც აკრეფილი  
ხელისგულზე უნდა მოვიგროვო,  
მტრედი, სამშვიდობოდ აფრენილი,  
დაუყვედრებლად რომ დავაპურო.

## კიდეკაც დანიზრდებია

დაგვაპატარავეს, შეგვაწინროვეს, ჩამოგვატეხეს,  
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გაშლილი მკლავი,  
სისხლი გვადინეს, ქრილობები ვერ შევიხორცეთ,  
მტერთა სიუხვე, რაც მოშუშდა იმასაც გვაცლის.

საინგილო ხომ სულ გვტკიოდა, ტაო-კლარჯეთიც...  
სანთლის ანთება, პირჯვრის წერა ვერ დაგვაწინყეს.  
ნაგლეჯ-ნაგლეჯ და ლუკმა-ლუკმა გამოგლეჯილი:  
წინკნეს, გათელეს, მგლების ხროვა გამოგვიკვებეს.

საუკუნეებს ვითვლით, უკვე რაც ასე ხდება,  
და ახლაც ბედენ უნებართვოდ გატეხვას გრძნობის.  
გადაგვიარეს: გულზე, სულზეც, მაშინ და ახლაც,  
გენი ქართული ვერ მოსპეს და დიდება უფლის!

ძლიერი სული, მკლავი მაგარი, გონება მჭრელი,  
გენი მებრძოლი, დაჭრილიც კი მდგარი ამაყად,  
არ დააბიჯებს მტრის ბრძანებით დროშას და სინდისს,  
ასე უშიშრად გაუყვება სიკვდილს კვალდაკვალ.

დაინერება ისტორიის ახალი თავი,  
და იმედი მაქვს, კარგი ამბით დაგვირგვინება.  
მტერო, გახსოვდეს, ერთი ასად გაგიმრავლდებით,  
ლეკვი ლომისა გაიზრდება, ცადეთ გადავლა!

### **ცაზე ღრუბლებმა შემოჰკრეს ზარი**

ცაზე ღრუბლებმა შემოჰკრეს ზარი,  
ან ეს ტკივილი რად მეჩემება?  
სამშობლო ჩემი, ლომის სადარი,  
მუხლდამხობილი რად მეჩვენება?

აღსდექი, ერო, დიდი დავითის,  
თამარის, შოთას ნიჭო, გენია,  
ოდეს ყოფილა, ჭკუა-გონებით  
უცხო გვარ-ტომი შენ მოგერია?!

თუ მოგერია ლაშქართ სიუხვით,  
არც იმ ბრძოლებში გყავდა ჯაბანი,  
თავზე გეხურა ნამუსის ქუდი,  
ჩოხა გემოსა, არა კაბანი!

ამოდი, მზეო, შენი მშვენებით!  
გაასხივოსნე მამული ჩემი,  
ააყვავილე, ააფერადე,  
გააცისკროვნე სამშობლო ჩემი!

## აღარ მინდა!

დეზი ვკარით და მივდივართ სამშობლოდან,  
ვის ვუტოვებთ ჩვენს მიწა-წყალს ფუძემზიანს?!  
ისე ხდება, მტერიც რომ ვერ ინატრებდა,  
ისიც ველარ მოგვიტანდა ამდენ ზიანს.

დაშრეტილა ჩემი გულის ბოლო ნვეთი,  
არ მასვენებს უამრავი სატკივარი,  
საქართველო აღარ მინდა უქართველოდ!  
საკმარისად ზიდა მისი მძიმე ჯვარი.

## ამას შეგთხოვ...

მე გულით დამაქვს თქვენი სიტბო და  
ეს სიყვარულიც ღმერთმა ინება,  
დაგბედებოდეთ ლხინი, ხალისი,  
აგსრულებოდეთ ყველა ოცნება.  
დედაო ღვთისაგ, დალოცე ერი  
და საქართველო - შენი წილხვედრი!  
გამიცისკროვნე მამული ჩემი,  
ამას შეგთხოვ და ამას შეგვედრი!

\*\*\*

მაშ, აბა ვინ ხარ?!

ბედნიერების თუ მცხუნვარება

არ ათბობს შენ ერს, არ ათბობს მამულს,

არ გაკრთობს ელდა და მდუმარება,

არა სალბუნობ, მიწას ცრემლ-ნამულს,

არ გაკრთობს როგორ აღრევდა სისხლი,

ან როგორ მეფობს შური და შულლი,

სხვის ცოდვას როცა წვეთ-წვეთად ითვლი,

შენსას ვერ წონი ნატარებს, ულლით.

არ ძალგიდს სიტყვას, ძალადაკარგულს,

კვლავ ხელმეორედ შეასხა ფრთები,

მეობას შენსას „სხვაში“ „ჩაქარგულ“-ს

როდის და რატომ, ვერაფრით ხვდები...

ქაოსის რიგში ისევ წინ დგახარ.

წინაპრის ძვლების ხმაურში ბორგავ,

ისევ შენიანს უმიზნებ ლახვარს,

მტრის შემოგდებულს ეხვევი გორგალს...

ვერ გამახსოვრებს თავს დატეხილი

ო,მერამდენე ჭმუნვა და სეტყვა...

ერთობის ჯაჭვი ვერ დაგრეხილი,

დაშლილ რგოლებად რამდენჯერ გსეტყვავს.

მაშ, აბა, ვინ ხარ, არ გტკივა როცა სამკვიდრო შენი,

იცლება შენგან, დედა,

რომელიც ვერ განვდენს ლოცვას

შეხიზნულია უცხო ცის ზეგანს...  
ჯიში, რომელიც მუხის ფესვიდან,  
ქართულ სისხლიდან გამირობით იშვა,  
გადახვენილა უფლის პეშვიდან და  
ობმოდებულს ცრემლი სდის ქიშკარს...  
მაშ, აბა, ვინ ხარ, არ გენვის შუბლზე,  
დადუღებული ნამუსის ძარღვი  
და თუ არ განევეს სამშობლო გულზე,  
სიცოცხლის ქვაზე თავს რად არ ახლი,  
ან რას გიქადის ოხერ-ტიალი არსობა  
ფუჭი უსაქართველო, თუ ვერ გახარებს  
ერი სიმრავლით, წინაპრის ფესვზე თუ ვერ ნამყენობ...  
მაშ, აბა, ვინ ხარ, არც არვინ, რადგან  
თუკი გაგექცა სული ცხედრიდან,  
უქართველებო ჟამი თუ დადგა,  
თუკი ურდონი ჟამს გიხედნიან...  
თუკი ტკივილი არ გაღვარცოფებს -  
როგორ მდუმარებს ერის ცისკარი,  
რომ ფუძის დედას როგორ აცოფებს  
დღეს ჩაგმანული ყველა ქიშკარი?  
მაშ, აბა, ვინ ხარ, არც არვინ ალბათ,  
არ წაგიკითხავს ბედი ქართლისა,  
თუკი არ იცი რამდენჯერ აღსდგა  
ერი უკვდავი, ქრისტეს ჯვარცმოდან?!  
მაშ, აბა, ვინ ხარ?!

### აფხაზეთო, ტკივილი ხარ ჩემი!

აფხაზეთო, ტკივილი ხარ ჩემი,  
მომენატრა სოხუმი და დრანდა,  
ჩამოგვტეხეს ასაფრენი ფრთები,  
ვის ადარდებს ქვეყნად ჩვენ ორს გარდა...  
ფსოუს წყალმა შეიცვალა ფერი,  
ტირის თურმე მაგნოლია მარტოდ,  
ჩვენი ძმობა არის ყველაფერი,  
ერთ მიწაზე ერთმანეთს რად ვნატრობთ?!  
აფხაზეთო, შენთან დამრჩა გული,  
ძმის ნასროლი ტყვია სხეულს ცხრილავს,  
მოგაბარე, დარდით გალეული,  
ამბიონზე დაასვენე ფრთხილად...  
დაგაფიცებ თბილისსა და გაგრას,  
ილორის ხატს, მეტეხსა და ათონს,  
ენგურის ხიდს გამოღმა და გაღმა,  
საზღვარს ცივი მონატრება ათოვს!  
ხელს გინვდი და ველოდები პასუხს,  
შუამავლად სიყვარული ჩავდე,  
ტკივილები შევატოვოთ წარსულს,  
აფხაზეთო, ჩემი გული განდე!

\*\*\*

ტანაყრილი თეთრი კალა,  
მონყენილი მიყურებს,  
ველარც ბილიკს ველარ ვკვალავ,  
ლექსი სულს ვერ მიპურებს...  
შუქჩამქრალი ცაზე მთვარე,  
გადამექცა ფიქრებად,  
სულ თითებზე წლები ვთვალე,  
მეფანტება, მიქრება...  
აპრილის თვემ მილაღატა,  
ახლა მივდეგ მაისებს,  
ლამით სიზმრად თუ ვერ გნახე,  
თვალებს ცრემლი ამივსებს...  
არ გირეკავ, არ გკითხულობ,  
არ გიგზავნი ბარათებს,  
მე, მახსოვხარ, შენ მივიწყებ,  
არც ფასი აქვს არაფერს!...  
სიამაყით, სიფაქიზით  
კალას ვგავართ ქალები,  
ჩემ სიყვარულს ყავლი გასდის,  
სხეულს მიმტვრევს ქარები...  
რა ფერები, რა შუქრდილი,  
მემტერება დარდები,  
ამ სიყვარულს ცად ავიტან,  
მერე მეც იქ დაგხვდები...  
ტანაყრილი თეთრი კალა,  
მონყენილი მიყურებს,  
შენკენ სავალს ველარ ვკვალავ  
და შორიდან გიყურებ!...

### დიოსკურიას

ნახდენია ნირი დიოსკურიას,  
სილამაზეს მოსდებია ჟანგი,  
იქ, სიცოცხლეს ფრთები მოუკეცავს,  
ალარა ჟლერს სიყვარულის ჩანგი.  
იქ ილორი ცრემლებსა ღვრის ჩუმად,  
იქ ბედია მნუხარებით კვნესის,  
ნოსტალგიას შეუპყრია არე,  
მგალობელთა ხმები აღარ გვესმის.  
ზღვის ნაპირებს მოსდებია ხავსი,  
დაჰკარგვია სიყვარულის განცდა,  
პალმის ტოტებს თმები ჩამოუშლიათ,  
დასტყობიათ ავი ხელი ჟამთა...  
ჰე, ენგურო, ნუ იქნები მორჩილი,  
ზვირთთა შტურმით გადათელე საზღვარი,  
თუ ჯებირად ვინმე გადაგიდგება,  
შეაყარე თვალში ქვიშა, ნაცარი!..  
თოლიებო, გაამზადეთ ბარათები,  
დაემგზავრეთ ზღვის მოვარდნილ ტალღას,  
გზად ნურაფერს ნულარ შეუშინდებით,  
ნუ დაეძებთ დაქანცვას და დაღლას!..  
დაურიგეთ ბარათები შერიგების,  
ყველა ქართველს, ყველა ოსს და აფხაზს,  
თორემ მუხას დაკოჟრია ტანი,  
ტოტმოჭრილი საქართველოს არ ჰგავს!

## პირ შეველაჰი...

ჩემი ქვეყანა, ასე ლამაზი,  
ოდითგან ათას მტერთა ნათელი,  
ჩემთვის ხატია და სალოცავი  
და ანთებული წმინდა სანთელი.  
ისევ დიდებულ წარსულს მივტირი,  
დღემდე დამყვება მისი სურნელი,  
სულ თქვენი იყოს ოთხივე მხარე,  
მე ჩემს სამშობლოს ვერ შეველევი,  
შენ სამოთხეშიც არ გაიცვლები,  
ეს სიყვარული ცეცხლივით მწვავდა,  
როცა ცოტა ხნით დაგშორდებოდი,  
კვლავ დაბრუნების სურვილი მწვავდა,  
გაგვჭირვებია ყველას ცხოვრება,  
მეც ასე მიჭირს, დარდებით დავალ,  
მაინც სამშობლოს ვარ მიჯაჭვული  
და ამ მიწიდან არასდროს წავალ!..



### სუთი წლის წინ

(რემიქსი)

თბილისიდან წამოვედი ელადას,  
საქართველოვ, ჩემი გული მანდ დარჩა,  
მოვინდომე, სხვაგან ბედი მეცადა,  
ახლა გეტყვი, ტკივილებად რაც დამრჩა...

აცრემლებულ თვალებს ძლივსლა ვმაღავდი,  
თვითმფრინავის ტრაპზე როცა ავედი,  
მჯეროდა, რომ ყველგან დამიფარავდი,  
შენი მიწის სურნელს შემომახვევდი...

არ შევმცდარვარ, აქაც კი მეფიქრები,  
შენ ხარ ჩემი პოეზიის მესაჭე,  
ეჰ, უშენოდ აბა, როგორ ვიქნები,  
თავი ჩემი ასე რომ დავისაჯე...

რა არ ვცადე, ვერაფერი გავანყვე, –  
ამ ცხოვრებამ ბევრი ცრემლი მანწვნია,  
რომ ვიფიქრე, ცოტა დარდს შორს გადავწვე –  
სანუგეშოდ, სიტყვაც არ შემანია...

სუთი წელი გადის, რაც არ მინახავს,  
ჩემი კერა, თბილი, ნაარტახალი,  
აღბათ სახლი, მოგონებებს მინახავს,  
ვიდრე აქ ვარ, დარდით ნაპარტახალი...

თბილისიდან წამოვედი ელადას,  
საქართველოვ, ჩემი გული მანდ დარჩა,  
მოვინდომე, სხვაგან ბედი მეცადა,  
ახლა გეტყვი, ტკივილებად რაც დამრჩა...

### ვით აღსარება

ვერ მოგეფერე, მამულო, ისე,  
ვერ დაგიამე სულის ჭრილობა,  
რაც შემოგფიცე ოდითგან შობის,  
ვერ შეგისრულე ერთი პირობაც.

უცხო ცის ქვეშ მყოფს, დამრჩა სურვილად,  
ვთვრებოდე შენი ბალის სურნელით,  
აქ, როგორც სენი მოურჩენელი,  
დარდი დამყვება განუკურნელი.

თვალებს იფშენიტავს ხეზე კვირტები,  
სამყაროს ხილვა რარიგ სწყურიათ,  
ფესვებთან თუკი ცულს დავუმიზნებთ,  
მათი იმედიც განწირულია.

ქარს სათარეშოდ ვით დავუტოვო,  
სახლის ფუძე და ეზო, კერია,  
მკერდში ამაოდ ვიცე მჯიღები  
და ვთქვა მერე რა, არაფერია...

გთხოვ, მომიტევე, ჩემო სამშობლოვ,  
ვერ გამოვდექი მე შენთვის გმირი,  
მიიღე ჩემგან ეს მცირე ლექსი,  
ვით აღსარება „უძღები შვილის“.

\*\*\*

იქ სხვაგვარი გაზაფხული იცის,  
მზე სიყვარულს ეფიცება ზეცას,  
დრო ჩერდება და აღარსად მიჰქრის,  
ჩემი სული შენზე ლოცვას ბედავს.  
საქართველოვ, მშობლიურო მხარევ,  
საიდუმლო რომ გაგანდო მინდა,  
ვერ ვიყვარე სხვათა მიწის გოჯი,  
მინდა შენი ჩახუტება წმინდა.  
სიზმრად მექეც მენატრები ისე,  
სიყვარულის დავიღვრები ცრემლად,  
ვერ გავუძლებ სხვის სამოთხეს, თუნდაც  
და ოცნებას ისევ შენზე ვბედავ,  
წარმოვიდგენ, რომ ვემთხვიე შენს გულს,  
ზღვას გავცქერი ლურჯი ფერით სავსეს.  
ვფიქრობ, ჩემო, არაფერი არ მსურს,  
ნეტავ, ღმერთო, ეს სიზმარი ახდეს,  
ქართულ ტაძრებს რომ ვემთხვიო, ნეტავ,  
სხვა, უფალო, არაფერს არ ვნატრობ,  
ნეტავ მოვკვდე საქართველოს მკერდთან.

\*\*\*

სიცოცხლის მზის ქვეშ დავიბუდებ, როგორც გვირილა  
და სურნელს შენსას შევინახავ ყოველ ფურცელში,  
რომ ყოველ ჯერზე შეხებისას გითხრა, მიყვარხარ  
და გაგრძნობინო შენი ფასი ჩემთვის ნამებში.  
სიცოცხლის მზის ქვეშ დავიბუდებ, როგორც გვირილა,  
რომ შევეჩვიო მოლოდინებს მე მხოლოდ შენთვის  
და როცა მოხვალ არას გეტყვი გარდა იმისა,  
რომ შენით ვსუნთქავ წვიმის შემდეგ შენი ხმა მესმის.  
სიცოცხლის მზის ქვეშ დავიბუდებ, როგორც გვირილა,  
ისე ლამაზად და სათუთად მოვრთავ მოლოდინს,  
რომ ჩემთან მოსულს გალიმება გაგიადვილდეს  
და დაღლილობაც ქარებს გაჰყვეს, ვით ფიქრთა თქეში.



### გმირთა

ვაჰ, ვაზები ირწყვებოდნენ სისხლით...,  
ბინდისფერს მოისხამდნენ მტევნებს,  
სამშობლო გაფიქრებდათ მხოლოდ,  
მრავალი ენამეთ და ევნეთ.

ვაჰ, ვაზები ირწყვებოდნენ სისხლით,  
ვაზებმა არ იცოდნენ წყალი,  
რადგან სამშობლოზე ფიქრი გდევდათ,  
ვით ღანვზე ამოსული ხალი.

ვაჰ, ვაზები ირწყვებოდნენ სისხლით...  
ბინდისფერს მოისხამდნენ მტევნებს,  
თუ რამეს ვამატებდე, ღმერთო,  
ერთობ შეგთხოვ, მომიტევე.

ვაჰ, ვაზები ირწყვებოდნენ სისხლით,  
ნითელი ციალობდა მინად,  
რა ხმლით...?!, სამშობლოს სიყვარულით მკვდარი,  
ხალხი ლელიანზე იწვა.

## უსაქართველოდ

უცრემლოდ კაცი ვინ არის?!  
უნვიმრად რაა ღრუბელი?!  
უცეცხლოდ რაა ბუხარი?!  
მინა ფასობს ცის უღელით!  
ხეები რაა უქაროდ?!  
მთები ნისლების გარეშე...?!  
უსაქართველოდ არცრა ვარ,  
გულს სამშობლოთი ვაგეშებ!



### მაგულო....

ჩემო სიმაღლე სულისა,  
კედლებ, ნაფერო ვაზით,  
გრძნობავ დიდ სიყვარულისა,  
სისხლის წვეთამდე დაცლით.

გენო, ფესვების სიღრმისავ,  
საუკუნენო განცდის,  
ხელისგულ დაყრილო მინავ,  
თვალთავან ცრემლად დაცლის.

რწმენავ დულაბო კედლისავ,  
ჩამონგრეულო ყორევ,  
ტირილო ქარში ლერწმისავ,  
დარდო, ძმისაო შორევ.

კონად შეუკრავ ისრებო,  
წიგნო, ნანერო სისხლით,  
ფესვებო, ჩემო იმედო,  
მაცოცხლებელო მიწის.

ოდესმე შეიკვრებოდეს,  
სიტყვა ეფინოს გზისად,  
მტერო, არ გელხინებოდეს  
ქართველის შავი დღისა.

„ჩემი ხატია სამშობლო“  
საგულე ფიცრად თლისა  
ღმერთის და ხატის მყოფელო,  
გამთენებელო მზისად.



### ნეზიერა საქართველო

ნეზიერა ხარ ამ სამყაროს, ამ ცის ქვეშეთში,  
პლანეტაზე გაქვს ადგილი, ღვთით ნაბოძები,  
მეფეთმეფე ხარ ბუნებით დაუძლეველი,  
შენი ნალკოვით, ედემით და სამოთხეთი.

ერთი წერტილი, მსოფლიოს ერთი ნამცეცი,  
მაგრამ აღმასის და ლალის, ძვირფას ნათებით,  
შორს გაგვარდნია სახელი ერისკაცობით,  
ისტორიის და დიდების შარავანდედით.

თავად პატარა ბევრს იტევ, ბევრს ეფერები,  
შვილივით იღებ, ყველა სტუმარს ყველა ერების,  
თავზე ევლები და ლოცავ ვაზის ცრემლებით,  
პურს და წყალს უყოფ, იხუტებ და ეალერსები.

შენც გაღმერთებენ დიდიც და პატარა ერიც,  
მეამაყება, ქართველი ვარ, ვარ ბედნიერი,  
ყველა კუთხიდან, ქვეყნიდან გეფერებიან,  
შენს ისტორიას, კულტურას ეთვისებიან.

მედიდგულება შენთან ყოფნა შენი სახელით,  
შენ გალაქტიკის ვარსკვლავი ხარ შენი ნათებით,  
საქართველო ხარ, ჯორჯია თუ გეორგია,  
შენ, ჩემი მზე ხარ, მე კი, შენი ერთგული მონა!

## შენ დამიტირე, საქართველო!

გულზე დაგიბნევ, საქართველოვ, არ დამეკარგო,  
ვერ მოგშორდები, შენი ჭირის ვარ მოზიარე,  
შენ სატარებელ ტვირთს მე ვზიდავ, არ დამელალი,  
მე შენთვის გავჩნდი შენი ბედით ვარ მგლოვიარე.

შენს ბედს ვენევი, არ მაშინებს მისი სიმძიმე,  
ჩემს მკერდში მოგცემ თბილ კერას, არ გამიცვიდე,  
მოგეფერები, მოგივლი, მე გიპატრონებ,  
სადაც მე წავალ თან წაგიყვან, არ მიგატოვებ.

ჩემო სამშობლო, შემოგავლებ ციხე-გალავანს,  
რომ შენს დიდებას, ვერა ავნოს მტერმა ვერასდროს,  
თუკი გაბედეს დამონება, დასაკუთრება,  
საკადრის პასუხს, თავად გავცემ ყველას სანაცვლოდ.

თუკი შენ გიჭირს, მეც მიჭირს, მეცა ვტირივარ,  
შენ ჩემი გმირი და მამაცი ბრგე რაინდი ხარ.  
ჩემი იმედი მუდამ გქონდეს, ვერ შეგელევი,  
ერთად გავლით წუთისოფლის სავალი დღენი.

ჩემო სამშობლოვ... გაიყოფა როს ჩვენი გზები,  
შენ დამიტირე და მიგლოვე შენი მხევალი,  
მერე კი თავადვე მარგუნე მიწა მტკაველი,  
რომ სამუდამოდ განვისვენო შენს სამოთხეში!

**შენ, საქართველო!**

გულის გულამდე მტკივნეულო -  
შენ, საქართველო!  
ყვავ-ყორან-სვავი დაგხვევიან  
ზემოდან თავსა,  
მაგრამ „არწივო“ ძლიერო და შეუპოვარო,  
დამშეულნიც კი ვერ გტეხავენ  
ვერცერთსა ფრთასა.

თუმცა ბუმბული გაგაცალეს  
ყოველი კუთხით,  
არ დაგზოგეს და არ შეგინდეს,  
ვით ძე იესო.  
აგანოკეს, გადაგწვეს და  
გაგაცამტვერეს,  
დაჭრილ ხორცებზე ზედ მარილი  
დაგანიესო...

ლონემიხდილი, დაგლეჯილი  
ჩოხის კალთებით,  
სულის ტკივილით სიკვდილამდე  
მიგაღნიესო.  
თუმც არ ნებდები, რადგან იცი  
ზემოდან გფარავს,  
თვით მამა ღმერთი, ღვთისმშობელი  
და ძე იესო.

\* \* \*

ცაზედ გამლილო ლაჟვარდო,  
მზეო, მნათობო დილისა.  
ზეცად აჭრილო მერცხალო,  
წვეთო, ჟუჟუნა წვიმისა.

აფეთქებულო კვირტებო,  
ვარდო, მშვენებავ ბალისა.  
მწვანე ხასხასა ჯეჯილო,  
ლერნო, სიცოცხლევ ვაზისა.

გორებო, ცად აწვდენილო.  
ტყეო, შრიალავ ნებისა.  
წყაროვ, წმინდავ და ანკარავ,  
ჩანჩქერო მალალ მთებისა.

კლდის საამაყო ჯიხვებო,  
ირმებო, ტყის და ველისა.  
ჩემო ლამაზო სამშობლოვ,  
დალოცვილი ხარ ღმერთისა!



## სარჩევი

ცაგო აბაშმაძე.....	4
გიორგი აბულაძე .....	6
ბიეტა აბშილავა .....	8
ელგუჯა ადეიშვილი .....	10
ბელა ალანია.....	12
ირმა ალფაიძე - იმერელი .....	14
ბალათერ არაბული.....	16
ლალი ასაბაშვილი .....	18
გიორგი აღნიაშვილი .....	20
დავით ახლოური.....	22
მაკა ახოზაძე.....	24
ნიკო ბალაშვილი .....	26
გუთი ბოლნელი .....	28
შორენა გაბელაშვილი.....	30
თამარ გაბოძე.....	32
ეთერ გაჩეჩილაძე.....	34
ვენერა გაჩეჩილაძე .....	36
თინა გელაშვილი .....	38
ქეთევან გელაშვილი.....	40
ლია გიგიტაშვილი.....	42
აზა გოგიტაური .....	44
თამარ გოგიძე .....	46
ხათუნა გოგბერაშვილი .....	48
მაყვალა გონაშვილი.....	50
ნათელა გოხელაშვილი .....	52
ლილი გულბათაშვილი.....	54

ეკატერინე გურული.....	56
ნანა დარჩიაშვილი.....	58
მაია დიაკონიძე.....	60
მარი დიერა.....	62
სოფო ებრალიძე.....	64
ნორა ედიშერაშვილი.....	66
მზია ელიაძე.....	68
დეზი ემანუელიძე.....	70
ანა ერისთავი.....	72
ნინო ზათიაშვილი.....	74
ვარლამ ზამთარაძე.....	76
ეთერ ზარიძე.....	78
ნათია თაბაგარი.....	80
აკაკი თევზაძე.....	82
ეთერ გოგეშვილი-ისაკაძე.....	84
სერგი კაკალაშვილი.....	86
ვალეკო კაკაურიძე-მიმინო.....	88
თამარ კაკაურიძე.....	90
ლიანა კაკუბავა.....	92
მაია კახიძე.....	94
ხათუნა კვესელავა.....	96
ეკა კვიციანი.....	98
ნათელა კუპრაშვილი.....	100
ლალი-ელენე ლაზაშვილი.....	102
ხათუნა ლორთქიფანიძე.....	104
ზურა მამულაშვილი.....	106
თამარ მენტეშაშვილი.....	108
ციური მესხიშვილი.....	110

ეთო მეფარიშვილი .....	112
ეკა მექერიშვილი-სურამელი .....	114
ლალი მიქაია.....	116
მანანა მიქაძე .....	118
იზოლდა მოშიაშვილი.....	120
თამთა მუმლაძე .....	122
ლია მუმლაძე.....	124
ნინო მღებრიშვილი .....	126
ირაკლი ნადარეიშვილი.....	128
თამარ ნადირაშვილი .....	130
ნანა ობოლაძე .....	132
თემო ოთინაშვილი .....	134
თამარ ოღლიშვილი-ბიძინაშვილი.....	136
მამუკა ოჩიაური.....	138
ვერიკო პარნიკანაშვილი .....	140
თენგიზ პაპაშვილი .....	142
ნინო როსტიაშვილი.....	144
ლია სანაძე.....	146
ერეკლე საღლიანი .....	148
სოფია საყვარელია.....	150
იოსებ სიბოშვილი .....	152
ნინო სპანდერაშვილი.....	154
დავით სულამანიძე.....	156
ბადრი სულაძე .....	158
ნინო უძილაური .....	160
დათო ქაქუთია - ერნესი .....	162
ნინო ჭილიტაშვილი .....	164
ჯაბა ქვლივიძე .....	166

ლალი ღაჭავა.....	168
ჯუბა ღებელი .....	170
ნაირა შერმაზანაშვილი .....	172
თემურ ჩალაბაშვილი .....	174
ბელა ჩოჩელი.....	176
მიმოზა ცანავა.....	178
ელგუჯა ციგროშვილი .....	180
ნანა ცინცაძე.....	182
ხათუნა ცომიაი .....	184
ნატალია ნიქარიძე .....	186
იზოლდა ჭიპაშვილი .....	188
ეთერ ჭელიძე.....	190
მაია ხოფერია .....	192
ევა ხუნწარია .....	194
ირინა ხურციძე (ირინოლა ტყეშაველი).....	196
ნინო ხუციშვილი.....	198
შალვა ხუციშვილი .....	200
მარინა ხუჭუა .....	202
მაია ჯაყელი .....	204
ქეთი ჯაში .....	206



